9516/4-11/21 2 15092021

9516/4-11/21
15-09-2021

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

ბატონ **დავით ზალკალიანს**

ბატონო დავით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ და განსახორციელებელ კონკრეტულ აქტივობებსა და მათ შედეგებზე (არსებობის შემთხვევაში).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნიკოლოზ სამხარაძე

საქართველო

საგარეო საქმეთა სამინისტრო

31804-01-2-202111181219

№ 01/31804
18/11/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ **ნიკოლოზ სამხარაძეს**

ბატონო ნიკოლოზ,

2021 წლის 15 სექტემბრის №9516/4-11/21 თქვენი წერილის პასუხად, გიგზავნით ინფორმაციას, 2020 - 2021 წლებში, საქართველოში ინვესტიციების მოსაზიდად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ, სამინისტროსთან კოორდინაციით, განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობის (ვიზიტის, შეხვედრის, პრეზენტაციის და სხვა ღონისძიების) შესახებ.

დანართი: 218 გვერდი

პატივისცემით,
ალექსანდრე ხვთისიაშვილი

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

ინფორმაცია

2020 - 2021 წლებში ინვესტიციების მოსაზიდად ადგილსამყოფელ და დაფარვის ქვეყნებში განხორციელებული/დაგეგმილი საქმიანობის (ვიზიტის, შეხვედრის, პრეზენტაციის და სხვა ღონისძიების) შესახებ

<u>ავსტრალიის თანამეგობრობა</u>

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	ვიზიტი/შეხვედრა/ პრეზენტაცია/ღონისძიება	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
3.02.2020	ახალი ზელანდიის ქ. ოკლენდის ბიზნეს პალატა.	ახალი ზელანდიის ქ. ოკლენდის ბიზნეს პალატის გენერალურ დირექტორთან (Chief Executive) მაიკლ ბარნეტთან და საერთაშორისო და ახალი პროექტების კოორდინატორთან, კიმ ბარნეტთან.	საქართველოსა და ახალ ზელანდიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები.	გადაეცათ მემორანდუმი საქ. სავაჭრო პალატასთან ორმხრივ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. მიეწოდათ ინფორმაცია და მასალა საქ. ეკონომიკურ პოტენციალთან დაკავშირებით.	მემორანდუმის გაფორმება.
5.03.2020	სამხრეთ ავსტრალიის შტატის ვაჭრობის, ტურიზმისა და ინვესტიციების სამინისტრო.	ოფიციალური შეხვედრა ავსტრალიის შტატის ვაჭრობის, ტურიზმისა და ინვესტიციების სამინისტროს გენერალური დირექტორ, ლეონ მალდუნთან.	სამხრეთ ავსტრალიის შტატისა და საქართველოს ბიზნეს წრეების დაახლოება, ინვესტიციების მოზიდვა.	მიეწოდათ ინფორმაცია და მასალა საქ. ეკონომიკურ პოტენციალთან დაკავშირებით.	

5.03.2020	სამხრეთ ავსტრალიის შტატის ენერგეტიკისა და სამთო მომპოვებელი მრეწველობის სამინისტრო.	ოფიციალური შეხვედრა სამხრეთ ავსტრალიის შტატის ენერგეტიკისა და სამთო მომპოვებელი მრეწველობის მინისტრთან.	საქართველოს ენერგეტიკისა და სამთო მომპოვებელი მრეწველობის პოტენციალის გაცნობა.	მიეწოდათ ინფორმაცია და მასალა საქ. ეკონომიკურ პოტენციალთან დაკავშირებით.	სამინისტროს წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოხატეს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება განახლებად ენერგიასთან დაკავშირებით.
6.03.2020	სამხრეთ ავსტრალიის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	ოფიციალური შეხვედრა სამხრეთ ავსტრალიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის აღმასრულებელ დირექტორ, მარტინ ჰეისთან.	საქართველოსა და სამხრეთ ავსტრალიის ბიზნეს წრეების დაახლოება.	გადაეცათ მემორანდუმი საქ. სავაჭრო პალატასთან ორმხრივ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. მიეწოდათ ინფორმაცია და მასალა საქ. ეკონომიკურ პოტენციალთან.	მემორანდუმის ხელმოწერა.
8-10.12.2020	ქუინსლენდის შტატის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	ოფიციალური შეხვედრა ვიზიტის ფარგლებში.	ქუინსლენდის შტატისა და საქართველოს ბიზნეს წრეების დაახლოება, ბიზნეს ინვესტიციების მოზიდვა.	გადაეცათ შესაბამისი ინფორმაცია და მასალა საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალთან დაკავშირებით.	
23.04.2021	კანბერის ბიზნეს წრეების წარმომადგენლები.	ქ. კანბერაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა და მიღება.	გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი ფოტოები.	ინფორმაცია მიეწოდათ საქართველოს ტურისტულ და ბიზნეს პოტენციალთან დაკავშირებით.	

14.07.2021	ოკლენდის ბიზნეს წრეების წარმომადგენლები.	ახალ ზელანდიაში საქ. საპატიო საკონსულოს ოფიციალური გახსნის ცერემონია.	ორ ქვეყანას შორის ბიზნეს კავშირების გაღრმავება.	ინფორმაცია მიეწოდათ საქართველოს ტურისტულ და ბიზნეს პოტენციალთან დაკავშირებით.	კოვიდ-19 შეზღუდვების მოხსნისთანავე იგეგმება ოკლენდიდან ბიზნეს ჯგუფის ვიზიტი.
12.07.2021	ოკლენდის უნივერსიტეტი.	ელჩის ლექცია.	საქართველოს შესახებ, მათ შორის ეკონომიკური და ბიზნეს პოტენციალის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.		

ავსტრიის რესპუბლიკა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
16.09.2021	ტიროლის ფედერალურ მიწაზე ელჩის ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა ავსტრიელ ბიზნესმენებთან.	საქართველოს, როგორც საინვესტიციო ქვეყნის პრეზენტაცია.	რამდენიმე მიმართულებით (მატყლის გადამუშავება, ღვინის ტურიზმი, ფიტო-ფარმაკოლოგიური წარმოებისთვის სამკურნალო მცენარეების წარმოება საქართველოში) მოქმედმა ავსტრიულმა კომპანიებმა გამოთქვეს სურვილი, დაიწყონ საქმიანობა საქართველოსთან.	საელჩო გააგრძელებს აღნიშნულ კომპანიებთან ურთიერთობას და მათთვის კონკრეტულ ხელშეწყობას, საელჩოს კომპეტენციის ფარგლებში.

12.10.2021	ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში, საელჩოს ორგანიზებით, დაგეგმილია ბიზნეს-ფორუმის გამართვა ავსტრიის ეკონომიკურ კამერასთან (WKO) ერთად. შეხვედრაზე უკვე რეგისტრირებულია რამდენიმე ათეული ავსტრიული კომპანია და კერძო ბიზნესმენი. ბიზნეს-ფორუმში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მრავალმა ქართულმა კომპანიამ.	ბიზნეს-ფორუმის ფარგლებში, მოხდება საქართველოს, როგორც ინვესტიციების განსახორციელებლად საინტერესო ქვეყნის პრეზენტაცია. ასევე გაიმართება B2B შეხვედრები ქართველ და ავსტრიელ ბიზნესმენებს შორის.	1. დამყარდება ურთიერთობები ავსტრიელ და ქართველ ბიზნესმენებს შორის 2. მოხდება საქართველოს პოპულარიზაცია, ავსტრიულ ბიზნეს-წრეებში.	
12.10.2021	ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში, გაიმართება შერეული ეკონომიკური კომისიის მე-6 სხდომა ავსტრიასა და საქართველოს შორის.	ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის საკითხების განხილვა, ეკონომიკის სექტორული მიმართულებებით. ხელი მოეწერება შერეული ეკონომიკური კომისიის მე-6 სხდომის შემაჯამებელ ოქმს.	განხორციელდება ორივე ქვეყნის ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების დაზუსტება და მოხდება შესაძლო თემების იდენტიფიცირება, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით.	

13.10.21	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, გენადი არველაძის და „აწარმოე საქართველოში“-ს დირექტორის შეხვედრები Advantage Austria-ს, კომპანია Robul-ის, Invest in Austria-ს და IMMOFINANZ AG .-ს ხელმძღვანელებთან	თანამშრომლობა უძრავი ქონების ბიზნესის და სხვა მიმართულებებით.	ქართული მხარის მიზანია, მოახდინოს ავსტრიული კომპანიების საქართველოში საინვესტიციო შესაძლებლობებით დაინტერესება.	
21-23.11.2021	ავსტრიის ეკონომიკური პალატა გეგმავს ავსტრიული ბიზნესის წარმომადგენელთა ვიზიტს საქართველოში.	თანამშრომლობის შესაძლებლობების მოსინჯვა, განსაკუთრებით ზამთრის ტურიზმის ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის სფეროებში.		ავსტრიაში საქართველოს საელჩო მაქსიმალურ მხარდაჭერას გაუწევს ავსტრიულ კომპანიებს, მათ ქართველ პოტენციურ პარტნიორებთან თანამშრომლობის მიზნით.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა

18.02.2020	„Caspian European Club“-ში შემავალი კომპანიები.	საქართველოს და აზერბაიჯანის ბიზნეს-სტრუქტურების თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და საინვესტიციო თანამშრომლობის პერსპექტივები.	„Caspian European Club“-ის აღმასრულებელი დირექტორი დაინტერესდა საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ. კორონავირუსის პანდემიის შესუსტების შემდგომ, იგეგმება „Caspian European Club“-ის წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში.	შედგა საქართველოს ელჩის ზურაბ პატარაძის შეხვედრა „Caspian European Club“-ის აღმასრულებელ დირექტორთან ტელმან ალიევთან. მხარეებმა ისაუბრეს აზერბაიჯანულ კომპანიებზე, რომლებიც არიან მსხვილი ინვესტორები საქართველოში და ლიდერობენ განხორციელებული ინვესტიციების კუთხით. ასევე ზ. პატარაძემ პრეზენტაციის სახით, ტ. ალიევს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ.

29.02.2020	„Caspian European Club“-ში შემავალი კომპანიები.	საქართველოს ტურისტული პოტენციალი, ლიბერალური საინვესტიციო გარემო, გამარტივებული საგადასახადო სისტემა.	ღონისძიებამ გამოიწვია დიდი ინტერესი და პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, გაიმართა ქართული მხარის პირისპირ შეხვედრები ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით. ღონისძიების ფარგლებში, მიღწეული იქნა შეთანხმება ერთობლივი ბიზნეს-ფორუმების გამართვის თაობაზე საქართველოსა და აზერბაიჯანში (ქ. ბათუმი და ქ. ბაქო).	Caspian European Club-ის ორგანიზებითა და საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქ. ბაქოში გაიმართა Caspian European Club-ის წევრი კომპანიების ტოპ-მენეჯერების შეხვედრა ქ. ბათუმის მერთან ლაშა კომახიძესთან. ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრის ფარგლებში, ლ. კომახიძემ გამართა პრეზენტაცია საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ.
05.03.2020	აზერბაიჯანის საქმიანი წრეების წარმომადგენლები საინვესტიციო, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროებში.	შეხვედრაზე, მხარეების მიერ განხილულ იქნა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები.	პოსტ-პანდემიურ პერიოდში, საქართველოში შესაძლო ვიზიტი და საინვესტიციო გარემოს შესწავლა	ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) ორგანიზებით და საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქ. თბილისში გაიმართა საქართველო- აზერბაიჯანის ბიზნეს- ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანის საქმიანი წრეები - მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები.

08.05.2020	სამი ქვეყნის დიპლომატიური კორპუსისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.	საქართველოს ეკონომიკური, საინვესტიციო, სატრანსპორტო და სატრანზიტო შესაძლებლობები.	პოსტ-პანდემიურ პერიოდში, საქართველოში შესაძლო ვიზიტი, საინვესტიციო გარემოს შესწავლა და ერთობლივი საწარმოების შექმნის პერსპექტივა.	„Caspian European Club“-ის ორგანიზებით, გაიმართა ვიდეო-კონფერენცია („Caspian European Club“-B2B Forum Azerbaijan, Kazakhstan, Georgia). ელჩმა ზურაბ პატარაძემ ისაუბრა საქართველოს ეკონომიკურ, საინვესტიციო და სატრანზიტო შესაძლებლობებზე ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოში ერთობლივი საწარმოების შექმნაზე.
09.05.2020	აზერბაიჯანის ტურიზმის სახელმწიფო სააგენტო და ტურისტული კომპანიები.	საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.	პოსტ-პანდემიურ პერიოდში, მჭიდრო თანამშრომლობა. ტურიზმის სფეროში არსებული ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება.	ელჩმა ზ. პატარაძემ გამართა კონსულტაციები აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტურიზმის სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარესთან ფუად ნაგიევთან. მხარეები შეთანხმდნენ, რომ პოსტ- პანდემიურ პერიოდში, განაგრძობენ მჭიდრო თანამშრომლობას ტურიზმის სფეროში ორმხრივი ურთიერთობების გასაღრმავებლად.

12.05.2020	აზერბაიჯანის ტურიზმის სახელმწიფო სააგენტო და ტურისტული კომპანიები.	საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.	საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურიზმის სფეროს განვითარების პოტენციალი პოსტ-პანდემიურ პერიოდში.	საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტურიზმის სახელმწიფო სააგენტოს ვიდეო-კონფერენცია. საელჩოს მხრიდან, ღონისძიებაში მონაწილეობდა ელჩი ზ. პატარაძე. ვიდეო- კონფერენციის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურიზმის სფეროს განვითარების პოტენციალი პოსტ- პანდემიურ პერიოდში.
26.06.2020	აზერბაიჯანის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.	ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება.	საქართველოს ეკონომიკური, საინვესტიციო, სატრანსპორტო და სატრანზიტო შესაძლებლობების პოპულარიზაცია.	ელჩმა ზურაბ პატარაძემ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა აზერბაიჯანში პოპულარულ საინფორმაციო სააგენტოს „TREND“. ზ. პატარაძემ ისაუბრა ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო-სატრანზიტო, ვაჭრობის, ინვესტიციების, ტურიზმის, ჰუმანიტარულ სფეროებში ურთიერთობების განვითარების, საერთაშორისო მნიშვნელობის ერთობლივი პროექტების ლობირებისა და რეალიზაციის შესახებ.

16.07.2020	აზერბაიჯანის ექსპორტისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ფონდი (AZPROMO), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“, აზერბაიჯანისა და საქართველოს საქმიანი წრეების წარმომადგენლები.	ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება.	2020 წელს ბიზნეს-ფორუმი ვერ გაიმართა პანდემიის გამო.	ელჩმა ზურაბ პატარაძემ შეხვედრა გამართა აზერბაიჯანის ექსპორტისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ფონდის (AZPROMO) პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან იუსიფ აბდულაევთან. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს ერთობლივი ბიზნეს-ფორუმის გამართვის პერსპექტივები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და აზერბაიჯანის ექსპორტისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ფონდის მონაწილეობით.

19.01.2021	აზერბაიჯანის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.	ინვესტიციების მოზიდვა საქართველოში.	საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია, პოტენციური ინვესტორების მოძიება, საინვესტიციო და საქველმოქმედო პროექტების განხორციელება. პოსტ-პანდემიურ პერიოდში, საქართველოში შესაძლო ვიზიტი და ბიზნეს- პროექტების განხორციელება.	გაიმართა ელჩის ზურაბ პატარაძის შეხვედრა აზერბაიჯანელ ბიზნესმენთან, უკრაინის საპატიო კონსულთან მეხრალი გასიმოვთან. შეხვედრის ფარგლებში, მ. გასიმოვის მხრიდან, გამოითქვა სურვილი სოფელ ტალავერში, კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო ცენტრი მშენებლობის შესახებ, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე სამედიცინო ინვენტარით.

25.01.2021 02.02.2021 23.02.2021	აზერბაიჯანის ტურიზმის სახელმწიფო სააგენტო აზერბაიჯანის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი და ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელი, აზერბაიჯანის სახელმწიფო ავია-ხაზების „AZAL“ პრეზიდენტი.	ტურიზმის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება პოსტ-პანდემიურ პერიოდში და საჰაერო მიმოსვლის აღდგენა. „ბაქო-თბილისი-ბაქოს“ მიმართულებით რეგულარული ავიარეისის განახლება „ბაქო-ბათუმი-ბაქოს“ მიმართულებით რეგულარული ავიარეისის განახლება.	ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, ა.წ. 19 მარტიდან განახლდა რეგულარული ავია- რეისი „ბაქო-თბილისი-ბაქოს“ მიმართულებით. ასევე მიღწეული შეთანხმების თანახმად, პანდემიის დასრულების შემდეგ, განახლდება რეგულარული ავია-რესი „ბაქო-ბათუმი-ბაქოს“ მიმართულებით.	ელჩმა ზურაბ პატარაძემ კონსულტაციები გამართა აზერბაიჯანის ტურიზმის სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარესთან ფუად ნაგიევთან. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერთან, ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელთან შაჰინ მუსტაფაევთან, სახელმწიფო ავია-ხაზების „AZAL“ პრეზიდენტთან ჯაჰანგირ ასკეროვთან და სახელმწიფო ავია-ხაზების „AZAL“ ვიცე-პრეზიდენტთან ელდარ გაჯიევთან.
05.03.2021	აზერბაიჯანის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.	მჭიდრო კავშირებისა და საქმიანი კონტაქტების დამყარება რეგიონში მოღვაწე ბიზნესმენებს შორის.	პოსტ-პანდემიურ პერიოდში, ერთობლივი ბიზნეს-ფორუმის გამართვა, აგრეთვე ბიზნეს ფორუმის ჩატარების შესაძლებლობა სამმხრივი ფორმატით, თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი.	ელჩმა ზურაბ პატარაძემ შეხვედრა გამართა „აზერბაიჯანის მეწარმეთა კონფედერაციის“ პრეზიდენტთან მამედ მუსაევთან.
16.03.2021	აზერბაიჯანის წამყვანი ტურისტული კომპანიები.	საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.	საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურიზმის სფეროს განვითარების პოტენციალი პოსტ-პანდემიურ პერიოდში.	საქართველოს საელჩოში, გაიმართა ელჩის ზურაბ პატარაძის შეხვედრა აზერბაიჯანის წამყვან ტურ-ოპერატორებთან.

22.04.2021	აზერბაიჯანისა და საქართველოს ტურისტული ადმინისტრაციების, აგრეთვე ორი ქვეყნის ტურისტული კომპანიები.	საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.	ორი ქვეყნის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად, ერთობლივი ტურ-პაკეტების შემუშავება.	„აზერბაიჯანის ტურიზმის საბჭოს“ (Azerbaijan Tourism Board) ორგანიზებითა და საელჩოს აქტიური ჩართულობით, გაიმართა ვიდეო-კონფერენცია „აზერბაიჯანი-საქართველოს ტურისტული პერსპექტივები და შესაძლებლობები - 2021“ („Azerbaijan – Georgia Tourism Perspectives and Opportunities in 2021“).
03.06.2021	საქართველოსა და აზერბაიჯანის საქმიანი წრეების წარმომადგენლები - გადამზიდავი და საინვესტიციო კომპანიები.	კავშირებისა და საქმიანი კონტაქტების დამყარება საქართველოსა და აზერბაიჯანის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს შორის.	კომპანია „Gianti Logistiks“-ის წარმომადგენელმა გამართა ონლაინ ბიზნეს ტური ქ. ფოთის ტერმინალში და ისაუბრა ტერმინალის შესაძლებლობებსა და პოტენციალზე, აგრეთვე იმ მომსახურებების სპექტრზე, რომლის მიწოდებაც შეუძლია აღნიშნულ კომპანიას. ვიდეო-კონფერენციის დასასრულს, კომპანიებს შორის გაიმართა „**B2B**“ მოლაპარაკებები.	„Caspian European Club“-ის ორგანიზებით გაიმართა ვიდეო-კონფერენცია „Terminal Gianti Logistiks in Poti - Online Busines Tour“.
16.06.2021	აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის მოადგილე.	პანდემიის პირობებში, ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები. აზერბაიჯანის სახელმწიფო ავიახაზების „AZAL“-ის მიერ ბაქო-თბილისი-ბაქოს მიმართულებით ფრენის სიხშირის გაზრდა.	აზერბაიჯანის სახელმწიფო ავიახაზებმა „AZAL“ „ბაქო-თბილისი-ბაქოს“ მიმართულებით გაზარდა ფრენის სიხშირეები.	ელჩმა ზურაბ პატარაძემ კონსულტაციები გამართა აზერბაიჯანის პრემიერ- მინისტრის მოადგილესთან შახინ მუსტაფაევთან.

29.09.2021	საქართველოსა და აზერბაიჯანის დარგობრივი სამინისტროები.	-თანამშრომლობა სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით; -თანამშრომლობა ინვესტიციების მიმართულებით; -თანამშრომლობა ენერგეტიკის მიმართულებით; -თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის მიმართულებით; -თანამშრომლობა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მიმართულებით; -თანამშრომლობა ტურიზმისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.	სამთავრობოთაშორისო ეკონომიკური კომისიის მე-8 სხდომის შედეგად ხელი მოეწერა: - შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე გამტარი პუნქტების შესახებ; - შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ; - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის 2021-2024 წლებისთვის კულტურის სფეროში თანამშრომლობის პროგრამას; - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” და აზერბაიჯანის „ექსპორტისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ფონდს“ შორის; - ურთიერთგაგების მემორანდუმს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და აზერბაიჯანის რესპუბლიკის „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სააგენტოს“ შორის;	საქართველოს პრემიერ- მინიტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ალი ასადოვის თანათავმჯდომარეობით, გაიმართა ორი ქვეყნის სამთავრობოთაშორისო ეკონომიკური კომისიის მე-8 სხდომა.

ცნობისთვის:

2020-2021 წლებში საელჩო თანამშრომლობდა და აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას აზერბაიჯანის „ექსპორტისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ფონდთან“ (AZPROMO), აზერბაიჯანის „სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან“, ქ. ბაქოს საერთაშორისო საზღვაო სავაჭრო პორტთან, სს „აზერბაიჯანის რკინიგზასთან“, აგრეთვე ადგილობრივ ბიზნეს-გაერთიანებებსა და ცალკეულ ბიზნესმენებთან. ასევე, ციფრულ ფორმატში, აქტიურად

უწევდა პოპულარიზაციას საქართველოს სატრანზიტო/სატრანსპორტო შესაძლებლობებს, მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს, ტურისტულ პოტენციალს, გამარტივებული საგადასახადო სისტემისა და ქვეყნის სხვა მიღწევებს. ასევე გაცნობებთ, რომ 2020-2021 წლებში, საელჩოს მიერ განხორციელებული აქტივობების სიმწირე გამოწვეული იყო ადგილსამყოფელ ქვეყანაში კოვიდ-პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვების გამო.

არგენტინის რესპუბლიკა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2020 წლის ნოემბერი, არგენტინა.	ელჩის ირაკლი ყურაშვილის შეხვედრა არგენტინის ტურიზმისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო მდივანთან ლეანდრო ბალასინისთან.	- ტურიზმის სფეროში საქართველო-არგენტინას შორის 2019 წელს ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლებლობები.		არგენტინის მთავრობის მიერ დაანონსებული 2021 წლის 1 ნოემბრიდან ქვეყნის წელიწადნახევრის მანძილზე ჩაკეტილი საზღვრების გახსნის შემდეგ ახალი შეხვედრის გამართვა.
2020 წლის დეკემბერი, არგენტინა.	ელჩის ირაკლი ყურაშვილის შეხვედრა არგენტინის სოფლის მეურნეობის, მესაქონლეობისა და თევზჭერის მინისტრის მოადგილესთან არიელ მარტინესთან.	- პანდემიის შემდეგ არგენტინიდან საქართველოში ეკონომიკური მისიის, ასევე საქართველოდან ბიზნესმენებისა და მთავრობის წარმომადგენლების დელეგაციის ვიზიტის დაგეგმვა.	ეკონომიკური მისიის საკითხი კვლავ ღიად რჩება არგენტინული მხრიდან პანდემიის ფონზე არსებული შეზღუდვების გამო.	
2021 წლის მარტი, არგენტინა.	ელჩის ირაკლი ყურაშვილის შეხვედრა საქართველოში არგენტინის დანიშნულ ელჩთან *(რეზიდენციით ანკარაში)* პატრისია სალასთან.	- ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურება; - პანდემიის შემდგომ პერიოდში, თურქეთში მიმავალი არგენტინელი ბიზნესმენების საქართველოთი დაინტერესება;		

		- პანდემიის დასრულების შემდეგ არგენტინა-საქართველოს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმის ამოქმედება.		
2021 წლის მარტი, არგენტინა.	ქართული ღვინის დეგუსტაცია საქართველოს საელჩოში.	- ესწრებოდნენ არგენტინელი ღვინის პოტენციური დისტრიბუტორები.		
2021 წლის ივნისი, არგენტინა.	არგენტინელ ბიზნესმენთან ფაბიო გარისთან შეხვედრა საქართველოს საელჩოში	- გამოიკვეთა ბიზნესმენის წინასწარი ინტერესება არგენტინაში ქართული ღვინის იმპორტის მიმართ; ბიზნესმენისთვის მოეწყო სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინის დეგუსტაცია.	მომდევნო პერიოდში აქტიური კონტაქტები დამყარდა „8000 მოსავალთან“, რომელთანაც მიღწეულია შეთანხმება უახლოეს თვეებში არგენტინაში სხვადასხვა ტიპის ქართული ღვინის პირველი, ამასთან, შეზღუდული და საცდელი პარტიის გამოგზავნის შესახებ.	
2021 წლის ივნისი, არგენტინა.	ელჩი ირაკლი ყურაშვილის შეხვედრა არგენტინის საგარეო საქმეთა, საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტის სამინისტროს მრავალმხრივი და ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან, ელჩ კაროლა რამონთან.	- არგენტინის ეკონომიკური მისიის წარგზავნა საქართველოში; - ქართული ღვინის შესაძლო იმპორტი არგენტინაში.	ეკონომიკური მისიის საკითხი კვლავ ღიად რჩება არგენტინული მხრიდან პანდემიის ფონზე არსებული შეზღუდვების გამო.	
2020 წლის მარტი, ეკვადორი.	ელჩის ირაკლი ყურაშვილის კიტოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრის	- ეკვადორელ და ქართველ ბიზნესმენებს შორის საქმიანი კონტაქტების	პანდემიის დაწყებამ ხელი შეუშალა დასახული გეგმების განხორციელებას.	2021 წლის სექტემბერში საელჩომ ეკვადორულ მხარეს შესთავაზა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ეკვადორის შესაბამის

	მოადგილესთან ეკონომიკურ სფეროში ხუან კარლოს კასტრილიონთან და საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილესთან დიეგო კაისედოსთან გამართული შეხვედრები.	დამყარებისა და საქართველოში ვიზიტის შესაძლებლობები; - ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმება; - ეკვადორის დაინტერესება საქართველოს გამოცდილებით “Film in Georgia” კამპანიასთან მიმართებით; - „აწარმოე საქართველოსა“ და ეკვადორის წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს შორის 2019 წ. გაფორმებული მემორანდუმის იმპლემენტაცია.		სტრუქტურას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება, რაზეც ველოდებით ეკვადორული მხარის პასუხს; ამის გარდა, ელჩი ირაკლი ყურაშვილი, ეკვადორში უახლოეს მომავალში სამუშაო ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში, ეკვადორულ მხარესთან ხელახლა დააყენებს 2020 წლის მარტში განხილულ საკითხებს.
2021 წლის მარტი, ჩილე.	ელჩის ირაკლი ყურაშვილის სანტიაგოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ჩილეს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო მდივანთან როდრიგო იანესთან გამართული შეხვედრა.	- ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ შესაძლებელი გახდება მომავალში საქართველოში შედგეს ჩილეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო სამდივნოსა და ბიზნესმენთა ერთობლივი დელეგაციის ვიზიტი.		
2021 წლის ივლისი, ურუგვაი.	ელჩის ირაკლი ყურაშვილის მონტევიდეოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ურუგვაის ვაჭრობისა და სერვისების პალატაში გამართული შეხვედრა.		საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ურუგვაის ვაჭრობისა და სერვისების პალატას შორის ხელი მოეწერა	იგეგმება ორი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის პირველი ონლაინ შეხვედრის გამართვა.

			ურთიერთგაგების მემორანდუმს.	

ამერიკის შეერთებული შტატები

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და აშ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
29.01.2020	American-Georgian Business Council.	ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭომ და აშშ – აზერბაიჯანის სავაჭრო პალატამ (USACC) საინფორმაციო შეხვედრას უმასპინძლა აშშ – ის კომერციული დეპარტამენტის სერთიფიცირებული სავაჭრო მისიის შესახებ, რომლის გამართვა 2020 წლის 5-10 აპრილს იგეგმებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანში (კორონა პანდემიის გამო მისია ვერ განხორციელდა). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ, და საქართველოს დესპანმა აშშ-ში გიორგი ციკოლიამ სტუმრებს საქართველოს პოტენციალი გააცნეს, რომელიც ამერიკულ კომპანიებს ხელსაყრელ საგადასახადო გარემოს და ევროკავშირში, თურქეთში, დსთ-სა და ჩინეთში თავისუფალ ვაჭრობაზე წვდომას სთავაზობს.	კორონა პანდემიის გამო მისია ვერ განხორციელდა.	
11-12.02.2020	Startup Grind Global.	სან-ფრანცისკოში ათამდე ქართულმა სტარტაპ კომპანიამ მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ ყველაზე დიდ Startup Grind Global ფორუმში. საქართველოს დესპანი აშშ-ში გიორგი ციკოლია და საელჩოს პირველი მდივანი გივი ზედელაშვილი შეუერთდნენ ქართულ წარმომადგენლობას,	VC კომპანიებისათვის და „ენჯელ“ ინვესტორებისათვის საქართველოს სტარტ-აპ ეკო სისტემის თაობაზე	

		რომლის ფორუმზე მონაწილეობა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ უზრუნველყო.	ინფორმაციის მიწოდება.	
16-19.02.2020	IAOP.	საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების წარმოჩენის მიზნით, საქართველოს საელჩომ და "აწარმოე საქართველოში“ სააგენტომ მონაწილეობა მიიღეს ქ. ორლანდოში, ბიზნესპროცესების აუთსორსინგის სექტორში გამართულ ღონისძიებაზე - Outsourcing World Summit-OWS 2.0. სამიტის ფარგლებში სააგენტოს წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ისეთ მსხვილ საერთაშორისო ბიზნეს და IT სერვისების პროვაიდერ კომპანიებთან.	შეხვედრები გაიმართა: Cognizant, Dell Technologies, NTT Data Services, Canon Business Process Services, IBA Group, Atos Syntel, Claro და სხვა.	შეხვედრების საფუძველზე გაიმართა დამატებითი ზარები აღნიშნულ კომპანიებთან.
24.06.2020	American-Georgian Business Council.	საქართველოს დესპანი გიორგი ციკოლია ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს 23-ე ყოველწლიურ კონფერენციაზე: Advancing US-Georgian Partnership Through Trade and Investment.	ვებინარზე დამსწრე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ.	
26.06.2020	DFC.	საქართველოს დესპანი გიორგი ციკოლიას სამუშაო ზარი DFC-ის აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველთან ქალებ მაქარტისთან.	DFC-ის რეგიონალური ოფისის გახსნა თბილისში.	ზარი პრემიერ მინისტრსა და DFC-ის აღმასრულებელ დირექტორს შორის.
30.06.2020	Caspian Policy Center.	გაიმართა რიგით მეორე ვებინარი კასპიის რეგიონში COVID 19-ის წინააღმდეგ გატარებულ ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრემიერ მინისტრის ეკონომუკურ საკითხებში მრჩეველმა ბექა ლილუაშვილმა.	ვებინარზე მონაწილე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოში კოვიდის შედეგად ეკონომიკურ	

			ზეგავლენაზე და საინვესტიციო გარემოზე. ხაზი გაესვა საქართველოს როგორც სამომავლო საერთაშორისო ღირებულებათა ჯაჭვში ახალი როლის შესახებ.	
16.07.2020	Caspian Policy Center.	ვებინარი კასპიის რეგიონში ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული მდგრადობის თაობაზე გაიმართა რიგით მესამე ვებინარი კასპიის რეგიონში ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული მდგრადობის თაობაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ჩიქოვანმა.	ვებინარზე მონაწილე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოში ენერგეტიკის სფეროში საინვესტიციო პროექტების თაობაზე.	
14.08.2020	DFC.	საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის (DFC) აღმასრულებელ დირექტორ ადამ ბოელერს ვიდეოკონფერენციის ფორმატში ესაუბრა. მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოში DFC-ის მიმდინარე და სამომავლო პროექტებზე. განსაკუთრებულად აღინიშნა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის როლი საქართველოში კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, მათ შორის, პანდემიის პირობებში.	DFC-ის რეგიონალური ოფისის გახსნა ქ. თბილისში	DFC-ის მისიის ვიზიტი საქართველოში.

16.09.2020	Washington Intergovernmental Professional Group და World Trade Center.	Washington Intergovernmental Professional Group-ისა და World Trade Center-ის ორგანიზებით გაიმართა ვებინარი ვაჭრობის საკითხებზე, რომელზეც სპიკერად დესპანი გიორგი ციკოლია წარსდგა.	ვებინარზე დამსწრე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ.	
23.09.2020	Caspian Policy Center.	Caspian Policy Center-ისა და USAID-ის ორგანიზებით გაიმართება ვებინარი Blue Dot Network:Building Strong Partnerships in the Caspian.	ვებინარზე დამსწრე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ.	
13.01.2021	IAOP.	საელჩოს და სააგენტო აწარმოე საქართველოს წარმომადგენლებმა გამართეს სამუშაო ზარი აშშ-ს BPO ასოციაციის IAOP-ის პრეზიდენტთან. ზარზე განხილულ იქნა ასოციაციასთან თანამშრომლობის გეგმები, მათ შორის თებერვალში დაგეგმილი ვირტუალური ფორუმი OWS21 და საქართველოს BPO სექტორის შესახებ სტატიის გამოქვეყნება ასოციაციის ყოველ თვიურ ჟურნალში.	ვირტუალური ფორუმი OWS21 და საქართველოს BPO სექტორის შესახებ სტატიის გამოქვეყნება ასოციაციის ყოველ თვიურ ჟურნალში.	ერთობლივი ვებინარის განხორციელება და ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება.
21.01.2021	VM Electric.	გაიმართა ზარი საელჩოს, კომპანია VM Electric, კომპანია DP, INC და კომპანია Power Chinaს-ს წარმომადგნლებს შორის. ზარზე განხილულ იქნა VM Electric-ის ჰიდროელექტრო სადგურის მტკვარ 4-ის პროექტი.	მტკვარი 4-ის ეკონომიკური კვლევის შესწავლა.	შედეგად ამერიკულმა კომპანია თავი შეიკავა აღნიშნულ პროექტში ინვესტიციის განხორციელებისაგან.
16.02.2021	AMCHAM.	ელჩმა დავით ბაქრაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოში ამერიკის ბიზნეს საბჭოს წევრებისათვის	ბიზნეს საბჭოს წევრ კომპანიებს ინფორმაცია	

		გამართულ ვირტუალურ შეხვედრაში. ვირტუალურ შეხვედრაზე ელჩმა მიმოიხილა მიმდინარე ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები აშშ-სა და საქართველოს შორის. ასევე, საელჩოს საქმიანობა და გეგმები აშშ-დან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და სავაჭრო ურთიერთობების გასაღრმავებლად.	მიეწოდათ საქართველოში საინვესტიციო გარემოს შესახებ.	
16-19.02.2021	IAOP.	აშშ-ში საქართველოს საელჩო და სსიპ სააგენტო აწარმოე საქართველოში მონაწილეობდნენ ვირტუალურ ფორუმზე OWS21. აღნიშნულ ფორუმზე მონაწილეობენ მსხვილი ამერიკული BPO კომპანიები. საქართველო წარმოდგენილი იყო ვირტუალური სტენდით სადაც მონაწილეობს შესაძლებლობა ქონდათ გაცნობოდნენ ინფორმაციას საქართველოს საინვესტიციო და BPO სექტორის პოტენციალის თაობაზე.	ფორუმის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები 50-მდე BPO კომპანიის წარმომადგენლებთან..	პერიოდულად ხორციელდება კომპანიებისათვის საქართველოს ეკონომიკისა და საინვესტიციო გარემოს შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდება.
24.02.2021	OCO Global.	გაიმართა სამუშაო ზარი საკონსულტაციო კომპანია OCO-ს წარმოამდგენლებთან. ზარზე განხილულ იქნა კომპანიისა და სააგენტო აწარმოე საქართველოში გეგმები აშშ-დან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და საელჩოს როლი აღნიშნულ პროცესში.	დაიგეგმა კერძო კომპანიებთან კომუნიკაციის სტრატეგია.	100-მდე კერძო კომპანიასთან კომუნიკაციის დამყარება.
9.03.2021	American-Georgian Business Council.	საელჩომ გამართა სამუშაო ზარი ამერიკა	აღნიშნულ ზარზე დაიგეგმა	აშშ-ს კერძო სექტორის წარმომადგენ

		ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტთან მამუკა წერეთელთან და სააგენტო აწარმოე საქართველოში დირექტორთან მიხეილ ხიდურელთან.	ვებინარი საქართველოს საინვესტიციო კლიმატის თაობაზე.	ლებისათვის ვებინარის გამართვა.
10.03.2021	Mizma venture Hogan Lovells.	საელჩოში გაიმართა ვახშამი კომპანია Mizma venture-ის დამფუძნებელთან იიტც ეპელბაუმთან და კომპანია Hogan Lovells - ის პარტნიორთან ნორმან კოლმანთან. აღნიშნულ ვახშამზე განხილულ იქნა საქართველოში არსებულ საინვესტიციო კლიმატი და Mizma venture-ის დამფუძნებლის იიტც ეპელბაუმის ინიციატივა სან ფრანცისკოში საქართველოს გენ. საკონსულოსთან ერთად ქართული სტრატაპ კომპანიებისათვის ფონდის ჩამოყალიბების თობაზე.	საინვესტიციო გარემოს შესახებ ინფორმაციის მიწოდება.	საქართველოშ ი სტრატაპ კომპანიებისათ ვის ფონდის ჩამოყალიბება.
15.04.2021	Department of Commerce.	საელჩომ და სან ფრაცისკოში გენ საკონსულომ გამართეს სამუშაო შეხვედრა კომერციის დეპარტამენტის აღოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ოფისის წარომომადგენლებთან, ციფრულ ტექნოლოგიების მომსახურების თაოაბზე ერთობლივი ვებინარის დაგეგმის მიზნით.	აღნიშნულ ზარზე განხილულ იქნა ქართული „სტარტაპ“ კომპან იებისათვის ინფორმაციული სახის ვებინარის განხორციელება „სილიკონ ველის“ შესახებ.	ქართული „სტარტაპ“ კომ პანიებისათვის ინფორმაციულ ი სახის ვებინარის განხორციელებ ა.
22.04.2021	American-Georgian Business Council.	საელჩოს მხარდამჭერითა და ამერიკა- საქართველოს ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით გაიმართა ვებინარი საქართველოს საენვესტიციო გარემოს თაობაზე. ვებინარზე Enterprise Georgia:	ვებინარზე დამსწრე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს	

		Facilitating Exports, Attracting FDI. პრეზენტაცია წარადგინა სსიპ აწარმოე საქართველოს დირექტორმა მიხეილ ხიდურელმა.	საინვესტიციო გარემოს შესახებ.	
5.05.2021	DFC.	აშშ-ში საქართველოს საელჩოს დესპანმა გიორგი ციკოლიამ სამუშაო ზარი გამართა DFC-ის ევროპის რეგიონული მმართველის დირექტორთან, ვეს სპურლოკთან.	ზარზე განხილულ იქნა DFC-ის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელება საქართველოში. ასევე, საუბარი შეეხო საქართველოში DFC-ის რეგიონული ოფისის გახსნას.	საქართველოში DFC-ის რეგიონული ოფისის გახსნა.
13.05.2021	IAOP.	გაიმართა სამუშაო ზარი აშშ-ში უმსხვილეს BPO ასოციაციასთან, IAOP-სთან.	ზარზე განხილულ იქნა 1 ივლისს ასოციაციასა და სააგენტო აწარმოე საქართველოში ორგანიზებით დაგეგმილი ვებინარის ორგანიზაციული დეტალები.	BPO კომპანიებისათვის ვებინარის გამართვა.
13.05.2021	Department of Commerce.	გაიმართა სამუშაო ზარი კომერციის დეპარტამენტის საქართველოს დესკთან გარეტ მიტჩელთან. ზარზე განხილულ იქნა 1 ივლისს, აშშ-სა და საქართველოს ICT თანამშრომლობის თაობაზე დაგეგმილი ვებინარის ორგანიზაციული საკითხები.		ქართული „სტარტაპ“ კომპანიებისათვის ინფორმაციული სახის ვებინარის განხორციელება.

26.05.2021	აშშ-ში საქართველოს საპატიო კონსულები.	ელჩმა დავით ბაქრაძემ გამართა ვირტუალური შეხვედრა აშშ-ში საქართველოს საპატიო კონსულებთან. შეხვედრაზე ელჩმა მიმოიხილა პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება საქართველოში, ასევე ორ ქვეყანას შორის მიმდინარე თანამშრომლობა.	საპატიო კონსულებს განახლებული ინფორმაცია მიეწოდათ საქართველოს ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოს შესახებ.	შესაბამის შტატებში ელჩის ვიზიტების დაგეგმვა და ბიზნეს წრეებთან შეხვედრა.
7.06.2021	FDI Business Diplomacy.	განხორციელდა სამუშაო ზარი კომპანია FDI Business Diplomacy -ის პარტნიორთან სალილ მოჰანთან.	ზარზე განხილულ იქნა კომპანიის მიერ ტეხასის შტატში „ტარგეტ“ კომპანიებთან დაკავშირება.	ზარების ჩანიშვნა სააგენტო აწარმოე საქართველოს თვის.
11.06.2021	OCO Global.	სამუშაო ზარი აწარმოე საქართველოს მიერ დაქირავებული კომპანიის OCO Global-ის აშშ-ში წარმომადგენელთან მერი მარტენსთან.	ზარზე განხილულ იქნა აშშ-ში კერძო კომპანიებთან საქართველოს საინვესტიციო კლიმატის შესახებ ინფორმაციის მიწოდების სტრატეგია და სამუშაო გეგმა.	აშშ-ში კერძო კომპანიებთან კომუნიკაციის დამყარება.

1.07.2021	Department of Commerce.	1 ივლისს, აშშ-ში საქართველოს საელჩოს, სან ფრანცისკოში გენერალური საკონსულოსა და აშშ-ის კომერციის დეპარტამენტის ეგიდით, ქართული კომპანიებისთვის (სტარტაპებისთვის) გაიმართა საინფორმაციო ვებინარი.	ვებინარის ფარგლებში, საქართველოში მოქმედ კომპანიები გაეცნენ ინფორმაციას ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში აშშ-ში არსებული რესურსების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სილიკონ ველიში ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში მოღვაწე კომპანიებისათვის აშშ-ს მთავრობის ფინანსური დახმარების მექანიზმებზე.	პერიოდულად მსგავსი სახის საინფორმაციო ვებინარების განხორციელება.

1.07.2021	IAOP.	აშშ-ში საქართველოს საელჩოს, სსიპ აწარმოე საქართველოში და ასოციაცია IAOP-ის ორგანიზებით, გაიმართა ვებინარი „Georgia – A next-wave eastern European Outsourcing Destination“. აღნიშნულ ვებინარს ესწრებოდნენ BPO სექტორში მოღვაწე უმსხვილესი ამერიკული კომპანიები.	ვებინარზე დამსწრე პირებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს BPO სექტორის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ.	
21.07.2021	American-Georgian Business Council.	საელჩომ და ამერიკა საქართველოს ბიზნეს საბჭომ უმასპინძლეს ბიზნეს საბჭოს წევრებს, მათ შორის კომპანია რუსთავის ფოლადის ხელმძღვანელებს და აშშ-ის მთავრობის და კონგრესის წარმომადგენლებს.		
12.08.2021	Baxter.	საელჩოსა და სააგენტო აწარმოე საქართველოში წარმომადგენლებმა გამართეს სამუშაო ზარი კომპანია Baxter-ის ვიცე პრეზიდენტთან ქეიდ კლურმანთან.	აღნიშნულ ზარზე კომპანიას მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის თაობაზე.	
18.08.2021	EPAC.	საელჩოსა და სააგენტო აწარმოე საქართველოში წარმომადგენლებმა გამართეს სამუშაო ზარი კომპანია EPAC-ის რეგიონალურ დირექტორთან პოლ რასონთან.	აღნიშნულ ზარზე კომპანიას მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის თაობაზე.	

5.10.2021	Caresoft Global.	დაგეგმილია სამუშაო ზარი საელჩოსა და სააგენტო აწარმოე საქართველოში წარმომადგენლებსა და კომპანია Caresoft Global -ის ვიცე დირექტორთან არულ პალნისამისთან		
22.10.2021	Meridian International Center.	ადგილობრივ კერძო სექტორის აღმასრულებელ დირექტორებთან დაგეგმილია ვახშამი საელჩოში.		
ოქტომბერი-დეკემბერი	აშშ-ში საქართველოს საპატიო კონსულები.	პანდემიიდან გამომდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია ელჩის ვიზიტი ტეხასის, ფლორიდისა და ლუიზიანის შტატებში.	ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ადგილობრივ ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრები.	
2021		სააგენტო აწარმოე საქართველოსთან და OCO Global-თან ერთად იდენტიფიცირებულ კომპანიებთან მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია.	იდენტიფიცირებულ კომპანიებთან გაგზავნილია 100 მდე წერილი და ელ. ფოსტა.	ინდივიდუალური გამოხმაურების საფუძველზე განხორციელდება სამუშაო შეხვედრები/ზარები საინვესტიციო გარემოს გაცნობის მიზნით.

ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულო

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
20 ნოემბერი 2020	ორგანიზაცია EIT Digital (ევროპის ტექნოლოგიების და ინოვაციების ინსტიტუტი).	გაცნობითი ხასიათის „ონლაინ“ შეხვედრა წამყვან ევროპულ ორგანიზაცია EIT Digital-ის, Silicon Valley Hub -ის მენეჯერ - მონიკა ბოტეისთან (Monica Botey).	ინფორმაციის გაცვლა ქართული მხარისა და EIT- წარმომადგენლებს შორის. ინფორმაცია დამუშავდა და მიეწოდა სხვადასხვა შესაბამის უწყებებს საქართველოში.	დაიგეგმა სამომავლო კონსულტაციები.
8 დეკემბერი 2020	კომპანია VXI.	„ონლაინ“ შეხვედრა კომპანია VXI-ის დამფუძნებლებთან ევა ვონგსა (Eva Wang) და დევიდ ჟოუსთან (David Zhou) ასევე სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ დირექტორ - მიხეილ ხიდურელთან BPO სექტორში კომპანიის შესაძლო გაფართოვება საქართველოში.	კომპანიას ქართული მხარის მიერ მიეწოდა სათანადო ინფორმაცია ქართული ბაზრის პოტენციალის შესახებ.	
13 იანვარი 2021	კომპანია VC Taskforce-ის მიერ შემოთავაზებული პროგრამები ეხმარება მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს ინვესტიციების მოზიდვასა და გაზრდაში.	გაიმართა კონსულტაციები კომპანია VC Taskforce-ის აღმასრულებელ დირექტორთან ჯუნ რაილისთან და მის გუნდთან.	განხილული იქნა შესაძლო პარტნიორობის შესახებ არსებული წინადადებები.	
28 იანვარი 2021	ინვესტორებთან შეხვედრა.	გაიმართა ონლაინ შეხვედრა ამერიკელ ინვესტორებთან ისააკ ეპალბაუმთან, მარკ აბრამოვიჩთან, ტედ ტუსინგთან და ორი სასონთან.	განხილული იქნა საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები.	შეხვედრის ფარგლებში დაიგეგმა აღნიშნული თანამშრომლობის სათანადო ჩარჩოს შექმნა.

10 თებერვალი 2021	ბერკლის უნივერსიტეტის წამყვანი ინკუბატორი Berkeley SkyDeck.	გაიმართა შეხვედრა პროგრამა Berkeley SkyDeck-ის დირექტორს გლობალური ინოვაციებისა და პარტნიორობის მიმართულებით, ჯორჯ პანაგიოტაკოპულოსთან. Skydeck-ი გლობალური სამეწარმეო პროგრამაა, რომელიც ბერკლის უნივერისტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს და მისი მისიაა სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარება ადგილობრივი და მსოფლიოს მასშტაბით.	შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველოსა და SkyDeck-ს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულება, რომელიც ქართული სტარტაპებისთვის ხელმისაწვდომს გახდის განვითარებისა და საერთაშორისო ბაზარზე წვდომის შესაძლებლობას.	დაიგეგმა სამომავლო შეხვედრები, საკითხების შემდგომი განხილვის მიზნით.
16 თებერვალი 2021		გენერალურმა კონსულმა ლევან ბერიძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოში ამერიკის ბიზნეს საბჭოს წევრებისათვის გამართულ ვირტუალურ შეხვედრაში, სადაც საელჩოს დესპან გიორგი ციკოლიასთან ერთად ისაუბრა საქართველოს საინვესტიციო გარემოზე.	სხვა სტუმრებთან ერთად, შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა საქართველოს ელჩი აშშ-ში დავით ბაქრაძე, რომელმაც მიმოიხილა, როგორც მიმდინარე ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები აშშ-სა და საქართველოს შორის, ასევე აშშ- დან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და სავაჭრო ურთიერთობების გასაღრმავებლად მიმართული საელჩოს საქმიანობა და გეგმები.	
18 მარტი 2021		გაიმართა შეხვედრა პროგრამა Berkeley SkyDeck-სა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენლებს შორის.	ონლაინ ფორმატში გამართულ შეხვედრაზე, Berkeley SkyDeck-ის აღმასრულებელმა დირექტორმა კაროლაინ ვინეტმა, დირექტორმა გლობალური ინოვაციებისა და პარტნიორობის მიმართულებით ჯორჯ პანაგიოტაკოპულოსმა, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავჯდომარემ ავთანდილ კასრაძემ და სტარტაპ	განისაზღვრა თანამშრომლობის მომდევნო ნაბიჯების დაგეგმვა. მათ შორის შესაძლო პროგრამის ჩამოყალიბება, რომელშიც ქართული სტარტაპები შეძლებენ მონაწილეობის.

			პროგრამების ხელმძღვანელმა თეიმურაზ მამაცაშვილმა განიხილეს თანამშრომლობის შესაძლებლობები. მხარეებმა ისაუბრეს იმ პერსპექტივების შესახებ, რაც ქართულ სტარტაპებს შესაძლებლობას უქმნის, ბერკლის ქსელსა და „სილიკონ ველის“ ეკოსისტემაში ინტეგრირებით, საერთაშორისო ასპარეზზე გავიდნენ.	მიღებას ქართული მხარის დაფინანსებით.
25 მარტი 2021		გაიმართა კონსულტაციების მორიგი ეტაპი გენერალურ კონსულ ლევან ბერიძესა და EIT Digital-ის სილიკონის ველის ჰაბის მენეჯერთან მონიკა ბოტთან და ჯენ გროტენბრეგთან.	განხილულ იქნა კონკრეტული პროგრამები და ქართული მხარის მონაწილეობა/ხელმისაწვდომობა აღნიშნულ პროგრამებზე.	ინფორმაცია მიეწოდა საქართველოს განათლების სამინისტროს შოთა რუსთაველის მეცნიერებათა აკადემიას და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს.
7 აპრილი 2021		საქართველოს გენერალურმა კონსულმა სან ფრანცისკოში, ლევან ბერიძემ მონაწილეობა მიიღო ‘’ანგელოზ ინვესტორთა კლუბის“ მიერ ორგანიზებულ ვირტუალურ ღონისძიებაში, რომელსაც კლუბის დამფუძნებლებმა გიორგი ბაზღაძემ, ესბენ ემბორგმა და გელა სულმა უმასპინძლეს.	ღონისძიებას ესწრებოდნენ ‘’ანგელოზ ინვესტორები’’ და ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნებიდან. სიტყვით გამოსვლისას გენერალურმა კონსულმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და ამერიკას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებს ინოვაციების და სტარტაპების განვითარების მიმართულებით. ღონისძიების მონაწილეებს ასევე საშუალება ჰქონდათ მოესმინათ წარმატებული ქართული სტარტაპის ‘’კვალიფიკას’’	

			შესახებ. სტარტაპის დამფუძნებლებმა ისაუბრეს კომპანიის განვითარების გეგმებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებზე გაფართოების პოტენციალზე.	
15 აპრილი 2021	„საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“, ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე კომპანიები და სტარტაპები.	შედგა ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელის მოწერის ცერემონია ვირტუალურ სივრცეში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა (GITA) და ‘’საქართველოს ტექმეგობრებს’’ შორის. ღონისძიებას დაესწრნენ და სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს გენერალური კონსული ლევან ბერიძე, “საქართველოს ტექმეგობრების’’ წევრები, სენატორი ნორმ კოლმანი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა.	მემორანდუმი მიზნად ისახავს სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებასა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას საქართველოსა და კალიფორნიის შტატის სტარტაპ ეკოსისტემის წარმომადგენლებს შორის. “საქართველოს ტექმეგობრები” იღებენ ვალდებულებას შეთავაზონ ნახევარი მილიონი აშშ დოლარი ინვესტიციების სახით ქართულ სტარტაპებს, შემდგომი განვითარებისთვის.	დაგეგმილია შესაბამის კომპანიების სიის რეგულარული მიწოდება აღნიშნული ინვესტორებისთვის. გენერალური საკონსულოს ეგიდით იგეგმება აღნიშნული და სხვა ინვესტორების დელეგაციის ჩამოყვანა საქართველოში.
17 ივნისი 2021		საქართველოს გენერალურმა საკონსულომ სან-ფრანცისკოში გამართა კონფერენცია “Georgia: View from Silicon Valley”, რომელიც მიეძღვნა გლობალური დიჯიტალიზაციის თანამედროვე ტრენდებს. კონფერენციაში, სხვა სტუმრებთან ერთად, მონაწილებდნენ აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, საქართველოს ელჩი აშშ-ში დავით ბაქრაძე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ირაკლი ნადარეიშვილი, ამერიკა-საქართველოს	კონფერენციაზე განიხილეს ხელოვნური ინტელექტის განვითარება და ზეგავლენა სხვადასხვა ინდუსტრიაზე, ასევე აშშ-ისა და საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივები ტექ-სექტორში.	
		ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტი მამუკა წერეთელი.		

28 ივნისი 2021		გენერალურმა კონსულმა ლევან ბერიძემ ორგანიზაცია GlobalSF-თან გამართა პოდკასტი სადაც ისაუბრა საქართველოს საინვესტიციო გარემოზე და გენერალური საკონსულოს სამომავლო გეგმებზე ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.		
1 ივლისი 2021		გენერალური საკონსულოს ხელმძღვანელობითა და ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ დისკუსია მრგვალი მაგიდის ფორმატში: U.S.-Georgia ICT Partnership: Developing Start-up Capabilities in the United States, რომელიც მიეძღვნა საქართველო-აშშ- ის შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობას.	შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ აშშ-ის კომერციის დეპარტამენტის საერთაშორისო სავაჭრო ადმინისტრაციის ევროპისა და ევრაზიის მდივნის მოადგილე დევიდ დე ფალკო, აშშ-ში საქართველოს საელჩოს დესპანი გიორგი ციკოლია და GITA-ს ხელმძღვანელი ავთანდილ კასრაძე.	
28 ივლისი 2021		გაიმართა შეხვედრა ორგანიზაცია Economic Roundtable of SF-თან. გენერალურმა კონსულმა მის გამოსვლაში ისაუბრა საქართველოს მიმზიდველ საინვესტიციო გარემოზე და ბიზნეს ვითარებაზე.		
9 აგვისტო 2021		500 Startups-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე 500 Startups პროგრამის გამარჯვებული ოთხი ქართული სტარტაპი: Payze, Agrolabs, Cardeal და Cargon-ი ინვესტორების წინაშე წარსდგნენ. კომპანიები, რომლებიც 500 Startups-ის აქსელერაციის პროგრამაში იღებენ მონაწილეობას, აქტიურად აწარმოებენ მოლაპარაკებებს	საქართველოს გენერალური საკონსულო განაგრძობს ქართული სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერებისა და განვითარებისთვის საჭირო ქმედებების განხორციელებას. გენერალური საკონსულო მზად არის ხელი შეუწყოს ქართული კომპანიების დამკვიდრებას	

		ინვესტორებთან და პოტენციურ პარტნიორებთან მომავალი თანამშრომლობის და კომპანიების ზრდისა და გაფართოვების პერსპექტივების განხილვის მიზნით.	Silicon Valley-ზე და მიესალმება ამერიკასა და საქართველოს შორის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.	
9 აგვისტო 2021		GITA-ს და გლობალური ვენჩურული კაპიტალის პლათფორმას Catapult-ს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის ფარგლებში ქართულ სტარტაპებს შესაძლებლობა ეძლევათ მოიზიდონ დამატებითი ინვესტიციები ფონდის მეშვეობით და გავიდნენ გლობალურ ბაზარზე.		
10 აგვისტო 2021		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს გენერალურ საკონსულოში სან- ფრანცისკოში შედგა შეხვედრა კომპანია Oracle-ის მთავარ მრჩეველთან ლუკ კოვალსკისთან.	შეხვედრისას, ქართულმა მხარემ გააცნო კომპანია Oracle-ის წარმომადგენელს საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი.	
12 აგვისტო 2021		შედგა შეხვედრა SpaceX-ის სათაო ოფისში, კომპანიის უფროს ფინანსურ ოფიცერთან, ბრეტ ჯონსონთან, უფროს ფინანსურ დირექტორთან, დევიდ ფინლისთან და SpaceX-ის ერთ-ერთ ინვესტორ, ბილ რეიქერთან. შეხვედრის ფარგლებში ასევე განხილულ იქნა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველო გახდეს ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელსაც მიეწოდება Starlink თანამგზავრული ინტერნეტი.	7-12 აგვისტოს, საქართველოს გენერალურმა საკონსულომ სან ფრანცისკოში უმასპინძლა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დელეგაციას, რომელსაც უძღვებოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ირაკლი ნადარეიშვილი, “საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს” ხელმძღვანელი ავთანდილ კასრაძე და “აწარმოე	დაიგეგმა სამომავლო შეხვედრა აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით.

			საქართველოს” ხელმძღვანელი მიხეილ ხიდურელი.	
16 სექტემბერი 2021		შედგა გენერალური კონსულისა და GITA-ს ხელმძღვანელის ავთანდილ კასრაძის მორიგი ონლაინ შეხვედრა კომპანია Starlink SpaceX-ის წარმომადგენელთან, რაიან გუდნაიტთან.	შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს საქართველოში Starlink სისტემისა და სატელიტური ინტერნეტის დანერგვის შესაძლებლობები.	
27 სექტემბერი 2021		შედგა შეხვედრა ორგანიზაცია EIT Digital-თან. შეხვედრისას განხილულ იქნა შოთა რუსთაველის სახელობის მეცნიერებათა აკადემიას, ასევე GITA- სა და EIT Digital-ს შორის თანამშრომლობის მიმართულებები.	განხილულ იქნა კონკრეტული პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ახალგაზრდა პროფესიონელები და სტარტაპ კომპანიები.	
28 ოქტომბერი 2021				აშშ-ის კომერციის დეპარტამენტის საერთაშორისო ვაჭრობის ადგმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად, დაგეგმილია ვებინარის გამართვა ქართული კომპანიებისთვის, სადაც მათ საშუალება ექნებათ გაეცნონ სხვადასხვა ინკუბატორებისა და აქსელერატორების შესაძლებლობებს და დაამყარონ მათთან პირდაპირი კავშირი.

ბელგიის სამეფო

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
იანვარი - თებერვალი 2020	კონსულტაციები ფლანდრიის რეგიონის ინვესტიციებისა და ვაჭრობის პალატის წარმომადგენლებთან.	საქართველოში ფლანდრიის რეგიონის სავაჭრო და საინვესტიციო სააგენტოს ბიზნეს მისიის ორგანიზება.	2020 წლის ივნისში დაიგეგმა ბიზნეს მისიის ორგანიზება, რომელში მონაწილეობის მიღების სურვილი 15 ფლანდრიული კომპანიამ გამოთქვა. პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების გამო ბიზნეს მისია ვერ განხორციელდა.	კონსულტაციების წარმოება ფლანდრიის რეგიონის ინვესტიციებისა და ვაჭრობის პალატის წარმომადგენლებთან 2022 წლის ზაფხულში ბიზნეს მისიის ორგანიზების მიმართულებით.
12.02.20	ბელგიური კომპანია BESIX.	საქართველოს ინფრასტრუქტურულ და სამშენებლო სექტორებში ინვესტიციების განხორციელება.	2021 წელს საქ. ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრის შემდგომ BESIX-ის წარმომადგენლებმა ინტერესი გამოთქვეს საქართველოში ვიზიტის განხორციელებაზე, თუმცა პანდემიის გამო, ვიზიტის განხორციელება ვერ მოხერხდა.	პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ იგეგმება კონსულტაციების განახლება.
21.02.20	ტექსტილის მწარმოებელ კომპანია Symatex.	საქართველოს ტექსტილი წარმოების სექტორებში ინვესტიციების განხორციელება.	პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების გამო კონსულტაციების წარმოება დროებით შეჩერებულია.	პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ იგეგმება კონსულტაციების განახლება.
6.03.20	ხილ-ბოსტნეულის ბელგიური საერთაშორისო კომპანია UNIVEG.	საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორებში ინვესტიციების განხორციელება.	პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების გამო კონსულტაციების	პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ იგეგმება კონსულტაციების განახლება.

			წარმოება დროებით შეჩერებულია.	
19.04.20	ვირტუალური შეხვედრა - ბელგიური კომპანია Cenaero.	საქართველოს ენერგეტიკის (განახლებადი წყაროები; ქარის ენერგია) სექტორებში ინვესტიციების განხორციელება.	პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების გამო კონსულტაციების წარმოება დროებით შეჩერებულია.	პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ იგეგმება კონსულტაციების განახლება.
17.05.20	ვირტუალური შეხვედრა - ბელგიური კომპანია Renson.	საქართველოში ენერგო-ეფექტურობის პროექტებში მონაწილეობის და თანა-ინვესტირების პერსპექტივები.	პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების გამო კონსულტაციების წარმოება დროებით შეჩერებულია	პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ იგეგმება კონსულტაციების განახლება.
			ურთიერთობების საბჭოს (DEIK – Foreign Economic Relations Board of Turkey) და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ერთობლივი ორგანიზებით და საქართველო-თურქეთის და თურქეთ-საუდის არაბეთის ბიზნეს საბჭოების მონაწილეობით.	
16.06.2020	მრეწველთა და ბიზნესმენთა ასოციაცია - „MÜSİAD“.	პრეზენტაციის ფორმით, მრეწველთა და ბიზნესმენთა ასოციაცია - „MÜSİAD“-ს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ.	„MÜSİAD“ თავმჯდომარემ და თურქმა ბიზნესმენებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის ეკონომიკური და საინვესტიციო რეფორმებისა და გეგმების შესახებ.	საქართველოს ელჩმა, **გიორგი ჯანჯღავამ** შეხვედრა გამართა ბათუმში მოქმედ მრეწველთა და ბიზნესმენთა ასოციაციის - „MÜSİAD“ თავმჯდომარესთან, **ჰამზა ქოსესთან** და თურქ ბიზნესმენებთან.
20.11.2020	**„ქორუს საავადმყოფოების“** ქსელი.	ინვესტიციების განხორციელება საქართველოს ჯანდაცვის სფეროში.	გლობალური პანდემიის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებებს შორის აქტიური თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.	საქართველოს ელჩმა **გიორგი ჯანჯღავამ** შეხვედრა გამართა თურქეთის „ქორუს საავადმყოფოების“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარესთან პროფ. დოქ. **ჰასან ბირისთან**, „ქორუს სამედიცინო ჯგუფის“ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარესთან და ყოფილ გუბერნატორთან დოქ. **აჰმეთ ალთიფარმაქთან** და საერთაშორისო პაციენტთა დეპარტამენტის ხელმძღვანელთან **სევიმ ქაიასთან.**
26.11.2020	კომპანია „Strong Albayrak Group“ (წამყვანი	ინვესტიციების განხორციელება	შეხვედრის დასასრულს, მხარეები შეთანხმდნენ,	საქართველოს ელჩმა **გიორგი ჯანჯღავამ** შეხვედრა გამართა თურქული კომპანიის

	პოზიციები უკავია თურქეთის ჯანდაცვის სფეროში).	საქართველოს ჯანდაცვის სფეროში.	რომ გააგრძელებენ აქტიურ კომუნიკაციას, თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიზნით.	„Strong Albayrak Group“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარესთან **მაჰმუთ სელიმ ალბაირაქთან**
02.12.2020	„ოზთექ ტექსტილი“.	პოსტ-პანდემიურ პირობებში, საქართველოში ინვესტიციების განხორციელების პერსპექტივები.	**„ოზთექ ტექსტილს“** აკავშირებს მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობა საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან.	საქართველოს ელჩმა **გიორგი ჯანჯღავამ** შეხვედრა გამართა თურქული კომპანიის „ოზთექ ტექსტილი“ **(Öztek Tekstile**) მფლობელთან და გენერალურ დირექტორთან **მუსტაფა იმერ ოზთექთან** და მმართველთა საბჭოს წევრთან **ისმაილ ჰაჯეთთან.**
11.12.2020	თურქეთის საერთაშორისო საინვესტიციო და ბიზნეს კონფედერაცია (ULUKSON).	**პრეზენტაციის ფორმით**, საქართველოს ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ ULUKSON-ის ხელმძღვანელობას გააცნო საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები და ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის ინიციატივები.	განიხილება ULUKSON-ის წარმომადგენლების საქართველოში სამუშაო ვიზიტის შესაძლებლობა პოსტ-პანდემიურ პერიოდში, საქართველოში ინვესტიციების განხორციელების პერსპექტივების შესასწავლად. ბიზნეს კონფედერაცია ახორციელებს საინვესტიციო პროექტებს აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.	საქართველოს ელჩმა, **გიორგი ჯანჯღავამ** შეხვედრა გამართა თურქეთის საერთაშორისო საინვესტიციო და ბიზნეს კონფედერაციის (ULUKSON) პრეზიდენტთან, **ნეზაქეთ ემინე ათასოისთან** და მმართველთა საბჭოს წევრებთან.
2020-2021 წლების განმავლობაში	კომპანია **„ENKA“.**	ენერგეტიკის სფერო.		**ცენტრიდან მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად,** შედგა რამდენიმე შეხვედრა

				ქ. სტამბოლში და ასევე, გაიმართა რამდენიმე სატელეფონო კომუნიკაცია, საქართველოს ელჩს გიორგი ჯანჯღავასა და თურქეთის წამყვანი სამშენებლო და ენერგეტიკული კომპანიის **„ENKA“**-ს მფლობელთან და მმართველთა საბჭოს თავმჯდომარესთან, **მეჰმეთ სინან თარასთან.**
	2021			
თარიღი	**სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა. შ.)**	**თემატიკა**	**შედეგი**	**დაგეგმილი საქმიანობა**
09.03.2021	ქართული კომპანიების დაინტერესება “Marmara International Eurasian Economic Summit”-ით.	თანამშრომლობის პერსპექტივები მარმარას ჯგუფის სტრატეგიული და სოციალური კვლევის ფონდთან **(Marmara Group Foundation**). აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ფონდი დაარსდა 1985 წელს და მისი ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება **“Marmara International Eurasian Economic Summit**”.	ქართულ მხარეს მიეწოდა სრული ინფორმაცია **“Marmara International Eurasian Economic Summit**”-ის შესახებ.	საქართველოს ელჩმა **გიორგი ჯანჯღავამ** შეხვედრა გამართა მარმარას ჯგუფის სტრატეგიული და სოციალური კვლევის ფონდის (Marmara Group Foundation) პრეზიდენტთან, **აქქან სუვერთან** და ამავე ფონდის გენერალურ მდივანთან **ჯაფერ ოქრაისთან.**
10.03.2021	**„Koza“** ჰოლდინგი-საქმიანობს სამთო მრეწველობის, ენერგეტიკის, სამშენებლო, ავიაციის, სურსათისა და ტურიზმის სფეროებში.	პოსტ-პანდემიურ პერიოდში, აღნიშნული ჰოლდინგის მიერ, საქართველოში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობები.	ჰოლდინგის ხელმძღვანელი პირებისა და თანმხლები დელეგაციის საქართველოში სამუშაო ვიზიტის ორგანიზება.	საქართველოს ელჩმა **გიორგი ჯანჯღავამ** შეხვედრა გამართა თურქეთის ერთ-ერთი წამყვანი ჰოლდინგის **„Koza“** პრეზიდენტთან, **ისმეთ დემირთან** და ამავე ჰოლდინგის მმართველთა საბჭოს წევრებთან.

16.03.2021	ქართული უნივერსიტეტები; სამედიცინო კლინიკები.	საქართველოს ჯანდაცვის სფეროში ინვესტიციების განხორციელება.	**MOU-ს** გაფორმება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ბაშქენთის უნივერსიტეტს შორის.	საქართველოს ელჩმა **გიორგი ჯანჯღავამ** შეხვედრა გამართა ანკარის ბაშქენთის უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო კლინიკის **დამაარსებელთან და მფლობელთან პროფ. დოქ. ალი ჰაბერალთან.**
31.03.2021	საერთაშორისო გამოფენა ,,Hatay Expo'21".	საერთაშორისო გამოფენაში ქართული კომპანიების მონაწილეობის შესაძლებლობა.	ქართულმა კომპანიებმა უარი თქვეს გამოფენაში მონაწილეობაზე.	საქართველოს ელჩმა, **გიორგი ჯანჯღავამ** საელჩოში უმასპინძლა თურქეთის ქ. ჰათაის მერს **ლუთფუ სავაშს,** საერთაშორისო გამოფენის ,,Hatay Expo'21" საორგანიზაციო ჯგუფის გენერალურ მდივანს, **იჰსან ჩაქარსა** და საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს.
25.06.2021	მავრიტანიის სავაჭრო-საინვესტიციო პალატების გაერთიანება.	ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა საქართველოში	პოსტ-პანდემიურ პერიოდში იგეგმება მავრიტანიიდან ბიზნეს-დელეგაციის ვიზიტი	საქართველოს ელჩმა **გიორგი ჯანჯღავამ** ქ. ნუაქშოტში, მავრიტანიის სავაჭრო-საინვესტიციო პალატების გაერთიანების ხელმძღვანელობას პრეზენტაცია ჩაუტარა საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ.
28.07.2021	კონფერენცია ქ. თოქათში „Ecotourism and Sustainable Tourism Conference & Networking Event (estc)".	ინვესტიციების განხორციელება საქართველოს ტურიზმის სფეროში.	საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა.	საქართველოს ელჩმა **გიორგი ჯანჯღავამ** მონაწილეობა მიიღო თურქეთის ქალაქ თოქათში, ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის (TIES) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში **„Ecotourism and Sustainable Tourism Conference & Networking Event (estc)".** საქართველოს ელჩმა **სიტყვით მიმართა** დამსწრე საზოგადოებას და გააკეთა **პრეზენტაცია** საქართველოს შესახებ.

29.07.2021		საქართველო - თურქეთის სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები, სავაჭრო - ეკონომიკურ და კულტურულ - ჰუმანიტარულ სფეროებში ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები და ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.	ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა განმტკიცება.	საქართველოს ელჩმა, **გიორგი ჯანჯღავამ** შეხვედრა გამართა თურქეთის ქ. სივასის გუბერნატორთან, **სალიჰ აიჰანთან.**
22.09.2021	ფოთის თიზ-ში ინვესტირებით დაინტერესებული თურქული კომპანიები.	ინვესტიციების განხორციელება ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და ასევე, საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაცნობა.	ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა **ახალი ფორმატის: საქართველო - თურქეთი - ყურის ქვეყნები** მნიშვნელობა სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით და საქართველოში ახალი ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით.	ქ. სტამბოლში საქართველოს ელჩი **გიორგი ჯანჯღავა** გამოვიდა სიტყვით და გააკეთა პრეზენტაცია ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ გამართულ ღონისძიებაზე. ღონისძიება მოეწყო **საქართველოს საელჩოს ჩართულობით,** თურქეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს (**DEIK – Foreign Economic Relations Board of Turkey**) და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ერთობლივი ორგანიზებით და **საქართველო-თურქეთის** და **თურქეთ-საუდის არაბეთის** ბიზნეს საბჭოების მონაწილეობით.
23.09.2021	Zorlu Holding მოიცავს ტექსტილის, ენერგეტიკის, ელექტრო-	ინვესტიციების განხორციელება საქართველოში.	პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველოში შესაძლო	საქართველოს ელჩი, **გიორგი ჯანჯღავა** შეხვდა Zorlu Holding-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს **აჰმეთ ზორლუს.**

	პროდუქციის წარმოების, სასტუმროების ქსელს და სხვა სფეროებს და აერთიანებს ისეთ კომპანიებს, როგორიცაა **TAC, Linens, Valeron, Vestel, Zorlu Enerji**, და სხვა.		ვიზიტი და საინვესტიციო გარემოს შესწავლა.	

ცნობისათვის: *გასულ წლებთან შედარებით, 2020-2021 წლებში, საელჩოს მიერ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებებისა და აქტივობების სიმწირე განპირობებულია ადგილსამყოფელ ქვეყანაში კოვიდ-პანდემიით გამოწვეული რთული ვითარებით.*

<u>თურქმენეთი</u>

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
16.01.2020 17.01.2020	თურქმენეთში საქართველოს ელჩის **მამუკა მურჯიკნელის** შეხვედრა თურქმენეთის მარის და ლებაპის ველაიათების ჰაკიმებთან (გამგებლებთან) **დოვრანბერდი ანაბერდიევთან** და **ტანრიგული ათაჰალიევთან.**	საქართველოსა და თურქმენეთის რეგიონებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარება.	ჰაკიმებმა მოიწონეს ქართული მხარის იდეა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას.	შესაბამისი რეგიონების შერჩევა და მათ შორის შეთანხმებათა პროექტების მომზადება. მუშაობა მიმდინარეობს. შედეგის დადგომას ხელს უშლის, პანდემიის გამო თურქმენეთის მიერ გადაადგილებაზე დადგენილი მკაცრი შეზღუდვები.
07.02.2020	თურქმენეთში საქართველოს ელჩის **მამუკა მურჯიკნელის** შეხვედრა თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრის	თურქმენეთის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ვალის	ვალის დაფარვის გზების ძიების კონტექსტში, ქართულმა მხარემ შესთავაზა ფოთის პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე	შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად მისაღები აღმოჩნდება აღნიშნული წინადადება თურქმენული

	მოადგილესთან **ვეპა ჰაჯიევთან**.	დაფარვის გზების ძიება.	თურქმენეთისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა, იმ პირობით, რომ მასზე აიგება ინფრასტრუქტურული ობიექტი, თურქმენული ტვირთის დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირებისათვის.	მხარისათვის, რომელიც ჯერ აგრძელებს მის შესწავლას.
19.06.2020	თურქმენეთში საქართველოს ელჩმა **მამუკა მურჯიკნელმა** მოლაპარაკებები გამართა თურქმენეთის ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრთან **ორაზმირატ გურბანნაზაროვთან**.	1. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე თურქმენეთის სატვირთო ტერმინალის აგება. 2. საქართველოს ტერიტორიაზე საქართველო - თურქმენეთის ერთობლივი საწარმოების დაფუძნება.	როგორც მინისტრმა აღნიშნა, ორივე ეს თემა თურქმენული მხარისათვის საინტერესოა და მიზანშეწონილია მათი შესწავლა.	შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს აღნიშნულ წინადადებებთან დაკავშირებით თურქმენული მხარე. მათთან მუშაობა გრძელდება.
01.12.2020	თურქმენეთში საქართველოს ელჩის **მამუკა მურჯიკნელის** შეხვედრა თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან **ვეპა ჰაჯიევთან**.	ქართული მხარის მიერ გარკვეული დროის წინ შეთავაზებული იყო თურქმენეთის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ვალის გასტუმრების სქემა, რომელშიც ქ. ფოთში მიწის ნაკვეთის თურქმენული მხარისათვის უსასყიდლოდ გადაცემაც იგულისხმებოდა.	თურქმენეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული სქემის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ქვეყნის ცენტრალურ ბანკს და ფინანსთა სამინისტროს. სამწუხაროდ, მათგან ჯერ პასუხი არ ჩანს. კარგი იქნება, თუ აღნიშნულ წინადადებას ქართული მხარე ოფიციალური დოკუმენტის სახით მოგვაწვდის. ეს ალბათ დაგვეხმარებოდა საკითხის დადებითად გადაჭრაში.	თურქმენული მხარე ჯერ აგრძელებს ქართული მხარის წინადადების შესწავლას. ჩვენი შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად მისაღები აღმოჩნდება აღნიშნული წინადადება თურქმენული მხარისათვის.

26.05.2021	თურქმენეთში საქართველოს ელჩის **მამუკა მურჯიკნელის** შეხვედრა თურქმენეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან **რაშიდ მერედოვთან**.	თურქმენეთის პრეზიდენტი დაინტერესდა, ძალაშია თუ არა ქართული მხარის წინადადება თურქმენული მხარისათვის ფოთში მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ.	თურქმენული მხარის დაინტერესების შემთხვევაში, არ უნდა გაგვიჭირდეს ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება.	ველოდებით თურქმენული მხარის პრინციპულ თანხმობას, რათა დაიწყოს მუშაობა ნაკვეთის გადაცემის პირობებზე.

<u>იაპონია</u>

თარიღი	**სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)**	**თემატიკა**	**შედეგი**	**დაგეგმილი საქმიანობა**
2020 წლის აპრილი	იაპონური კომპანია TEPCO Renewable & Power.	ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების განხორციელება.	2020 წლის აპრილში, უმსხვილესმა იაპონურმა ელექტრო ენერგიის მწარმოებელმა კომპანია „TEPCO Renewable & Power“-მა დარიალის ჰესის პროექტში ინვესტიცია განახორციელა, რაც იაპონიის მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს შორის	ინვესტიციების მოცულობის გაზრდის მიზნით, საელჩო აქტიურად თანამშრომლობს TEPCO-სთან და მართავს შეხვედრებს აღნიშული კომპანიის წარმომადგენლებთან.

			უმსხვილესია.	
2021 წლის იანვარი	იაპონური და ქართული კომპანიების ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობა.	ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინვესტიციების მოზიდვა.	ხელი მოეწერა იაპონია-საქართველოს შორის ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებას (BIT).	მ/წლის 26 ივლისს შეთანხმება ძალაში შევიდა.
2021 წლის იანვარი	იაპონური და ქართული კომპანიების ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობა.	ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება.	ხელი მოეწერა იაპონია-საქართველოს შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას.	მ/წლის 26 ივლისს შეთანხმება ძალაში შევიდა.
2021 წლის იანვარი	იაპონელი ფართო საზოგადოება/მომხმარებელი.	ქართული სამზარეულოს პოპულარიზაცია.	საელჩოს ხელშეწყობით, იაპონიის 50 ათასამდე მაღაზიაში გაყიდვაში შევიდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საკვების მწარმოებელი კომპანია - ნიშშინის (NISSIN) მიერ წარმოებული ქართული კერძის, შქმერულის ნახევარფაბრიკატი.	თვენახევარში შქმერულის 1,000,000-მდე პორცია გაიყიდა. საელჩო აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით.
2021 წლის იანვარი	იაპონელი ფართო საზოგადოება/მომხმარებელი.	ქართული პროდუქტის პოპულარიზაცია.	რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ, იაპონიაში ქართული კივის პირველი პარტია შემოვიდა. კივის შეფუთვაზე დატანილ იქნა ქართული დროშა, რუკა და საქართველოს შესახებ მოკლე აღწერა, რომელშიც აღნიშნულია საქართველოს ბუნების სიმდიდრე, ინფორმაცია ისტორიისა და კულტურის	საელჩო თავიდანვე მაქსიმალურად იყო ჩართული და ხელს უწყობდა აღნიშნულ პროექტს, რომლის განხორციელებისათვის მოლაპარაკებები 2019 წლის აგვისტოდან მიმდინარეობდა. მომავალშიც გაგრძელდება საელჩოს ჩართულობა იაპონიაში ქართული პროდუქტის პოპულარიზაციის კუთხით.

			შესახებ და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ კივის ექსპორტის მოცულობა საქართველოდან იაპონიაში 5 ჯერ გაიზარდა.	
2021 წლის თებერვალი	მსხვილი იაპონური კომპანიების ბიზნეს გარემოთი დაინტერესება.	ინვესტიციების მოზიდვა.	შეხვედრა იაპონური კომპანიის „Toyota Tsusho“-ს ტოკიოს მთავარი ოფისის წარმომადგენლებთან. საუბარი შეეხო ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს.	18-31 ივლისს იაპონური კომპანიის „Toyota Tsusho“ წარმომადგენლები საქართველოს ეწვივნენ. წლის განმავლობაში ჩვენს მიერ აღნიშნულ კომპანიასთან აქტიური თანამშრომლობით, 2021 წლის ივნისის თვეში „Toyota Tsusho“-მ წარმოადგინა კონკრეტული საქმიანობის გეგმა წყალბადთან დაკავშირებით. კომპანია დაგვპირდა, რომ წლის ბოლომდე გამოგზავნიან უკვე შეთანხმებულ პროექტს. საელჩო აგრძელებს მუშაობას, რათა კომპანიისგან მიიღოს უკვე დამტკიცებული შემოთავაზება საქართველოში შესაბამისი პროექტის განხორციელების თაობაზე.
2021 წლის მარტი	ეკონომიკური თანამშრომლობა იაპონურ და ამერიკულ მხარეებთან.	ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა, საქართველოს ჩართულობა მსხვილ ენერგეტიკულ პროექტებში, ასევე საქართველოში 5G ქსელის განვითარების პერსპექტივები.	ქართული მხარის ინიციატივით, ტოკიოში აშშ-ს ელჩის რეზიდენციის შენობაში შეხვედრა გაიმართა იაპონიაში აშშ-ს საქმეთა დროებით რმუნებულთან ჯოზეფ იანგთან (Joseph M. Young). შეხვედრაზე ამერიკულ მხარესთან ორმხრივი და მრავალმხრივი ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების გარდა, განხილვის მთავარ საკითხს წარმოადგენდა საქართველოს, აშშ-სა და იაპონიას შორის სამმხრივი ეკონომიკური	დაგეგმილია შეხვედრა მსხვილ იაპონურ კომპანიასთან “Rakuten”. უნდა აღინიშნოს, რომ მათთან შეხვედრის რეკომენდაცია ამერიკულმა მხარემ გაგვიწია. პანდემიის გამო ვერ მოხერხდა კომპანიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა, თუმცა შეხვედრა დაიგეგმება, როგორც კი ამის შესაძლებლობა მოგვეცემა.

			თანამშრომლობის შესაძლო პერსპექტივები. მსგავსი შეხვედრა ასევე გაიმართა იაპონიაში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან.	
2021 წლის მარტი	მსხვილი იაპონური კომპანიების ბიზნეს გარემოთი დაინტერესება.	ინვესტიციების მოზიდვა. საქართველოში მიმდინარე პროექტების ხელშეწყობა.	მორიგი შეხვედრა გაიმართა იაპონური კომპანიის „ITOCHU“-ს ხელმძღვანელობასთან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო „ITOCHU“-ს მიერ საქართველოში განხორციელებულ აქტივობებს და მომავალში დაგეგმილ საქმიანობას, ასევე საელჩოსთან თანამშრომლობის პერსპექტივებს.	
2021 წლის მარტი	იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.	ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინვესტიციების მოზიდვა.	იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აზიისა და კავკასიის დეპარტამენტის დირექტორთან, იოშინორი ტაკედასთან შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე სხვა მნიშვნელოვან საკიხებთან ერთად საუბარი შეეხეხო ასევე იაპონია-საქართველოს შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის საკითხს.	იაპონიის საგარეო საქმეთა, იაპონიის ეკონომიკის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების ხელშეწყობით ტოკიოში და/ან თბილისში ეკონომიკური ღონისძიებების ორგანიზება.
2021 წლის მარტი	კომპანია Toyota	ინვესტიციების მოზიდვა.	ონლაინ შეხვედრა გაიმართა	

	Caucasus.		საქართველოში იაპონური კომპანიის „Toyota Caucasus“ პრეზიდენტთან. საკითხი შეეხო საქართველოში კომპანიის მიერ განხორციელებული რეინვესტირების საკითხებს, რომელიც მიზნად საქართველოში ტოიოტას ცენტრისა და და საქმიანობის არეალის გაფართოებას.	
2021 წლის მარტი	იაპონიის სახელმწიფო უწყებები.	იაპონიის სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.	შეხვედრა გაიმართა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) ტოკიოს ოფისის ხელმძღვანელობასთან.შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოსა და იაპონიას შორის თანამშრომლობის დინამიურ განვითარებას, განსაკუთრებით იაპონური ინვესტიციების ზრდას, რომლის კარგი მაგალითია 2020 წელს საქართველოში იაპონური ენერგეტიკული კომპანიის მიერ „TEPCO Renewable Power“ ინვესტიციების განხორციელება, ასევე აღინიშნა, რომ 2021 წელს იაპონია-საქართველოს შორის ორმხრივ საინვესტიციო (BIT) და „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების“ შესახებ	საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) ჩართულობა იაპონური კომპანიების მიერ საქართველოში საქმიანობის დაწყების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, საელჩო ყოველთვის ცდილობს და მომავალშიც ეცდება JICA-ს ამ პროცესებში მონაწილეობას.

			შეთანხმებების ხელმოწერამ დამატებითი სტიმული მისცა იაპონელ ბიზნესმენებს საქართველოში ბიზნეს კეთების თვალსაზრისით.	
2021 წლის მარტი	იაპონიის ეკონომიკური პროფილის სახელმწიფო უწყებები.	იაპონიის სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.	შეხვედრა გაიმართა იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს (METI) სავაჭრო პოლიტიკის ბიუროს კავკასიის ოფისის დირექტორთან. სამინისტროს წარმომადგენლებს მივაწოდეთ განახლებული ინფორმაცია საქართველოს ბიზნეს გარემოსთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გავაცანით საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი, ხაზი გავუსვით ენერგეტიკულ და ინფრასტრუქტურულ პროექტების მიმდინარეობას.	
2021 წლის აპრილი	იაპონიის ეკონომიკური პროფილის სახელმწიფო უწყებები.	საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის გაცნობა ენერგეტიკის სფეროში.	მორიგი შეხვედრა იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს (METI) წარმომადგენლებთან.	METI -სთან ერთად ქართულ-იაპონური ბიზნეს ფორუმის ორგანიზება.
2021 წლის აპრილი	იაპონური კომპანია TEPCO Renewable & Power.	ინვესტიციების მოზიდვა საქართველოში მწვანე წყალბადის განვითარებასთან დაკავშირებით.	შეხვედრა იაპონური კომპანიის „TEPCO Renewable Power“ ხელმძღვანელობასთან.	TEPCO-ს მიერ საქართველოში საქმიანობის არეალის გაფართოების მიზნით, აქტიური თანამშრომლობა ამ კომპანიასთან.
2021 წლის აპრილი	იაპონური კომპანიების საქართველოს	ინვესტიციების მოზიდვა.	საელჩოს ორგანიზებით, სამმხრივი ონლიან შეხვედრა გაიმართა იაპონური კომპანიის	საელჩოს, იაპონური კომპანიის “NS Semicon Co. Ltd” და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ერთობლივი ძალისხმევით,

	ბიზნეს გარემოთი დაინტერესება.		“NS Semicon Co. Ltd”-ის პრეზიდენტთან ჰიროში მაშიმოსთან (Hiroshi Mashimo) და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ წარმომადგენლებთან.	საქართველოში ბიზნეს ტურის ორგანიზება წამყვანი იაპონური კომპანიების მონაწილეობით.
2021 წლის აპრილი	იაპონური კომპანიების დაინტერესება საქართველოში მწვანე წყალბადის განვითარების მიზნით.	ინვესტიციების მოზიდვა.	ონლაინ შეხვედრა ქართული კოპანია „გენ ჰიდრო“ წარმომადგენლებთან. განხილულ იქნა იაპონურ მხარესთან თანამშრომლობის შესაძლებლობები და საქართველოში მწვანე წყალბადის სტრატეგიის/სამუშაო დოკუმენტის ჩამოყალიბების პერსპექტივები.	მწვანე წყალბადის განვითარების მიმართულებით საელჩო აქტიურად მუშაობს იაპონურ კომპანიებთან. გარდა ამისა ქართულ მხარესთან ერთად მუშავდება საქართველოში მწვანე წყალბადის განვითარების სტრატეგია/სამუშაო დოკუმენტი. აგრეთვე ამ მიმართულებით იგეგმება იაპონური კომპანიების, მათ შორის Toyota tsusho-ს, საქართველოში ვიზიტების ორგანიზება.
2021 წლის მაისი	იაპონური კომპანიების დაინტერესება საქართველოში მწვანე წყალბადის განვითარების მიზნით.	ინვესტიციების მოზიდვა.	საქართველოში „მწვანე წყალბადის“ (განახლებადი ენერგიის მეშვეობით წარმოებული წყალბადი) განვითარების მიზნით, ივნისის თვეში გაიმართა მორიგი შეხვედრები იაპონურ კომპანიებთან „Marubeni Corporation“, “Mitsui & CO”, “Toyota Tsusho”, “JGC” და ქართულ კომპანიასთან „გენ ჰიდრო“.	
2021 წლის მაისი	იაპონური იმპორტიორი კომპანიები.	ქართული სამზარეულოსა და ქართული ღვინის პოპულარიზაცია.	შეხვედრა გაიმართა იაპონიის ერთ-ერთ უმსხვილეს მაღაზიათა ქსელის „Family Mart“ პროდუქციის ჯგუფის ხელმძღვანელთან, ნაოიოში	

			ცუკამოტოსთან. კომპანია თავის ქსელში, ქართული შქმერულის ნახევარფაბრიკატებს ჰყიდის და საკმაოდ წარმატებით. „Family Mart“-ის წარმომადგენლებთან, საელჩოს ახლო საქმიანი ურთიერთობები აკავშირებს, ხოლო კომპანიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა, , რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, როგორც პროდუქციის გაყიდვებს, ასევე იაპონიაში საქართველოს ცნობადობის ამაღლებას.	
2021 წლის მაისი	ღვინის იმპორტიორი იაპონური კომპანიები/ღვინის იაპონელი მომხმარებელი.	ქართული სამზარეულოსა და ქართული ღვინის პოპულარიზაცია.	იაპონიაში ერთადერთი ღვინის მაგისტრის, კენიჩი ოჰაშის ორგანიზებით და საელჩოს ხელშეწყობით, ტოკიოში ქართული ღვინის დეგუსტაცია/პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ იაპონელი ღვინის ექსპერტები, სომელიეები და ღვინის თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტები.	
2021 წლის მაისი	იაპონიის სახელმწიფო უწყებები.	საქართველოს ბიზნეს გარემოთი დაინტერესება.	შეხვედრა იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და ინდუსტრიის მინისტრის მოადგილესთან კიოში	საქართველოში ენერგეტიკულ პროექტებში იაპონური კომპანიების მონაწილეობა.

			ეჯიმასთან. შეხვედრისას იაპონურ მხარეს გავაცანით საქართველოში არსებული ეკონომიკური პოტენციალი, მივაწოდეთ ინფორმაცია საქართველოში წყალბადის წარმოების, გამოყენებისა და ექსპორტის შესაძლებლობების შესახებ. ასევე ხაზი გავუსვით, იაპონური კერძო სექტორის მხრიდან გარკვეულ ინტერესს საქართველოში წყალბადის წარმოებასთან დაკავშირებულ პროექტებში მონაწილეობის მიმართ და აღვნიშნეთ, რომ იაპონიის ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერა მნიშვნელოვნად დააჩქარებდა კომპანიების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.	
2021 წლის მაისი	იაპონიის სახელმწიფო უწყებები, იაპონური კომპანიები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები.	ინვესტიციების მოზიდვა.	2021 წლის მაისში საელჩომ დაამზადა ეკონომიკური ბუკლეტი იაპონურ ენაზე, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ. გარდა ამისა, შევქმენით ანალოგიური შინაარსის მქონე ვებ-გვერდი, სადაც იაპონელ ინვესტორებს და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ	

			იაპონურ ენაზე მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია.	
2021 წლის ივნისი	მცირე და საშუალო ზომის იაპონური კომპანიების ბიზნეს გარემოთი დაინტერესება.	ინვესტიციების მოზიდვა.	საელჩოს ორგანიზებით, იაპონიის კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ბიზნეს სემინარი გაიმართა. სემინარს იაპონური კომპანიების 50-მდე წარმომადგენელი, იაპონიის სახელმწიფო სტრუქტურების და ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.	მიმდინარე წლის განმავლობაში, ასევე მომავალ წელს, საელჩოს დაგეგმილი აქვს კვლავ გამართოს მსგავსი ტიპის ღონისძიებები იაპონური კომპანიებისთვის.
2021 წლის ივნისი	მსხვილი იაპონური კომპანიების დაინტერესება საქართველოში განახლებადი ენერგიის განვითარების მიზნით.	საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის გაცნობა ენერგეტიკის სფეროში.	მორიგი შეხვედრები გაიმართა იაპონურ კომპანიებთან “Hitachi Zosen” (17 ივნისს), “Kansai Electric Powers” (29 ივნისს) და “Sojitz” (30 ივნისს), რომლებიც მრავალ სხვადასხვა დარგებში ოპერირებენ, ძირითადად კი ენერგეტიკის სფეროებში. განხილვის მთავარ საკითხს საქართველოში ენერგეტიკის მიმართულებით დაინტერესება და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები წარმოადგენდა.	საელჩო აგრძელებს სხვადასხვა გავლენიან იაპონურ კომპანიებთან შეხვედრებისა და კონსულტაციების გამართვას. საელჩოს მთავარ მიზანს წარმოადგენს, რათა მოხდეს იაპონური კომპანიების საინვესტიციო პოტენციალის გაცნობა და მათ მიერ საქართველოში ინვესტიციების განხორციელება.
2021 წლის ივლისი	მსხვილი იაპონური კომპანიების	ინვესტიციების მოზიდვა ენერგრტიკულ სფეროში.	ივლისის თვეში აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით კომპანიებთან	პრემიერის ვიზიტის გადადების მიუხედავად, ვიზიტის დაგეგმვის შემთხვევაში ამ კომპანიებთან მაღალი დონის შეხვედრების

	დაინტერესება საქართველოში მწვანე წყალბადის განვითარების მიზნით.		„TEPCO", „Marubeni", „ITOCHU", ბიზნეს გაერთიანება „Keidanren", „JBIC", „Toyota Tsusho". გარდა ამისა, აღნიშნული კომპანიების ხელმძღვანელობასთან მივაღწიეთ შეთანხმებას საქართველოს 2021 წლის ივლისში პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შესახებ, თუმცა, როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრის ვიზიტი იაპონიაში გადაიდო.	ორგანიზება მომავალშიც იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, იგეგმება საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ონლაინ შეხვედრები ამ კომპანიების ხელმძღვანელობასთან.
2021 წლის აგვისტო	იაპონური კომპანიების საქართველოს ბიზნეს გარემოთი დაინტერესება.	ინვესტიციების მოზიდვა.	შეხვედრა მსხვილ იაპონურ კომპანია „ITOCHU"-ს წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში „ITOCHU"-ს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ ქ. თბილისის მეტროს ვაგონების განახლება/შესყიდვის პროცესში მონაწილეობის მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკვირდება საქართველოს ბაზარს, ამასთანავე ცდილობს ხელი შეუწყოს მის იაპონელ პარტნიორებს საქართველოში სხვადასხვა პროექტების	საელჩო გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას კომპანიასთან, რათა ხელი შევუწყოთ „ITOCHU"-ს წარმატებულ საქმიანობას საქართველოში, აგრეთვე კომპანიის საქმიანობის არეალის გაფართოებას ჩვენს ქვეყანაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია „ITOCHU"-ს რეკომენდაციით, იაპონურმა კომპანიამ „Padeco Co., Ltd." მონაწილეობა მიიღო ტენდერში, რომლის შედეგად, ამ კომპანიამ მოიპოვა დაფინანსების წყაროები იაპონიის ეკონომიკის სამინისტროდან (METI), რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში შეიმუშაოს ბიზნეს გეგმა და განახორციელოს ქ. თბილისის მეტროს ვაგონების განახლება/შესყიდვა.

			განხორციელებაში.	
2021 წლის აგვისტო	მცირე და საშუალო ზომის იაპონური და ქართული კომპანიები.	სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა.	საელჩო აქტიურად თანამშრომლობს იაპონურ კომპანიებთან ინვესტიციების მოზიდვისა და მათი საქართველოში საქმიანობის წამოწყება/გააქტიურების, ასევე ქართულ-იაპონურ სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით.	წლის განმავლობაში ქართული ან იაპონური კომპანიების (მათ შორის ქართული ღვინის 20-მდე კომპანია, კომპანია “Lucky”, კომანია „კამპა“, და სხვ) თხოვნის საფუძველზე, საელჩო თავის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევდა (მომავალშიც გაუწევს) სხვადასხვა აქტივობებს, რომლის დროსაც განიხილებოდა სავაჭრო პარტნიორებს შორის კავშირების მოძიება და მათ შორის თანამშრომლობის გაღრმავების სამომავლო პერსპექტივები.
2021 წლის სექტემბერი	იაპონური და ქართული კომპანიები.	სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა.	საელჩოს ხელშეწყობით იაპონიაში ჩამოყალიბდა ქართულ-იაპონური ბიზნეს ასოციაცია. ასოციაციას სათავეში ჩაუდგა, საქართველოში იაპონიის ყოფილი ელჩი უეჰარა.	საელჩო მჭიდროდ ითანამშრომლებს ბიზნეს ასოციაციასთან, რათა ხელი შეეწყოს იაპონურ კომპანიებთან ინვესტიციების მოზიდვისა და მათი საქართველოში საქმიანობის წამოწყება/გააქტიურების პროცესს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ უეჰარას და მის პარტნიორებს სურთ ჩამოაყალიბონ ქარულ-იაპონური სავაჭრო სამრეწველო პალატა, რომლის თაობაზეც უკვე მიმდინარეობს მუშაობა, ხოლო საელჩო, თავის კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად ხელს შეუწყობს პალატის ჩამოყალიბების პროცესს.

იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2020 - 2021	ადგილსამყოფელი ქვეყნის ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და უწყებები; იორდანიის სავაჭრო - სამრეწველო პალატა; იორდანია - ევროპის ბიზნეს ასოციაცია; კერძო სექტორის წარმომადგენელი კომპანიები; ბიზნესმენები.	სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და ორი ქვეყნის ბიზნეს წრეების შემდგომი დაახლოება. ადგილსამყოფელი ქვეყნის ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და მისი მიმზიდველობის განმაპირობებელი ფაქტორებზე: გეო-პოლიტიკური მდებარეობა, ბიზნესის წარმოების სიმარტივე, პროგრესული საგადასახადო სისტემა, ქვეყნის	იორდანიის ჰაშიმიტური სამეფო თავად წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვაზე ორიენტირებულ ქვეყანას. ამ მიმართულებით ძირითადი აქცენტი კეთდება (სპარსეთის) ყურის ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური და პორტფელური ინვესტიციების მოზიდვასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან დახმარების მიღებაზე ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, ტურიზმის და სხა სფეროებში მთელი რიგი პროექტების დასაფინანსებლად. ადგილსამყოფელი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და საერთაშორისო დონის მსხვილი საინვესტიციო კორპორაციებისა და კომპანიების სიმწირისა და	ინვესტიციების მოზიდვაზე მიმართული საქმიანობების გაგრძელება, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის ინტენსიფიკაცია, ორი ქვეყნის ბიზნეს დელეგაციების გაცვლის ორგანიზება; იორდანია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომიტეტის სხდომის მორიგი რაუნდის ორგანიზების ხელშეწყობა.

		პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები, თანამედროვე სტანდარტების დონის საბანკო სისტემა, მიღებული შემოსავლების რეპატრიაციის თავისუფლება, უცხოური ინვესტიციების დაცვის მექანიზმები და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომლობის გაძლიერებას ტურიზმის სფეროში.	საანგარიშო პერიოდში გლობალური პანდემიის გათვალისწინებით საქართველოში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინვესტიცია ადგილსამყოფელი ქვეყნის ბიზნეს სექტორის მიერ არ განხორციელებულა. საელჩო სათანადო დახმარებას უწევდა და უწევს იმ ინდივიდუალურ ბიზნესმენებს, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებმაც გადაწყვიტეს ან გეგმავენ საქმიანობის დაწყებას და ინვესტიციების განხორციელებას საქართველოში.	

<u>ირანის ისლამური რესპუბლიკა</u>

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2020-21 წწ	კანადის ბანკები.	სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა.	მიმდინარეობს მოლაპარაკებები.	ბანკების წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში (გადაიდო კოვიდ 19-ის გამო).
2020-21 წწ	პაკისტანური კომპანია „Mahmoud Group“.	საფეიქრო და ტანსაცმლის წარმოების დაარსება საქართველოში.	მიმდინარეობს მოლაპარაკებები.	„Mahmoud Group“-ის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში (გადაიდო კოვიდ 19-ის გამო).

2020-21 წწ	ირანის თევზის მრეწველობის გაერთიანება.	თევზის მოშენება საქართველოში.	მიმდინარეობს მოლაპარაკებები.	ირანის თევზის მრეწველთა წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში (გადაიდო კოვიდ 19-ის გამო).
2020-21 წწ	ირანის მეცხოველეთა ასოციაცია.	მეწველი ძროხების მოშენება საქართველოში, შემდეგში შესაბამისი წარმოების დაარსების მიზნით.	მიმდინარეობს მოლაპარაკებები.	აღნიშნული დარგის წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში (გადაიდო კოვიდ 19-ის გამო).
2020-21 წწ	ირანის მშენებელთა გაერთიანება	ბინების მშენებლობა ქ. თბილისში	მიმდინარეობს მოლაპარაკებები	ირანის მშენებელთა ვიზიტი საქართველოში (გადაიდო კოვიდ 19-ის გამო)

<u>ირლანდია</u>

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა

05/02/2020	ირლანდიის ბიზნეს დელეგაციის საქართველოში ვიზიტის ორგანიზების საკითხზე საქართველოს ელჩის გიორგი ზურაბაშვილის შეხვედრა ირლანდიის სახელმწიფო მინისტრთან ვაჭრობის, დასაქმების, ბიზნესის, ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრისა და მონაცემთა დაცვის საკითხებში პატ ბრინთან და ამავე უწყების ორმხრივი ურთიერთობების განყოფილების ოფიცერთან ნიმ მეთიუსთან.	ელჩმა გიორგი ზურაბაშვილმა სახელმწიფო მინისტრს გააცნო საქართველოსა და ირლანდიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის წარმატებები, კერძოდ, ირლანდიის მხრიდან განხორციელებული ინვესტიციები, გაზრდილი სავაჭრო ბრუნვა, ირლანდიელი ვიზიტორების მზარდი ინტერესი. ასევე, ხაზი გაუსვა ირლანდიური დაბალ ბიუჯეტიანი კომპანიის “Ryanair” საქართველოს ბაზარზე შემოსვლის მნიშვნელობას. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოსა და მთავრობის მიერ განხორციელებული წარმატებულ ეკონომიკურ რეფორმებზე,	მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ იგი მიესალმება რომ განხორციელდეს ირლანდიის ბიზნეს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, რაც აუცილებელი ფაქტორია ორი ქვეყნის სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების გასაღრმავებლად. პატ ბრინი ელჩს დაპირდა, რომ სააგენტოს “Enterprise Ireland” ხელმძღვანელობასთან დააზუსტებს, თუ როდის შეიძლება დაიგეგმოს ერთობლივი ვიზიტი საქართველოში. მისი თქმით, სასურველია, ბიზნეს დელეგაციის ვიზიტი განხორციელდეს მაღალი დონის ვიზიტის პარალელურად.	

18/02/2020	ელჩის გიორგი ზურაბაშვილის შეხვედრა ირლანდიური კომპანიის F.X. Buckley მფლობელთან დეს ბაქლისთან და ამავე კომპანიის საერთაშორისო კონსულტანტთან, ღვინის ექსპერტთან ალან ქროულისთან.	შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პრესტიჟული რესტორნის ქსელში ქართული ღვინის შეტანის შესაძლებლობის განხილვა. ელჩი კომპანიის წარმომადგენლებს ესაუბრა ქართული ღვინის უნიკალურობაზე, მის ისტორიაზე და მრავალფეროვნებაზე. ხაზი გაუსვა, რომ ბოლო პერიოდში, კერძოდ, გასულ წელს საგრძნობლად გაიზარდა ქართული ღვინის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოში, სადაც 60% -ნი ზრდა დაფიქსირდა.	შეხვედრაზე მხარეები შეთანმდნენ, რომ F.X. Buckely-ის წარმომადგენლებს ელჩი დააკავშირებდა ირლანდიაში ქართული ღვინის იმპორტიორს ჰიუ მიურეის, რომელიც თავის მხრივ, მიაწვდის ინფორმაციას ირლანდიაში ქართული ღვინის რეალიზაციის თაობაზე და ასევე გადაეცა ინფორმაცია გაერთიანებულ სამეფოში ქართული ღვინის იმპორტისა და მსხვილი იმპორტიორების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ F.X. Buckely-სთვის მისაღები იქნება იმპორტის პირობები, ალან ქროული შესაძლებლად მიიჩნევს, რომ რესტორნების მენიუში შეიტანოს ქართული ღვინო. ასევე განხორციელდეს საქართველოში ირლანდიიდან ხორცის იმპორტი.	

19/02/2020	საქართველოს ელჩი გიორგი ზურაბაშვილი შეხვედრა ირლანდიის ბიზნესის, მეწარმეობისა და ინოვაციების დეპარტამენტის ვაჭრობისა და ინვესტიციების იმპლემენტაციის განყოფილების დირექტორს რონი ბრინს და ამავე განყოფილების წარმომადგენელს ნიმ მეთიუს.	შეხვედრაზე განხილულ იქნა ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განვითარება და ეკონომიკური კავშირების გაღრმავების საკითხები.	რონი ბრინმა დაადასტურა საქართველოსა და რეგიონისადმი გაზრდილი ინტერესი, რაზეც მეტყველებს სულ ახლახან, იანვარში ირლანდიის მეწარმეობის ხელშეწყობის სააგენტოს მიერ საქართველოში კვლევის მისიის/pathfinder mission დაწყება, ეს კი გულისხმობს ადგილზე, ბიზნეს-ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალის საფუძვლიან შესწავლას, და დადებითი დასკვნის შემთხვევაში, მომავალში „Enterprise Ireland“-ის წარმომადგენლობის გახსნის პერსპექტივას. სააგენტოს გაფორმებული აქვს კონტრაქტი ადგილობრივ საკონსულტაციო კომპანიასთან PMCG, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობს.	

24/02/2021	გაიმართა საქართველო-ირლანდიის ბიზნეს საბჭოს დამფუძნებელი შეხვედრა.	ბიზნეს-საბჭოს დამფუძნებელ შეხვედრაში მონაწილებდნენ ბიზნეს-საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენლები და წევრები. საბჭოში გაწევრიანდნენ ირლანდიის წამყვანი კომპანიების და აკადემიური წრეები წარმომადგენლები. ირლანდიის პარლამენტში საქართველოსთან საპარლამენტთაშორისო მეგობრობის ჯგუფის ხელმღვანელმა სენატორმა დიარმუდ უილსონმა, რომელიც თავადაც აქტიურად არის ჩართული საქართველო-ირლანდიის ორმხრივი დღის წესრიგის განხორციელების პროცესში, საბჭოს მიულოცა დაარსება და მხარდაჭერა აღუთქვა. ახლადდაარსებულ ბიზნეს საბჭოს მდივნის სახელით საინფორმაციო საქმიანობა	დაარსდა საქართველო-ირლანდიის ბიზნეს საბჭო. (ვებ-გვერდი www.gibc.ie)	

27/2/2020	ელჩის გიორგი ზურაბაშვილის გაცნობითი შეხვედრა ავიაკომპანიის „Ryanair“ მარშრუტების განვითარების ახალ დირექტორთან ეშლინგ ფიცპატრიკთან.	ელჩმა მარშრუტების განვითარების დირექტორს გააცნო საქართველოს მიმზიდველი ტურისტული გარემო, ქვეყნის წარმატებული რეიტინგები, გამორჩეული სამზარეულო, ქართული ღვინის ისტორია, გეოსტრატეგიული მდებარეობა და ევროპისა და ცენტრალური აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო და ლოგისტიკური ჰაბის პოტენციალი.	ეშლინგ ფიცპატიკმა განაცხადა, რომ კომპანია „Ryanair“ და თვითონ პირადად, საქართველოს ხედავს, როგორც აზიის მიმართულებით ფრენების გაფართოების საუკეთესო პლაცდარმს.	

25/06/2021	ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა საქართველო-ირლანდიის ბიზნეს საბჭოს საინაუგურაციო კონფერენცია, რომელიც ელჩთან გიორგი ზურაბაშვილთან ერთად, გახსნეს ირლანდიის ვიცე პრემიერმა, მეწარმეობის, ვაჭრობისა და დასაქმების მინისტრმა ლეო ვარადკარმა, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ირაკლი ნადარეიშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, წამყვანი კომპანიების ხელმძღვანელები და ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები ორივე ქვეყნიდან.	ღონისძიება მოიცავდა სამ პანელს: ოფიციალურ გახსნას, ბიზნეს პრეზენტაციას, რომელიც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა გიორგი პერტაიამ წარმოადგინა, ხოლო მესამე ნაწილში საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ ისაუბრა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ევროპული ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე. პანელისტებს შორის იყო საქართველოში ირლანდიის ელჩი მარტინა ფინი, რომელმაც მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს. ასევე, ონლაინ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ირლანდიის მეწარმეობის ხელშეწყობის სააგენტოს „Enterprise Ireland” რეგიონული დირექტორი კონორ ფაჰი და ისაუბრა საქართველოს და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ბიზნესის წარმოების უპირატესობებზე.	კონფერენციაში 90-მდე მონაწილე და დამსწრე იყო ჩართული რაც საქართველოს და ირლანდიის მხრიდან მზარდ ბიზნეს-ინტერესებზე მიუთითებს. ახალი პლატფორმა - საქართველო-ირლანდიის ბიზნეს საბჭო მნიშვნელოვანი რგოლი იქნება ორ ქვეყანას შორის ბიზნეს-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განმტკიცებისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.	

13/08/2020	ელჩის გიორგი ზურაბაშვილის შეხვედრა მზის ენერგიის მწარმოებელი კომპანიის „Phelan Energy Group“ ვიცე-პრეზიდენტთან ლუის ფელანთან და ეკონომიკური განვითარების საკითხებში კომპანიის კონსულტანტთან ჯენის ფინლთან.	ელჩმა კომპანიის „Phelan Energy Group“ ვიცე-პრეზიდენტს გააცნო საქართველოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და შესთავაზა მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს საერთაშორისო ტენდერებში, მათ შორის, მიაწოდა ინფორმაცია სექტემბერში დაგეგმილი 30 მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურის პროექტის ტენდერის თაობაზე. ლუის ფელანს ასევე ეცნობა დაინტერესებული ინვესტორებისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის სიმბოლურ ფასად გადაცემის შესაძლებლობა, გარკვეული ვალდებულებით.	კომპანიის წარმომადგენლები დაინტერესდნენ საქართველოს საინვესტიციო გარემოთი, ქვეყნის კლიმატით და ენერგო სექტორის განვითარების შესაძლებლობებით.	
19/08/2020	ელჩის გიორგი ზურაბაშვილის შეხვედრა ირლანდიის ინოვაციებისა და კვლევის დარგის კონსულტანტთან ჯერარდ კორკორანთან.	შეხვედრაზე განიხილეს ინოვაციებისა და ხელოვნური ინტელექტის დარგში საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების საკითხები.	ინოვაციების და ხელოვნური ინტელექტის დარგის ექსპერტი დაინტერესდა საქართველოსთან შესაძლო თანამშრომლობის საკითხით და განაცხადა, რომ მას აქვს გამოცდილება ამ სფეროში პროექტების განსახორციელებლად გრანტებისა და დაფინანსების მოპოვების მიმართულებით.	

სექტემბერი 2020	საფუძველი ჩაეყარა საქართველო-ირლანდიის ბიზნეს-საბჭოს, რომელსაც უხელმძღვანელებს ცნობილი ირლანდიელი იურისტი, ბიზნეს არბიტრი ჯეიმს ბრიჯმანი.	წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური კომუნიკაცია საბჭოს პოტენციურ წევრებთან. დღეისათვის საბჭოში გაერთიანებულია ირლანდიის ბიზნეს და აკადემიური წრეების 25-მდე წარმომადგენელი. ბიზნეს საბჭო აქტიურად ჩაერთვება ორმხრივი ეკონომიკური და საინვესტიციო პროექტების ინიცირებისა და განხორციელების ხელშეწყობის საქმეში.	ირლანდიის ბიზნეს-წრეებში საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებზე ინფორმაციის გავრცელების მიზნით, შეიქმნა საქართველო-ირლანდიის ბიზნეს საბჭოს ვებ-გვერდი (www.gibc.ie ამჟამად მიმდინარეობს ვებგვერდის რეკონსტრუქცია), რომლის მიზანია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცების, ქართული და ირლანდიური პროდუქციის და სერვისების მიწოდების სტიმულირების და ერთობლივი ეკონომიკური ღონისძიებების შესახებ ინფორმირება. ბიზნეს საბჭოს წევრებისთვის გაიმართა ონლაინ პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო კლიმატისა და შესაძლებლობების შესახებ ,,Georgia-Promising Market for Investment”	

25/11/2020	საელჩოს ინციატივით, ირლანდიაში უკრაინის და მოლდოვას საელჩოებთან ერთად და არასამთავრობო ორგანიზაციის „ევროპული მოძრაობა“ მხარდაჭერით გაიმართა ვებინარი „Know your Eastern European Neighbours: Georgia, Moldova and Ukraine” რომელიც ემსახურებოდა ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას.	ვებინარი მოიცავდა პრეზენტაციებს საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის შესახებ, როგორც ქვეყნების ზოგადი პროფილის, ასევე, ისტორიულ-კულტურულ, ეკონომიკურ და ტურისტულ ჭრილში. ღონისძიებას მოდერაციას უწევდა „ევროპული მოძრაობის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სტივენ ო შეი.	ვებინარი ჩატარდა StreamYard ონლაინ სტუდიის ლაივ რეჟიმში და მოგვიანებით ჩანაწერი განთავსდა ორგანიზაციის „ევროპული მოძრაობა“ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებში და ასევე, გაეგზავნა ორგანიზაციის წევრებს, შესაბამის სტრუქტურებს და სამიზნე ჯგუფებს. ვებინარის ჩანაწერი განთავსდა ინტერნეტ სივრცეში, Yotube–ის გვერდზე და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის.	
10/12/2020	ირლანდიის პარლამენტის საგარეო საქმეთა და თავდაცვის გაერთიანებული კომიტეტის წევრები.	საქართველოს ელჩმა გიორგი ზურაბაშვილმა სიტყვით მიმართა ირლანდიის პარლამენტის საგარეო საქმეთა და თავდაცვის გაერთიანებული კომიტეტის წევრებს და გააცნო საქართველოს მიმზიდველი ბიზნეს-ეკონომიკური და საინვესტიციო გარემო, გეოპოლიტიკურად სტრატეგიული მდებარეობა და ქვეყნის რეიტინგები დემოკრატიისა და ბიზნესის კეთების კუთხით.	ირლანდიის პარლამენტის საგარეო საქმეთა და თავდაცვის გაერთიანებული კომიტეტის წევრები გაეცნენ საქართველოს მიმზიდველი ბიზნეს-ეკონომიკურ და საინვესტიციო გარემოს, გეოპოლიტიკურად სტრატეგიული მდებარეობას და ქვეყნის რეიტინგებს დემოკრატიისა და ბიზნესის კეთების კუთხით.	

2020	რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავებისა და საქართველოს შესახებ ირლანდიის რეგიონებში ცნობადობის ამაღლების მიზნით, წლის განმავლობაში გაიმართა ელჩის ვიზიტები კავანას, ლაუთის და მეიოს საგრაფოებში და ასევე, დან-ლირის ოლქში.	ვიზიტების ფარგლებში შედგა შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელებთან და წევრებთან, რომელთაც მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს მიმზიდველი ტურისტულ-საინვესტიციო გარემოს შესახებ. განხილულ იქნა რეგიონთაშორისი თანამშრომლობის საკითხები.	საქართველოს ელჩის ვიზიტები ირლანდიის რეგიონებში გააშუქა ადგილობრივმა პრესამ, გამოქვეყნდა ინტერვიუები გიორგი ზურაბაშვილთან.	
2020	წლის განმავლობაში ხორციელდებოდა კომუნიკაცია ირლანდიის მეწარმეობისა და ვაჭრობის დეპარტამენტთან და ირლანდიაში მოქმედ სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან საქართველოს მთავრობისა და ქართული კომპანიების სატენდერო განაცხადების შესახებ სავაჭრო პალატების წევრ კომპანიებში ინფორმაციის გავრცელების მიზნით.			

იტალიის რესპუბლიკა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
ოქტომბერი 2020	ქართველი და იტალიელი ბიზნესმენები.	ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობა.	საელჩოს ხელშეწყობით და თანადგომით, იტალიელი და ქართველი ბიზნესმენების ჯოვანი ბელას და გიორგი ბარკალაიას მიერ დაარსდა საქართველო-იტალიის ბიზნეს ასოციაცია.	ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა.
04/12/2020	ბაზილიკატას სავაჭრო, მრეწველობის, ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის პალატა.	ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება.	საელჩოს მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად, 2020 წლის 4 დეკემბერს ბაზილიკატას სავაჭრო, მრეწველობის, ხელოსნობისა და სოფლის მეურნეობის პალატასა და საქართველოს სავაჭრო, სამრეწველო პალატას შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი.	ორ სავაჭრო პალატას შორის თანამშრომლობის გაღრმავება; სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობა და გამარტივება; ინვესტიციების მოზიდვა.

2020-2021 წწ.	პიემონტეს, ლომბარდიის, ტრენტინო ალტო ადიჯეს, ფრიული ვენეცია ჯულიას, აპულიას და სიცილიის რეგიონების სავაჭრო პალატები.	ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება.	2020 და 2021 წლების განმავლობაში ელჩმა შეხვედრები გამართა იტალიის აღნიშნული რეგიონების სავაჭრო პალატების პრეზიდენტებთან საქართველოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს გასაცნობად, მომავალ თანამშრომლობასა და საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატასთან ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით.	მხარეები მუშაობენ ურთიერთგაგების მემორანდუმის ტექსტზე.
იანვარი 2021	იტალიური კომპანია Planet Industry.	საქართველოში ტყავის წარმოება.	შეხვედრა კომპანიის წარმომადგენელთან და მისთვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოს საინვესტიციო პოტენციალისა და ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოს შესახებ.	კომპანია დაინტერესდა საქართველოსთან თანამშრომლობით. საელჩომ წარმომადგენელი საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატასთან დააკავშირა.

21/04/2021	იტალიური ბიზნეს კომპანიები.	საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი და ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო; მოქმედი ფინანსური მექანიზმები, ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში საქართველოს მთავრობის ინიციატივები.	გამოხმაურება ბიზნეს ვიზიტებისა და საქართველოსთან დაკავშირებულ ეკონომიკურ და ბიზნეს ფორუმებში მონაწილეობის შესახებ.	იტალიური კომპანიების დაინტერესება ქართულ კომპანიებთან თანამშრომლობის თაობაზე.

23/04/2021	იტალიის საჰაერო და კოსმოსური თავდაცვისა და უსაფრთხოების კომპანიების ფედერაცია. *ფედერაცია მოიცავს თითქმის ყველა მაღალტექნოლოგიურ იტალიურ კომპანიას, რომლებიც ახორციელებენ საპროექტო, საწარმოო, კვლევით და სამეცნიერო საქმიანობას შემდეგ სექტორებში: სამოქალაქო და სამხედრო ავიაცია, საზღვაო და სამხედრო სახმელეთო და მათთან დაკავშირებული ელექტრონული სისტემები. მასში გაწევრიანებულია ისეთი მსხვილი და საყოველთაოდ ცნობილი კომპანიები, როგორებიცაა „Fincantieri", Leonardo", „ბერეტა" და ა.შ.*	შეხვედრა საქართველოს საინვესტიციო პოტენციალისა და ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოს შესახებ.	იტალიის საჰაერო და კოსმოსური თავდაცვისა და უსაფრთხოების კომპანიების ფედერაციის A.I.A.D.-ის პრეზიდენტი დაინტერესდა საქართველოსთან თანამშრომლობით და ქვეყანაში რამდენიმე მსხვილ იტალიურ კომპანიასთან ერთად ვიზიტის სურვილი გამოთქვა.	ოქტომბერ-ნოემბერში ონლაინ შეხვედრა საქართველოსა და იტალიის თავდაცვის მინისტრების მოადგილეებს შორის ურთიერთობების შემდგომი განვითარების მიზნით.

03/06/2021	იტალიური კომპანია Rosiglioni Impianti.	საქართველოში იტალიური ვაქცინის Reithera-ს წარმოება; სამედიცინო დაწესებულებების სწრაფი ტექნოლოგიებით აშენება.	კომპანიის შეთავაზება იტალიური ვაქცინის მესამე ფაზის - კლინიკური კვლევების საქართველოში წარმართვის შესახებ, რაც იქნებოდა ქვეყანაში აღნიშნული ვაქცინის წარმოების შესაძლებლობის გაჩენა. დაინტერესების შემთხვევაში კომპანია გვთავაზობს ვაქცინის წარმოებისთვის აუცილებელი ორი ობიექტის აგებას.	ინფორმაცია გადაცემულია სამინისტროსთვის ჯანდაცვის სამინისტროსთვის მისაწოდებლად. ველოდებით შემდეგ კომუნიკაციას.
14/09/2021	იტალიური კომპანია Agricola Cannone.	საქართველოში საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია, შემდგომში ადგილზე წარმოებისა და ქართველი მუშახელის დასაქმების მიზნით.	გამართული შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც კომპანიას მიეწოდა ინფორმაცია საქართველოში ბიზნეს გარემოს, საინვესტიციო პოტენციალისა და ინვესტორთათვის მთავრობის ინიციატივებისა და შეღავათების შესახებ.	ველით კომპანიისგან კომუნიკაციას კონკრეტული კითხვებითა და შეთავაზებით სამინისტროსთვის მისაწოდებლად.

ნოემბერი, 2021	იტალიის ტურიზმის სამინისტრო.	2021 წლის ნოემბერში იტალიის ტურიზმის მინისტრის სავარაუდო ვიზიტი საქართველოში.	იტალიის ტურიზმის მინისტრის მიზანია საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად ქვეყანას ეწვიონ იტალიის მსხვილი საწარმოებისა და მნიშვნელოვანი ინდუსტრიის წარმომადგენლები.	მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული ვიზიტის დაგეგმვაზე.
2021 წლის ნოემბერი - დეკემბერი	იტალიის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფი.	2021 წლის ბოლოს იგეგმება იტალიის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ვიზიტი საქართველოში.	საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელის სურვილია, რომ საქართველოში მისი ვიზიტის განხორციელებასთან ერთად, უზრუნველყოს იტალიური ბიზნეს კომპანიების წარმომადგენლების ჩაყვანა საქართველოში, შესაძლო საინვესტიციო მიზნებით.	იტალიური კომპანიების დაინტერესება საქართველოს ბაზრით; ინვესტიციების მოზიდვა; სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობა და გამარტივება.

კანადა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ ბიზნეს	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა

	გაერთიანება და ა.შ.)			
2020-2021 წლების განმავლობაში	კანადის საგარეო საქმეთა სამინისტრო. საერთაშორისო ვაჭრობის დივერსიფიკაციის მინისტრის ოფისი.	ინვესტიციების ორმხრივი დაცვის შესახებ შეთანხმებაზე (FIPA) მუშაობის დასრულება და შეთანხმების ხელმოწერა.	საქართველოსა და კანადას შორის უცხოური ინვესტიციების დაცვის შეთანხმებაზე (FIPA) 2018 წლიდან დღემდე ჩატარდა მოლაპარაკებების ოთხი რაუნდი. მოლაპარაკებების გაგრძელების საკითხზე 2021 წელს გაიმართა ელჩის 5 ვიდეო-შეხვედრა FIPA-ზე კანადის ოფიციალურ მომლაპარაკებელთან მეთიუ თოუნთან, ასევე, კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტებთან და საერთაშორისო ვაჭრობის მინისტრის ოფისთან. ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, გადაწყდა სექტემბერში მოლაპარაკებების ონლაინ რეჟიმში გამართვა, თუმცა კანადური მხარის თხოვნით, 2021 წლის 20 სექტემბერს კანადაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამო, პროცესი გადაიდო წლის ბოლომდე, ახალი მთავრობის დამტკიცებამდე.	პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, გრძელდება მუშაობა კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საერთაშორისო ვაჭრობის დივერსიფიკაციის მინისტრის ოფისთან, FIPA-ზე მოლაპარაკების მორიგი რაუნდის 2021 წლის ბოლომდე გამართვის მიზნით.
2020 წლის 1-4 მარტი	ტორონტოს სამთო-მოპოვებითი სფეროს საერთაშორისო ფორუმი (PDAC).	სამთო-მოპოვებით სფეროში კანადური ინვესტიციების მოზიდვა.	საელჩომ მონაწილეობა მიიღო ტორონტოში გამართულ სამთო-მოპოვებითი სფეროს საერთაშორისო ფორუმში (PDAC) და გამართა პრეზენტაციები წიაღისეულის სფეროში საქართველოს პერსპექტიული საინვესტიციო პროექტების შესახებ. კომპანიები "Alamos Gold", “Altair Resources", "Centerra Gold" და “JDC Energy & Mining” დაინტერესდნენ საქართველოს ბაზრით. “JDC	გრძელდება მუშაობა ბრიტანეთის კოლუმბიის, სასკაჩევანისა და ალბერტას პროვინციების სამთო-მომპოვებელ კომპანიებთან.

			Energy & Mining”-ის ხელმძღვანელი ჯეფ სტიბარდი საქართველოში გაცნობით ვიზიტს გეგმავს.	
2020 წლის თებერვალი, მარტი, მაისი, სექტემბერი (ფიზიკური შეხვედრები); 2020 წლის აპრილი, მაისი, ივნისი, სექტემბერი, ოქტომბერი (ონლაინ შეხვედრები); 2021 წლის მარტი, აპრილი, მაისი, აგვისტო.	კანადის საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო ვაჭრობისა და განვითარების სამინისტრო კანადის ექსპორტის განვითარების სააგენტო (EDC) კანადის კომერციული კორპორაცია (CCC) ბიზნეს-გაერთიანებები, რეგიონული სავაჭრო პალატები. ოტავას სამეფო "რიდო კლუბი" კანადური კომპანია Stemel Supply	საქართველოს ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს, ასევე, საქართველოს ისტორიის, კულტურის, ბუნების, მეღვინეობის უძველესი ტრადიციების, ქართული სამზარეულოს, საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა-პოპულარიზაცია, პრეზენტაციების, ფოტოგამოფენებისა და დეგუსტაციების გამართვა.	საელჩოს მიერ გამართული შეხვედრების, პრეზენტაციებისა და დეგუსტაციების შედეგად: • კანადური კომპანიის Stemel Supply ხელმძღვანელი, საკონსულტაციო კომპანიის Destination Georgia Consultancy დამფუძნებელი, მარშალ კრუგერი, დაინტერესდა საქართველოდან სამედიცინო პირბადეების იმპორტით. • ბიზნესმენებმა უილ საპმა და ბრეტ სტებლერმა გადაწყვიტეს საქართველოში ინვესტიციების განხორციელება, რაც ითვალისწინებს მევენახეობა-მეღვინეობის სფეროში ბიზნესის დაწყებას, ე.წ. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მოდელის დანერგვას, დასავლეთ საქართველოში ინოვაციური, მრავალფუნქციური ღვინის ქარხნისა და მასთან არსებული სტუდია-სასტუმროს მშენებლობას, აგროტურიზმის ხელშეწყობას, კანადაში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს, საქართველოს ტურისტული პოტენციალისა და კულტურის პოპულარიზაციას. ამ მიზნით, ისინი ეწვივნენ საქართველოს და საელჩოს დახმარებით შეხვედრები გამართეს ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და „აწარმოე საქართველოში“.	ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა სამთავრობო უწყებებთან და კერძო კომპანიებთან.

	საკონსულტაციო კომპანია Destination Georgia Consultancy კანადური ლობისტური კომპანია „Rubicon” ტურისტული სააგენტოები ონტარიოს ალკოჰოლის საბჭო LCBO, კვებეკის ალკოჰოლის საზოგადოება SAQ ღვინის იმპორტიორები ცალკეული ბიზნესმენები		• კანადელმა ბიზნესმენმა როი პასკალმა ვანკუვერში „ქართული ღვინის სახლი“ გახსნა, შეიძინა ქართული ქვევრები და საქართველოდან ქვევრის ღვინის იმპორტი დაიწყო. • კანადურმა კომპანიამ Sweezard დაიწყო ქართული თაფლის, ხილის წვენების, ტყემლის, მურაბებისა და კონსერვების გაყიდვა ტორონტოს წამყვან საცალო ვაჭრობის ქსელებში. • ონტარიოს პროვინციაში იმატა ქართული ღვინის გაყიდვამ. საქართველოს ეწვია კანადური ლობისტური კომპანიის „Rubicon” ვიცე-პრეზიდენტი აარონ გაირდნერი. „Rubicon” წარმოადგენს სოიოს მწარმოებელი და ექსპორტიორი კანადური ფირმების ინტერესებს. ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა კონტრაქტი, რომელიც პირველ ეტაპზე ითვალისწინებს მეცხოველეობა-მეფრინველეობის სექტორში კომბინირებულ საკვებად გამოყენების მიზნით, კანადური სოიოს საქართველოში ექსპორტს და მეორე ეტაპზე, კანადური ინვესტიციებით ბათუმში სოიოს გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას. საქართველოს ვიცე-პრემიერმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ამ თანამშრომლობის მხარდამჭერი წერილი გაუგზავნა კანადის საერთაშორისო ვაჭრობის, ექსპორტის წახალისებისა და მცირე ბიზნესის მინისტრს.	

კატარის სახელმწიფო

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2020 წლის 13 იანვარი	კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩის ნიკოლოზ რევაზიშვილის შეხვედრა კატარში უძრავი ქონების სფეროში არსებული ერთ-ერთი წამყვანი კომპანიის “Regency Group Holding”-ის პრეზიდენტთან იბრაჰიმ ალ ასმახთან.	“Regency Group Holding”-ის პრეზიდენტს მიეწოდა ინფორმაცია უძრავი ქონების, მომსახურებისა და ტურიზმის სფეროში საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ.	მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთსასარგებლო პროექტების განხორციელების მიზნით საქართველოში ვიზიტისა და შესაბამისი თანამშრომლობის გაგრძელების თაობაზე.	საელჩო განაგრძობს ხსენებულ კომპანიასთან კომუნიკაციას საქართველოში საქმიანი ვიზიტის განხორციელე-ბის უზრუნველსაყოფად, რომელიც პანდემიის გამო გადაიდო.
2020 წლის 20 იანვარს	კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩის ნიკოლოზ რევაზიშვილის შეხვედრა მომსახურების, უძრავი ქონების და ინვესტიციების სფეროში კატარსა და რეგიონში არსებული მსხვილი კომპანიების გაერთიანების “Al Mana”-ს პრეზიდენტთან საუდ ალ-მანასთან.	“Al Mana”-ს პრეზიდენტს მიეწოდა ინფორმაცია უძრავი ქონების, მომსახურებისა და ტურიზმის სფეროში საქართველოში არსებული ხელსაყრელი ბიზნეს გარემოსა და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ.	მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთსასარგებლო პროექტების განხორციელების მიზნით საქართველოში ვიზიტისა და შესაბამისი თანამშრომლობის გაგრძელების თაობაზე.	საელჩო განაგრძობს ხსენებულ კომპანიასთან კომუნიკაციას საქართველოში საქმიანი ვიზიტის განხორციელე-ბის უზრუნველსაყოფად, რომელიც პანდემიის გამო გადაიდო.

2020 წლის 28 იანვარი	კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩის ნიკოლოზ რევაზიშვილის შეხვედრა კატარის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტთან აბდულა ბინ საუდ ალ-თანისთან.	შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველო-კატარის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების, მათ შორის ორი ქვეყნის ეროვნულ ბანკებსა და საფინანსო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ელჩმა კატარის ეროვნული ბანკის მმართველს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს საფინანსო სექტორში არსებული შესაძლებლობებისა და საინვესტიციო გარემოს შესახებ.	მხარეები შეთანხმდნენ თანამშრომლობის გაგრძელების თაობაზე, მათ შორის, კატარის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის თანმხლებ ბიზნესმენების დელეგაციასთან ერთად საქართველოში ვიზიტის განხორციელების შესახებ.	
2020 წლის 18 თებერვალი	საელჩოს ინიციატივით და ხელშეწყობით საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა, თამარ იოსელიანმა მონაწილეობა მიიღო დოჰაში	სამიტის ფარგლებში თამარ იოსელიანი საზღვაო ინდუსტრიის სფეროში მიმდინარე ცვლილებების	ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა კატარის სახელმწიფოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრთან ჯასიმ ალ სულაიტისთან და უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრთან	

	კატარის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროსა და Lloyd List-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საზღვაო და ლოჯისტიკურ სამიტში.	შესახებ გამართულ პანელზე გამოვიდა სიტყვით, რომელზეც გააკეთა მოხსენება საქართველოში საზღვაო ადმინისტრაციის სფეროში განხორციელებულ რეფორმებზე და ამ კუთხით არსებულ შესაძლებლობებზე.	ვლადისლავ კრიკლისთან. შეხვედრებზე მხარეებმა ქვეყნებს შორის საზღვაო ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, მათ შორის ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობები განიხილეს.	

2020 წლის 1-3 მარტი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას სამუშაო ვიზიტის ორგანიზება კატარის სახელმწიფოში, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრები როგორც სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელებთან (ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი, კატარის საინვესტიციო ფონდის პრეზიდენტი), ასევე კერძო და საჯარო კომპანიების ხელმძღვანელებთან, კატარის ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარესა და ასოციაციის წევრებთან.	საქართველოს საინვესტიციო გარემოს წარმოჩენა, კონკრეტული საინვესტიო პროექტების განხილვა, სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობა.	ვიზიტის ფარგლებში წარმატებით დასრულდა მოლაპარაკებები საქართველოსა და კატარის სახელმწიფოს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ორმხრივი დაცვის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე და განხორციელდა შეთანხმების პარაფირება.	იგეგმება შეთანხმების ხელმოწერა უახლოესი უმაღლესი დონის ვიზიტის ფარგლებში.
			ენერგოკომპანია -- Nebras Power-მა დაინტერესება გამოხატა გარდაბანის თბო-ელექტრო სადგურის შეძენასთან დაკავშირებით. ენერგეტიკის სფეროში საინვესტიციო შესაძლებლბების შესწავლის კუთხით დაიგეგმა კომპანიის წარმომადგენელთა ვიზიტი, ასევე ბიზნეს ასოციაციის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში ადგილზე	საელჩო განაგრძობს მუშაობას კატარულ კომპანიებთან, რომელთა ვიზიტი გადაიდო პანდემიის გამო, რათა პირველივე შესაძლებლობისას უზრუნველყოფილ იქნას კატარული ბიზნეს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში.

			საინვესტიციო პოტენციალის გაცნობით მიზნით.	
2021 **8 მარტი**	კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩის, ნიკოლოზ რევაზიშვილის შეხვედრა კატარის ფინანსური ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრ და მთავარ აღმასრულებელ ოფიცერთან იუსუფ მოჰამედ ალ-ჯაიდასთან.	ორი ქვეყნის ფინანსურ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები, ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით თანამშრომლობის საკითხები.	დაიგეგმა იუსუფ მოჰამედ ალ-ჯაიდას ვიზიტი საქართველოში, რომლის დროს განხორციელდება საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის ადგილზე შესწავლა კატარის ფინანსურ ცენტრში არსებული კომპანიების გაცნობის მიზნით.	

2021 წლის 16 მარტი	კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩის ნიკოლოზ რევაზიშვილის შეხვედრა კატარის საინვესტიციო სააგენტოს აღმასრულებელ დირექტორთან შეიხ ალი ალვალეედ ალ თანისთან.	შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინვესტიციების განხორციელების კუთხით თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები. საქართველოს ელჩმა კატარულ მხარეს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში არსებულ ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შესახებ.	შეხვედრის შედეგად, 2021 წლის 2 ივლისს საელჩოს ჩართულობითა და ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა კატარის საინვეტიციო სააგენტოსა და საქართველოს ტექნოლოგიური პარკის წარმომადგენლებს შორის, რომელზეც განხილულ იქნა ქართული ფინტექ კომპანიებისა და დაინტერესებულ კატარულ ბანკებს შორის შეხვედრის ორგანიზების საკითხები.	
2021 წლის 15 მარტი	კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩის, ნიკოლოზ რევაზიშვილის ინტერვიუ გავლენიან არაბულენოვან გამოცემასთან - Al Raya	კატარი საქართველოს ორმხრივი ურთიერ-თობები და მათი განვითარების პერსპექ-ტივები; საქართ-ველოს მთავრობის მიერ COVID-19 გავრცელების წინააღმდეგ განხორ-ციელებული ღონი-სძიებები; საქართველოს	საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოს შესახებ გაზრდილი ცნობადობა და ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენა	

		საინვესტიციო გარემო და კატართან ამ მხრივ არსებული შესაძ-ლებლობები და პერსპექტივები; საქარ-თველოში ვაქცინი-რებული მოქალაქეების შესვლის წესები და ორმხრივი ტურიზმის განვითარების შესაძ-ლებლობები; საქარ-თველოს მონაწილეობა დოჰას სოფლის მეურნეობის საერ-თაშორისო გამოფენაში - Agriteq2021. ინტერვიუს ბმული: https://bit.ly/3qNeqnt		
2021 წლის 15 აპრილი	კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩის შეხვედრა Al Sulaiteen-ის ჯგუფის თავმჯდომარესთან აბდულა სალემ სულაიტიინთან.	იმერეთის აგრო ზონის საინვესტიციო პროექტის შესახებ დამატებით ინფორმაციის მიწოდება.	საელჩოს მიერ ჩატარებული საქმიანობის შედეგად კატარში სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე ყველაზე მსხვილმა Al Sulaiteen-ის ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება იმერეთის აგრო ზონის ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიღების შესახებ, რის თაობაზეც დადგენილი წესით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ა.წ. 2 მაისს	საელჩო განაგრძობს კატარულ მხარესთან კომუნიკაციას. ა.წ. 1 ივლისს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა Al Sulaiteen-ის ჯგუფის სოფლის მეურნეობის პროექტების აღმასრულებელ დირექტორის, აჰმედ მუსტაფას ონლაინ შეხვედრა იმერეთის აგრო ზონის დირექტ-ორთან არჩილ ბუკიასთან. შეხვედრაზე მხარეებმა იმე-რეთის აგრო ზონის განვ-ითარების საინ-ვესტიციო პრო-ექტში კატა-რული მხარის

			წარდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.	მონაწილეობის შესაძლებლობები განიხილეს.
2021 წლის 25 მაისს	კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩის ნიკოლოზ რევაზიშვილის შეხვედრა ჩინეთის ბანკის (Bank of China) კატარის ფილიალის პრეზიდენტთან ლინ შენგქიანგთან.	შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოში ჩინეთის ბანკის ფილიალის გახსნასთან დაკავშირებული საკითხები.	2019 წლის ბოლოს, საელჩოს ორგანიზებით, საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შედეგად, 2020 წელს შემუშავდა მიზანშეწონილობის შესწავლის ანგარიში, რომელიც ჩინეთის ბანკის დირექტორთა საბჭოს წარედგინა. აღნიშნული ანგარიშის რეკომენდაციები ითვალისწინებს ბანკის წარმომადგენლობის გახსნას თბილისში, რომელიც დაფარავს სამხრეთ კავკასიის რეგიონს. ბ-ნ შენგქიანგმა აღნიშნა, რომ არსებული გეგმები თბილისში წარმომადგენლობის გახსნასთან დაკავშირებით ძალაშია და პანდემიის დასრულებისთანავე მოხდება მათი გააქტიურება.	
2021 წლის 4 მაისი	კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩის შეხვედრა კატარული კომპანია Qatar Diar-ის პრეზიდენტთან, შეიხ ხალიდ ბინ ხალიფა ალ თანისთან. Qatar Diar არის კატარის უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანია, რომლის ადგილობრივი ასევე საერთაშორისო წილობრივი კაპიტალი შეადგენს 8 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო მსოფლიო	საქართველოში უძრავი ქონების სექტორში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობები.	მხარეები შეთანხმდნენ ეპიდ. სიტუაციის გაუმჯობესების შესაბამისად განიხილონ ახალი შესაძლებლობები.	2019 წლის 15-16 ნოემბერს კატარის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით კომპანია Qatar Diar-ის პრეზიდენტი ეწვია თბილისს. გაიმართა შეხვედრები თბილისის მერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან.

	მასტაბით ის 24 ქვეყანაში უძრავი ქონების სფეროში 60 პროექტს ავითარებს, რომელთა ჯამური ღირებულება 35 მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს.			
2021 წლის 24 მაისი	წამყვან კატარულ არაბულენოვან გაზეთში „Lusail Newspaper” გამოქვეყნდა კატარის სახელმწიფოში საქართველოს ელჩის ნიკოლოზ რევაზიშვილის სტატია.	საქართველოს ეკონომიკური განვითარებით კუთხით ბოლო 30 წლის მანძილზე მიღწეული პროგრესი და საქართველოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, ქვეყნებს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები. ბმული: https://bit.ly/2RyFNq3	საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოს შესახებ გაზრდილი ცნობადობა და ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენა.	

კორეის რესპუბლიკა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2020 - 2021	K-Water.	„ნენსკრა ჰესის“ პროექტი.	მიმდინარეობს პროექტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები	
2020- 2021	KHNP (Korea Hydro & Nuclear Power).	„ლენტეხი ჰესის პროექტი (“ცხენისწყალის ჰესების კასკადი“).	მხარეებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები	
2021 წლის თებერვალი-ივლისი	Ministry of Trade, Industry and Energy of the Republic of Korea (MOTIE).	თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების გახსნის საკითხი.	მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდა მიზანშეწონილობის კვლევა.	უახლოეს მომავალში იგეგმება მოლაპარაკებების შემდეგ ეტაპზე გადასვლა.

ლატვიის რესპუბლიკა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა

05/03/2020	ელჩის შეხვედრა ლატვიელი ბიზნესმენებთან.	საქართველო-ლატვიის ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოში არსებული ბიზნეს/საინვესტიციო გარემო.	ბიზნესმენების მხრიდან აღინიშნა, რომ საქართველო მიმზიდველი ქვეყანაა ლატვიელი ინვესტორებისთვის და გამოითქვა თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი.	2020-2021 წლის განმავლობაში გამხორციელდა ლატვიელი ბიზნესმენების არაერთი ვიზიტი საქართველოში.
03/07/2020	ლატვიის სამთავრობო წრეები, ლატვიის საინვესტიციო საბჭო, კერძო სექტორის წარმომადგენლები.	ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის “Tribe International”-ის და საელჩოს თანაორგანიზებით გაიმართა ღონისძიება - „დააგემოვნე საუკეთესო ქართული ღვინოები“.	ლატვიური კომპანიები/ფართო საზოგადოება გაეცნენ ქართულ ღვინოს.	
07/07/2020 04/08/2020	კომპანია „ეარბალტიკი“. ტურისტები.	პანდემიის პირობებში პირდაპირი ფრენების აღდგენის მიზნით, შედგა საქართველოს ელჩის, თეა მაისურაძის და ლატვიის ტრანსპორტის მინისტრის, ტალის ლინკაიტსის შეხვედრები.	ფრენების აღდგენა.	ფრენები აღდგა და გაგრძელდა პანდემიის პერიოდში.
26/08/2020	კომპანია „ეარბალტიკი“ , ტურისტები.	პანდემიის პირობებში პირდაპირი ფრენების აღდგენის მიზნით, ელჩი თეა მაისურაძე შეხვდა „ეარბალტიკის“ ვიცე-პრეზიდენტს და ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენელს.	ფრენების აღდგენა.	ფრენები აღდგა და გაგრძელდა პანდემიის პერიოდში.

26/08/2020	რესტორნის მფლობელები და სომელიეები.	სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან და საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით, ლატვიური მარკეტინგული კომპანია “Tribe International”-ის ორგანიზებით, რიგაში გაიმართა ქართული ღვინის სახეობების პრეზენტაცია.	ლატვიური კომპანიები/ფართო საზოგადოება გაეცნენ ქართულ ღვინოს.	
15/12/2020	ლატვიის ბიზნესწრეები, ფართო საზოგადოება.	გავრცელდა ვიდეორგოლი, სადაც ელჩი თეა მაისურაძე საუბრობს ეკონომიკურ თანამშრომლობაზე საქართველოსა და ლატვიას შორის.	ლატვიის ბიზნესწრეებმა/ საზოგადოებამ მიიღო ინფორმაცის ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ.	
17/08/2021	ლატვიის ქალ ბიზნესმენთა ასოციაცია “ლიდერე”.	საქართველოში ბიზნეს და საინვესტიციო გარემო.	ასოციაციის წარმომადგენლებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საქართველოში ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შესახებ.	
21/10/2021	ლატვიის ბიზნეს წრეები.	ქართული ღვინის დეგუსტაცია ღვინის ეროვნული სააგენტოს და საელჩოს ორგანიზებით.	დამსწრე საზოგადოება გაეცნო ქართულ ღვინოს.	

<u>ლიეტუვას რესპუბლიკა</u>

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
26-28.01.2020	**Adventure 2020.** საერთაშორისო გამოფენა „Adventure 2020“-ში მონაწილე პირები, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები, ფართო აუდიტორია.	საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით, პრეზენტაციების გამართვა, საქართველოში ტურიზმის სფეროში არსებული გარემოს შესახებ, საპრომოციო მასალების გავრცელება.	იმატა საქართველოში გამგზავრების მსურველთა რაოდენობამ. პანდემიის შემდეგ პერიოდში (ისევე როგორც პანდემიამდე), საქართველო ლიეტუველებისთვის ერთ-ერთ მიმზიდველ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს.	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, დაინტერესებული ორგანიზაციების/პირების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობისთვის, საელჩო განაგრძობს აქტიურ საქმიანობას.
2020 წლის მაისი	**აშშ-ს სავაჭრო პალატის მიერ ორგანიზებული შეხვედრა.** ლიეტუვის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, ხელისუფლების წარმომადგენლები.	სხვადასხვა ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს პრეზენტაცია, დამსწრე პირებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს შესახებ.		
2020 წლის მაისი	15min.lt, Alkats.lt, ფართო აუდიტორია.	გამოქვეყნდა საქართველოს ელჩის ინტერვიუ ლიეტუვურ გამოცემებში 15min.lt, Alkats.lt, რომელშიც საუბარი იყო, საქართველოზე, როგორც ტურისტული ქვეყნის შესაძლებლობებზე, საინვესტიციო	საქართველოს შესახებ, ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდა ფართო მასებს.	საელჩო ყოველდღიურ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით.

		გარემოზე, კულტურულ და ისტორიულ ღირსშესანიშნაობებზე.		
2020 წლის სექტემბერი	**Investor's Forum** ლიეტუვის საკანონმდებლო ორგანოს, ბიზნეს ასოციაციების, სავაჭრო პალატისა და ხელისუფლების წარმომადგენლები.	საქართველოს ელჩმა დამსწრე პირებს გააცნო, პანდემიის შემდგომ საქართველოს ეკონომიკის აღდგენის ხედვები და გეგმები, ისაუბრა ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოზე.		საელჩო მუდმივ რეჟიმში განაგრძობს, შესაბამისი უწყებების/პირების ინფორმირებას ქვეყანაში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო პირობებთან დაკავშირებით.
2020-2021 წლის მანძილზე	ადგილობრივი ბიზნეს-გაერთიანებები, სავაჭრო პალატა, შესაბამისი უწყებები.	საქართველოში საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლებისა და პოტენციური ინვესტორების მოზიდვის მიზნით, საელჩო 2020-2021 წლების მანძილზე უზიარებდა საქართველოდან მიღებულ მასალებს შესაბამის ჯგუფებს.	ბიზნესმენები დაინტერესდნენ საქართველოდან ღვინის ექსპორტის საკითხით.	მიმდინარეობს მოლაპარაკება ქართულ ღვინის კომპანიებთან.

2021 წლის პირველი ნახევარი	ლიეტუვის ეკონომიკის სამინისტრო, ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტრო, კომპანია Wizz Air-ის წარმომადგენლობა ლიეტუვაში.	გაიმართა ონლაინ შეხვედრები სამინისტროების წარმომადგენლებთან, ასევე საელჩო თვეების მანძილზე აწარმოებდა კომუნიკაციას Wizz Air-ის წარმომადგენლებთან, პანდემიის შემდგომ ლიეტუვა-საქართველოს მიმართულებით პირდაპირი ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით.	აპრილიდან განახლდა ფრენები ვილნიუსი-ქუთაისის მიმართულებით, თავდაპირველად კვირაში ერთხელ, ხოლო შემდგომ პერიოდში აღსდგა მიმოსვლა კვირაში ორჯერ.	
24-25.09.2021	საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო, ბიზნესმენები, რესტორნის მფლობელები, იმპორტიორი კომპანიის წარმომადგენლები, სომელიეები	გაიმართა შეხვედრები სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან, მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოში არსებული სხვადასხვა ღვინის მწარმოებლების შესახებ.	დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.	28 ოქტომბერს, ქ. ვილნიუსში იგეგმება ქართული ღვინის დეგუსტაციის საღამოს გამართვა, სადაც მოწვეულ იქნებიან ქართული ღვინის ექსპორტით დაინტერესებული პირები/ორგანიზაციები.
2020 წლის დასაწყისი 2021 წლის მეორე ნახევარი	ლიეტუველი ბიზნესმენები	საელჩოს ჰქონდა კომუნიკაცი ადგილობრივ ბიზნესმენთა გაერთიანებებთან, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოში პარტნიორების მოძიებით.	2020 წლის მარტში დაიგეგმა ვიზიტი საქართველოში, რათა ადგილზე მომხდარიყო პოტენციურ პარტნიორებთან შეხვედრა. ზემოხსენებული ვიზიტი, პანდემიის გამო ვერ განხორციელდა.	2022 წლის გაზაფხულზე, იგეგმება ბიზნესმენთა ასოციაციის წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში.

მალაიზია

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2020 წლის იანვარი	მალაიზიური სამშენებლო კომპანია - Percon Corporation Sdn Bhd.	სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტა“-ს თხოვნით მოხდა მათი დაკავშირება მალაიზიურ სამშენებლო კომპანიასთან, Percon Corporation Sdn Bhd-თან.	„დელტას“ მიერ წარმოებული სეტყვასაწინააღმდეგო სისტემების მალაიზიური მხარისთვის შესაძლო მიყიდვის თაობაზე დეტალების შეჯერება.	
2020 წლის იანვარი	მალაიზიური კერძო სამხედრო კომპანია AVIAMAR DEFENCE	საელჩოს დახმარებით დამყარდა საქმიანი კონტაქტები სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა“-სა და მალაიზიურ კერძო სამხედრო კომპანია AVIAMAR DEFENCE-ს შორის.	დეტალები ამ ეტაპზე კონფიდენციალურია.	
2020 წლის იანვარი	მალაიზიური სამშენებლო-დეველოპელური კომპანია SHL Consolidated Bhd.	საელჩოს მიერ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად მალაიზიურმა სამშენებლო-დეველოპელურმა კომპანიამ SHL	შეჯერდა ვიზიტის დეტალები, თუმცა პანდემიის გავრცელების გამო კომპანიის წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტი გადაიდო.	

		Consolidated Bhd. დაინტერესება გამოხატა საქართველოს ტურისტულ ინფრასტრუქტურაში კაპიტალდაბანდებების განხორციელებისა და ტურისტულ რეკრეაციულ ზონებში მცირე ზომის სასტუმროების მშენებლობის საკითხებისადმი.		
2020 წლის 17-19 თებერვალი	მალაიზიის საპარლამენტო დელეგაციის საქართველოში ვიზიტი.	საქართველოს ეწვია მალაიზიის საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პარლამენტის სპიკერი.	საქართველოში ვიზიტად მყოფმა მალაიზიის პარლამენტის სპიკერმა შეხვედრა გამართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან, ქ-ნ ნათელა თურნავასთან.	
2020 წლის 20 ივლისი	SME Corp.-ის (მცირე და საშუალო ბიზნესის კორპორაცია).	ონლაინ ფორმატში გაიმართა საქართველოს ელჩის და SME Corp.-ის (მცირე და საშუალო ბიზნესის კორპორაცია) წარმომადგენლების შეხვედრა.	შეხვედრის დროს მხარეებმა განიხილეს ბიზნესფორუმის ორგანიზების საკითხები და პანდემიის შემდგომ პერიოდში ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-საინვესტიციო სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლო მიმართულებები.	
2021 წლის 25 მაისი	რადიოსადგური Business FM – 89.9.	საქართველოს ელჩის რადიოინტერვიუს დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოსა	მალაიზიაში და განსაკუთრებით საქმიან წრეებში საქართველოს ბიზნეს გარემოს შესახებ ცნობადობის ამაღლება.	

		და მალაიზიას შორის სავაჭრო- ეკონომიკურ ურთიერთობებსა და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე.		
2021 წლის 21 ივნისი	მალაიზიის SME Corp. (მცირე და საშუალო ბიზნესის კორპორაცია).	ქართული და მალაიზიური ბიზნეს კომპანიებისთვის სავაჭრო-ეკონომიკური, საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათ შორის საქმიანი კონტაქტების დამყარება.	ბიზნესფორუმი დაეხმარება საქართველოსა და მალაიზიას შორის სავაჭრო- ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას, საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, საქართველოს მიმართ მალაიზიური კომპანიებისა და ეკონომიკური პროფილის ორგანიზაციების დაინტერესების გაზრდას, კომპანიებს შორის თანამშრომლობის დაწყებასა და კონკრეტული გეგმების დასახვას. 2021 წლის ივნისის ბოლოს ოპერირება დაიწყო SME Corp.-ის მიერ შექმნილმა MatchMe-ის (https://myassist-msme.gov.my/match-me/) ონლაინ პლატფორმამ. აღნიშნული პლატფორმის საშუალებით მასში დარეგისტრირებულ ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებს ერთმანეთთან საქმიანი კონტაქტების დამყარების, მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების შესახებ	მალაიზიაში მოქმედი შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ, შესაძლებელი გახდება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით კონკრეტული ხედვის ჩამოყალიბება და სამოქმედო გეგმების დასახვა. საელჩო აგრძელებს SME Corp.-ის ინფორმირებას საქართველოში ხელსაყრელი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შესახებ.

			ინფორმაციის უკეთ გაცვლის შესაძლებლობა ეძლევათ. მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის უკეთ გაცვლის შესაძლებლობა ეძლევათ.	

<u>ნიდერლანდების სამეფო</u>

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა

20-21/01/2020	კომპანია ICON Energy.	მასშტაბური საინვესტიციო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის მიერ საქართველოში ელექტრომობილების დამტენი სადგურების მონტაჟს და მზის ელექტროსადგურის მშენებლობას.	საელჩოს მიერ გამართული არაერთი შეხვედრისა და კონსულტაციის შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა სამუშაო ვიზიტით ეწვია საქართველოს.	
17/06/2020	კომპანია ICON Energy.	კომპანიის მიერ საქართველოში ელექტრომობილების დამტენი სადგურების მონტაჟი.	საქართველოს ელჩმა გიორგი შარვაშიძემ და საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორმა გიორგი ჩიქოვანმა შეხვედრა გამართეს კომპანიის პრეზიდენტთან შემდგომი დეტალების განხილვის მიზნით. საელჩოს ინფორმაციით, კომპანიას მონაწილეობა უნდა მიეღო ქართული მხარის მიერ გამოცხადებულ ტენდერში.	

19/02/2020	30 კომპანია.	საქართველოში ინვესტიციების განხორციელება.	ნიდერლანდების მეფის სასახლეში საქართველოს ელჩმა გიორგი შარვაშიძემ 30-მდე კომპანიის წარმომადგენელს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ. რამდენიმე კომპანიის წარმომადგენელმა გამოთქვა საქართველოს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების სურვილი.	საელჩო პერიოდულად გააგრძელებს ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმირებას, საქართველოში ხელსაყრელი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შესახებ.

05/2020	მულტინაციონალური კომპანია Signify (Philips Lighting).	საქართველოი ინვესტიციების განხორციელება.	საქართველოს ელჩმა გიორგი შარვაშიძემ არაერთი შეხვედრა გამართა კომპანიასთან. თავდაპირველად, კომპანიამ ქართულ მხარესთან განიხილა საქართველოში ისტორიული ძეგლების და ქუჩების ენერგოეფექტური განათების და ორგანული წარმოების ხელშეწყობისთვის სასათბურე მეურნეობებში კომპანიის ტექნოლოგიების - შესაბამისი განათების სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო შემდეგ გამოთქვა სურვილი, ქართულ მხარესთან განიხილოს კომპანიის პროდუქციის საქართველოში აწყობის (assembly) და კომპანიის მაღალი ტექნოლოგიის LiFi (Light Fidelity) საქართველოში დანერგვის საკითხები. მიმდინარე პანდემიის მიზეზით, კომპანიის საქართველოში დაგეგმილი ვიზიტი გაუქმდა.	

02/07/2020 15/07/2020	კომპანია Delinuts B.V.		საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელთან მერაბ ჭითანავასთან ერთად, ელჩმა გიორგი შარვაშიძემ შეხვედრა გამართა კომპანიის ხელმძღვანელთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვა. საელჩოს ინფორმაციით, თხილის ასოციაციას კომპანიისათვის უნდა მიეწოდებინა ქართული თხილის ნიმუშები, ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად, რათა გაყიდვების სამსახურის წარმომადგენლებს დაეწყოთ კომერციული შეთავაზებების გაკეთება კლიენტებისთვის.	

22/07/2020	ნიდერლანდური საერთაშორისო კომპანია Boon Edam.	საქართველოში ინვესტიციების განხორციელება.	ელჩმა გიორგი შარვაშიძემ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ხელმძღვანელთან მიხეილ ხიდურელთან ერთად, შეხვედრა გამართა ნიდერლანდური საერთაშორისო კომპანიის დირექტორთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა კომპანიისათვის საქართველოში არსებული ბიზნეს-გარემოს და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვა ჩვენს რეგიონში, ცენტრალური აზიის ჩათვლით, კომპანია,არ არის წარმოდგენილი და შესაბამისად, კომპანიის წარმომადგენლებმა გამოხატეს სურვილი, რათა თავდაპირველად, შეისწავლონ საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები.	

30/07/2020	კომპანია CIBA.	საქართველოში მისკანტუსოს კულტურის გაშენება და შემდგომი ინვესტიციების მოზიდვა, მისკანტუსისგან ნახევარფაბრიკატების წარმოების განსავითარებლად.	საქართველოს ელჩის გიორგი შარვაშიძის შეხვედრა კომპანია CIBA-ს ნიდერლანდების ფილიალის დირექტორთან.	კომპანიამ გადაწყვიტა საქართველოში კომპანია SDO -სთან ერთად შვილობილი კომპანიის დაარსება და ამჟამად იმყოფება ამ კომპანიის დეტალების ჩამოყალიბების პროცესში.
27/04/2021			საქართველო საქმეთა დროებითი რწმუნებულის შეხვედრა დირექტორთან, რომლის შედეგად მოხდა კომპანიის შეხვედრის ორგანიზება საქართველოს ეკონომიკის მინისტრთან.	

15/09/2020	კომპანია Pointed International Limited.	ჩინეთიდან საქართველოში კომპანიის წარმოების რელოკაცია.	საელჩოს მიერ კომპანიასთან გამართულ შეხვედრაზე, განხილულ იქნა კომპანიის მიერ ჩინეთიდან საქართველოში წარმოების რელოკაციის საკითხები. საელჩოს ხელშეწყობით და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანიის წარმომადგენლები საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ 2020 წლის 9-13 ოქტომბერს.	საელჩოს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით, კომპანიის წარმომადგენლები, დამატებით გეგმავენ საქართველოში ვიზიტს 2021 წლის განმავლობაში და შესაბამისი პროცედურების დაწყებას, წარმოების საქართველოში_რელოკაციის საკითხთან დაკავშირებით.
2020/2021	ASM International, Hunter Duglas, Neways Electronics, Ten Cate, Holand Colours Europe, Royal Philips, DSM და NXP Semiconductors.	საქართველოში ინვესტიციების განხორციელება.	საელჩოს კომპანიებთან გამართული არაერთი კონსულტაციის შედეგად, კორონავირუსის პანდემიისგან გამოწვეული ზარალისა და სხვადასხვა მიზეზით, კომპანიებმა მიმდინარე ეტაპზე თავი შეიკავეს საქართველოსთან საინვესტიციო თანამშრომლობის დაწყებისაგან.	

ნორვეგიის სამეფო

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2020 წლის 23 სექტემბერი.	საელჩოს და ქართულ-ნორვეგიული სავაჭრო პალატის ერთობლივი ღონისძიება მედიის, ბიზნესის, ტურიზმის და კულტურის სფეროების წარმომადგენლებისთვის.	საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაცნობა და ტურიზმის ხელშეწყობა.	უკანასკნელ წლებში ნორვეგიაში საკმაოდ გაიზარდა საქართველოთი დაინტერესება და სახეზე გვქონდა ტურისტების ზრდის დინამიკა (2019 წელს ტურისტების რაოდენობის 21.6.%-იანი ზრდა 2018 წელთან შედარებით), თუმცა აღნიშნული მნიშვნელოვნად შეაფერხა პანდემიამ. საზღვრების ეტაპობრივი გახსნის და რეგულაციების შემსუბუქების შემდეგ ტურისტების დაინტერესება კვლავ იზრდება და საელჩო ყოველდღიურად აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ პირებს საქართველოს საზღვრის კვეთის რეგულაციების შესახებ.	ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით შეხვედრების, პრეზენტაციების გამართვა; ინფორმაციის გავრცელება მედიაში და სოციალურ ქსელებში; ადგილობრივ ტურისტულ ფორუმებში მონაწილეობის მიღება.

2021 წლის განმავლობაში	შეხვედრა ნორვეგიული PartnerPlast ჰოლდინგის წარმომადგენლებთან.	ნორვეგიული კომპანიის მიერ საქართველოში საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობები, განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში.	საელჩოს შუამდგომლობით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გამოიყო ნორვეგიულ მხარესთან საკონტაქტო პირი და შედგა პირველადი ინფორმაციის მიმოცვლა.	მოვლენების შემდგომი განვითარების მონიტორინგი; საჭიროების შემთხვევაში შესაბამის უწყებებთან შუამდგომლობა; ნორვეგიული მხარის საქართველოში ვიზიტის ხელშეწყობა.
2021 წლის 17 ნოემბერი	ქართული ღვინის დეგუსტაცია მედიის, ტურიზმის, ბიზნესის სფეროს და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის.	ქართული ღვინის პოპულარიზაცია, საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს პოზიციონირება, ღვინის დაყენების 8000 წლიანი ტრადიციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.		

პოლონეთის რესპუბლიკა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა

8/09/2021	ქ. კარპაჩში, 30-ე ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში „კავკასიის ფონდამა“ ჩაატარა ღონისძიება „შეიცანი საქართველო კავკასიის ფონდთან ერთად”. ღონისძიების ფარგლებში, ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და პოლონეთში საქართველოს საელჩოს ჩართულობით გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია.	პოლონეთში ქართული ღვინის პოპულარიზაცია.		
19-25/08/2021	პოლონეთის წამყვანი მედიის წარმომადგენლების პრეს ტური საქართველოში.	საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის შესაძლებლობების პოპულარიზაცია.	პრეს ტური გაშუქდა პოლონეთის მედიაში.	საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, 2021 წლის შემოდგომაზე იგეგმება პოლონეთის 5 უმნიშვნელოვანესი ბლოგერის ვიზიტი საქართველოში.
13-18/08/2021	პოლონელი ჟურნალისტის, რობერტ შულცის პრეს ტური საქართველოში.	საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის შესაძლებლობების პოპულარიზაცია.	პრეს ტური გაშუქდა პოლონეთის მედიაში.	
11/06/2021	პოლონეთის ეკონომიკური დიპლომატიის ინსტიტუტის ინიციატივის - „GospoStrategie – Economic Diplomacy in Poland“ ფარგლებში (მიზანი ფართო აუდიტორია), საელჩოს მიერ მომზადდა სტატია საქართველოსა და პოლონეთის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.	საქართველოში ეკონომიკური მიმართულებით არსებული შესაძლებლობები(ბიზნეს და საინვესტიციო გარემო, არსებული მიღწევები).	სტატია გაშუქდა პოლონეთის ეკონომიკური დიპლომატიის ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ფეისბუქ გვერდსა და ტვიტერზე.	

11/05/2021	შეხვედრა საქართველო-პოლონეთის სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტთან.	ქართულ-პოლონური კომპანიების თანამშრომლობა, საქართველოში პოლონური ინვესტიციების მოზიდვა.		1.პოლონური კომპანიის “Inter apart” წარმომადგენლის და ინვესტორთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოში, რომლებიც შეხვედრებს გამართავენ შემდეგ ქართულ კომპანიებთან: “Apart Development”, “Marshall Development” და გორგია; 2. ქართული ღვინის კომპანიის KTW (Kakhetian Traditional Winemaking) მიერ წარმოებული ღვინის, სუპერმარკეტის ქსელ „Kaufland“-ში შეტანა; 3.კომპანია “Poprawa” (აღნიშნული კომპანია დაარსდა 1992 წელს (საოჯახო ბიზნესი). ეს არის პოლონეთის ერთ-ერთი დიდი მუყაოების და ქაღალდის მწარმოებელი კომპანია, რომელიც ასევე უზრუნველყოფს შეფუთვებს) დაინტერესებულია საქართველოში გახსნას ქარხანა;

10/04/2021	გაწეული მუშაობა 2021-2023 წწ, პოლონეთი-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში, პროექტის "საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის გაზრდა და მეწარმეობის განვითარება" დამტკიცების მიმართულებით.	1.IT / ICT სექტორის, ქართული სტარტაპების, მათ შორის ქალების მიერ წარმოებული სტარტაპების, პოტენციალის გაძლიერება, ინტერნაციონალიზაცისა და უცხოელი ინვესტორების მოძიების მიზნით; 2. საქართველოს საჯარო ინსტიტუტების მხარდაჭერა, რომლებიც ბიზნესის განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნით ხელს უწყობენ ინოვაციების განვითარებას საქართველოში; 3 ქართული ბიზნესგარემოს ინსტიტუტების წარმომადგენელთა კომპეტენციების გაზრდა პოლონური გამოცდილების გაზიარებით, წარმოების სწრაფი განვითარების პროგრამების შექმნის სფეროში.		1.26-30/07/2021 განხორციელდა საქართველოს 16 წარმომადგენლის სასწავლო ვიზიტი პოლონეთში; 2.შემდეგი ვორქშოპი იგეგმება საქართველოში 27 სექტემბერი-1 ოქტომბრის პერიოდში.
19/07/2020	საელჩოს ჩართულობით, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და კომპანიას „მალინოვა“ მიერ გამართა ღონისძიება „ქართული შეხვედრა“, რომელიც მიეძღვნა პოლონეთში ქართული ქვევრის ღვინის პოპულარიზაციას.	პოლონეთში ქართული ქვევრის ღვინის პოპულარიზაცია.		

2020 წლის პირველი ნახევარი	საელჩომ გამართა 5 შეხვედრა პოლონეთის სავაჭრო პალატასთან, პოლონეთის ინვესტიციებისა და ვაჭრობის სააგენტოსთან (PAIH) და საქართველოს-პოლონეთის სავაჭრო პალატის პრეზიდენტთან.	ქართულ-პოლონური კომპანიების თანამშრომლობა, საქართველოში პოლონური ინვესტიციების მოზიდვა.	პოლონურ ორგანიზაციებს მიეწოდა პრეზენტაციები საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ.	საელჩო პერიოდულად გააგრძელებს სავაჭრო პალატების ინფორმირებას, საქართველოში ხელსაყრელი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შესახებ.

საბერძნეთი

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2020 წლის 11 ივნისი; 2021 წლის 11 მაისი; 2021 წლის 29 სექტემბერი.	ბერძნული საზღვაო გემების მენეჯმენტის კომპანია „Queensway Navigation Co. Ltd“. კომპანია 1990 წლიდან წარმატებულად მოღვაწეობს როგორც საბერძნეთში, ისე საზღვარგარეთ და რომლის მფლობელობაშიც ათობით ტანკერი და ასფალტმზიდია. კომპანიამ საქართველოში ოფისი 1999 წელს დააფუძნა და 2020 წლის მდგომარეობით, ასობით ქართველი მეზღვაური ჰყავს დასაქმებული.	2020 წლის 11 ივნისი - საქართველოს ელჩი დავით დონდუა კომპანიის „Queensway Navigation Co. Ltd“ სათაო ოფისს ეწვია ათენში და შეხვედრა გამართა კომპანიის დამფუძნებელს და ხელმძღვანელს, კაპიტან ვასილიოს ტერზისს. ვასილის ტერზისმა საქართველოს ელჩს გააცნო ბერძნული კომპანიის პროფილი და მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში მისი საქმიანობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ქართულ მხარესთან ბოლო ოც წელიწადზე მეტია წარმატებით თანამშრომლობს და აქვს გეგმები კიდევ უფრო გააფართოვოს საქმიანობა შავ ზღვაში. 2021 წლის 11 მაისი - საქართველოს ელჩი დავით დონდუა ტელეფონით ესაუბრა კომპანიის „Queensway Navigation Co. Ltd“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს, კაპიტან ვასილიოს ტერზისს. დავით დონდუამ და ვასილიოს ტერზისმა ისაუბრეს კომპანიის საქართველოში საქმიანობის გაფართოების პერსპექტივებზე. 2021 წლის 29 სექტემბერი - საქართველოს ელჩმა დავით დონდუამ მონაწილეობა მიიღო კომპანიის „Queensway Navigation Co. Ltd“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „2021 Virtual Learning & Development Conference”. ელჩი მიესალმა ბერძნული კომპანიის ხელმძღვანელობას და ქართველ მეზღვაურებს, რომლებიც აღნიშნული კომპანიის მიერ არიან დასაქმებულები. დავით დონდუამ მადლობა გადაუხადა Queensway Navigation-ის ხელმძღვანელს, კაპიტან ვასილის ტერზისს და კომპანიის ყველა წარმომადგენელს იმ მნიშვნელოვანი შესაძლებლობისთვის, რომელსაც ბერძნული მხარე აძლევს ქართველ მეზღვაურებს, როგორც მათი ბერძნულ გემებზე დასაქმების, ისე პროფესიული განათლების მიღების კუთხით. აღინიშნა, რომ Queensway Navigation კიდევ უფრო მეტად აპირებს საქართველოში მოღვაწეობის გაფართოებას, რაშიც მას ქართული მხარის მიერ ყველანაირი ხელშეწყობა ექნება.	კომპანია გეგმავს მეტი ქართველი მეზღვაურის დასაქმებას.	

2020 წლის 19 ივნისი.	თესალონიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	საბერძნეთის ელჩი დავით დონდუა შეხვდა თესალონიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ემმანუილ ვლახოიანისს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ეკონომიკის სფეროში საბერძნეთსა და საქართველოს შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობებს, რომლებიც სულ უფრო ინტენსიური ხდება. განხილულ იქნა ორი ქვეყნის რეგიონებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები. აღინიშნა სამომავლოდ საბერძნეთ-საქართველოს ბიზნეს-ფორუმის ჩატარების აუცილებლობა. საქართველოს ელჩმა ემმანუილ ვლახოიანისს მიაწოდა ინფორმაცია რიგ დარგებში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის, ასევე, საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ. ემმანუილ ვლახოიანისის მიერ პოზიტიურად იქნა შეფასებული ქართულ მხარესთან ეკონომიკური თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში.		
2020 წლის 7 სექტემბერი.	ფართო საზოგადოება.	ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსა საქართველოს საელჩოს მიერ მიწოდებული მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულ საწარმოთა კვლევის (ES) შედეგების შესახებ პრეზენტაცია.	https://www.acci.gr/acci/articles/article.jsp?context=103&sectionid=105&articleid=24930	
2020 წლის 7 ოქტომბერი.	როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები.	საბერძნეთში საქართველოს ელჩმა დავით დონდუამ მონაწილეობა მიიღო ენერგეტიკის პოლიტიკისა და განვითარების ცენტრისა (KEPA) და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამდივნოს მიერ ორგანიზებულ „მე-7 მწვანე ენერგეტიკის საინვესტიციო ფორუმში“. ფორუმი მწვანე ეკონომიკის განვითარების საკითხს მიეძღვნა. საქართველოს ელჩმა ისაუბრა მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით საქართველოს პოლიტიკაზე. დავით დონდუას განცხადებით, მწვანე ეკონომიკის წახალისება ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ მიზნით საქართველოს უკვე მიღებული აქვს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც შემდგომში ხელს შეუწყობს ქვეყნის მწვანე ეკონომიკის განვითარებას.		

2020 წლის 5 ოქტომბერი.	ფართო საზოგადოება.	საბერძნეთის წამყვანმა გაზეთმა „კათიმერინი“ გამოაქვეყნა საქართველოს ელჩის სტატია „Georgia, an investment-friendly and corruption-free country“. სტატიაში მიმოხილულია საქართველოში როგორც ზოგადი, ისე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში არსებული ბიზნეს გარემო და საინვესტიციო შესაძლებლობები. ყურადღება ასევე გამახვილებულია სხვადასხვა საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციის მაღალ შეფასებებზე, მათ შორის მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულ საწარმოთა კვლევის (ES) შედეგებზე.	https://www.ekathimerini.com/257702/opinion/ekathimerini/business/georgian-investment-friendly-andcorruption-free-country	
2020 წლის 18 ნოემბერი.	ფართო საზოგადოება.	ბერძნულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „Maritime Economies“ სპეციალური ჩვიდმეტგვერდიანი ნომერი მიუძღვნა საქართველოს. გამოცემაში არის სტატიები საქართველოს ისტორიაზე, პოლიტიკაზე, ეკონომიკასა და ტრანსპორტზე. აღსანიშნავია, რომ გამოცემაში საბერძნეთში საქართველოს ელჩის დავით დონდუას მისასალმებელი სიტყვაა გამოქვეყნებული. ელჩი საუბრობს როგორც საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოზე, ისე სხვადასხვა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის შეფასებებზე.		
2020 წლის 30 ნოემბერი.	ფართო საზოგადოება.	ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსა საბერძნეთში საქართველოს საელჩოს მიერ მიწოდებული პრეზენტაცია უცხოური საინვესტიციო პროექტების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის - FDI Grant in Georgia თაობაზე.	https://www.acci.gr/acci/articles/article.jsp?context=103&sectionid=105&articleid=26329	

2020 წლის 9 დეკემბერი; 2021 წლის 18 თებერვალი; 2021 წლის 26 მარტი.	საზღვაო საკრუინგო კომპანია „Elvictor Group“. კომპანია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია საზღვაო სფეროში. კომპანიამ „Elvictor Group“, თავისი პროფილის კომპანიებს შორის, პირველმა დაიწყო საფონდო ბირჟაზე აქციების გაყიდვა. კომპანიის საკუთრებაში დაახლოებით 300 გემია, რომლებზეც დაახლოებით 4 500 მეზღვაური მსახურობს. კომპანიამ „Elvictor Group“ საქართველოში წარმომადგენლობა 2013 წელს, ბათუმში გახსნა (2015 წლიდან ფუნქციონირებს „Elvictor Crew Management Service“ სახელწოდებით). ამჟამად, „Elvictor Group“ პირველ ადგილს იკავებს ქართველი მეზღვაურების დასაქმების კუთხით - 2020 წელს კომპანიის გემებზე 800-ზე მეტი ქართველი მეზღვაური მსახურობდა.	2020 წლის 9 დეკემბერი - საქართველოს ელჩი დავით დონდუა ესტუმრა კომპანიის „Elvictor Group“ ოფისს და შეხვდა კომპანიის მფლობელს სტავროს გალანაკისს, აღმასრულებელ დირექტორს კონსტანტინოს გალანაკისს და წვრთნების დირექტორს, კაპიტან დიმიტრის კალოსაკისს. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. კომპანიის წარმომადგენლებმა ვრცლად ისაუბრეს საზღვაო გემებზე ქართული დროშის კონკურენტუნარიანობისა და ცნობადობის გაზრდისთვის გადასადგმელ ნაბიჯებზე. კომპანია თავის მხრივ მზად არის მაქსიმალურად ხელი შეუწყოს საზღვაო გემებზე ქართული დროშის რეკლამირებას და მოიზიდოს გემთმფლობელები, რომლებიც თავიანთ გემებს ქართული დროშის ქვეშ გადმოიყვანენ. „Elvictor Group“ მზად არის იყოს საქართველოს წარმომადგენელი ამ სფეროში როგორც საბერძნეთში, ისე მსოფლიოში. კომპანიას აქვს დიდი გამოცდილება, სათანადო რეპუტაცია და რესურსი, რომ ქართულ მხარეს შუამავლობა გაუწიონ ამ დარგში ჩართულ სხვადასხვა ინსტიტუტთან - ბანკებთან, გემთმფლობელებთან, რეგულატორებთან, ship classification society, P&I club-ებთან. კომპანია მზად არის ქართულ მხარეს შესთავაზოს სტრატეგია თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქართული დროშა გახდეს მიმზიდველი გემთმფლობელებისთვის. 2021 წლის 18 თებერვალი - საბერძნეთში საქართველოს საელჩოს ინიციატივით გაიმართა ონლაინ შეხვედრა, რომელშიც ქართული მხრიდან მონაწილეობდნენ საელჩოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლები, ხოლო ბერძნული მხრიდან - კომპანიის „Elvictor Group“ ხელმძღვანელობა. შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილი, ელჩი დავით დონდუა და „Elvictor Group“-ის დამფუძნებელი სტავროს გალანაკისი. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა თამარ იოსელიანმა, დირექტორის მოადგილემ ივანე აბაშიძემ და "ელვიქტორის" აღმასრულებელმა დირექტორმა კონსტანტინოს გალანაკისმა ვრცლად ისაუბრეს არსებული თანამშრომლობის მიმდინარეობასა და სამომავლო გეგმებზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საზღვაო გემებზე ქართული დროშის კონკურენტუნარიანობისა და ცნობადობის გაზრდაზე, ასევე ქართველი მეზღვაურებისა და კადეტების დასაქმების საკითხებზე და ამ მიზნით გადასადგმელ ნაბიჯებზე. 2021 წლის 26 მარტი - საქართველოს ელჩი დავით დონდუა შეხვდა კომპანიის „Elvictor Group“ აღმასრულებელ დირექტორს კონსტანტინოს გალანაკისს. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს კომპანიასა და ქართულ მხარეს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.	• 2021 წლის აპრილში, კომპანიამ „Elvictor Group“ ბათუმში ოფიციალურად გახსნა საზღვაო საწვრთნელი ცენტრი „ქუალშიფ ჯორჯია“ (Qualship Georgia Maritime Training Center), რომლის ფარგლებშიც ცენტრს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსგან საზღვაო სასწავლებლის აღიარების სერტიფიკატი გადაეცა. „ქუალშიფ ჯორჯია“ ქართველ მეზღვაურებს მაღალი დონის, მოკლევადიან საწვრთნელ კურსებს სთავაზობს. სასწავლებელი აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე სიმულატორებით და ტრენაჟორებით და ყველა პირობას ქმნის წვრთნების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. • კომპანია „Elvictor Group“ ქართველ სტუდენტებს ფინანსურ მხარდაჭერას სთავაზობს ათენის ბიზნეს კოლეჯში (BCA) განათლების მიღებისათვის. • კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან ქართველი კადეტებისთვის გამოცდილების მიღებისა და შემდგომში მათი დასაქმების მიმართულებით.	• კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი კონსტანტინოს გალანაკისი განიხილება საქართველოს საპატიო კონსულის თანამდებობაზე. • კომპანია აგრძელებს ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებს თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებაზე, როგორც ქართული დროშის კონკურენტუნარიანობისა და ცნობადობის გაზრდის, ისე მეტი ქართველი მეზღვაურისა და კადეტის დასაქმების მიმართულებით.

2021 წლის 29 მარტი.	ფართო საზოგადოება.	ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსა საბერძნეთში საქართველოს საელჩოს მიერ მიწოდებული პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ.	https://www.acci.gr/acci/articles/article.jsp?context=103&sectionid=105&articleid=28020	
2021 წლის 6 აპრილი; 2021 წლის 6 მაისი.	საზღვაო სფეროში მომუშავე 3 ბერძნული კომპანია - Star Bulk, Product Shipping & Trading და Oceanbulk Containers.	2021 წლის 6 აპრილი - საქართველოს საელჩოს მრჩეველმა გიორგი შოშიტაშვილმა ონლაინ შეხვედრა გამართა აღნიშნული 3 ბერძნული კომპანიის საზღვაო ეკიპაჟის დეპარტამენტის დირექტორ ალექსანდროს ციცონისთან, საქართველოში წარმომადგენლობის გახსნისა და ქართველი მეზღვაურების დასაქმების საკითხის განხილვის მიზნით. გიორგი შოშიტაშვილმა ალექსანდროს ციცონისს გააცნო როგორც საქართველოს ხელსაყრელი ბიზნეს და საინვესტიციო გარემო, ისე საზღვაო სფეროში ქვეყნის პოლიტიკა და არსებული ვითარება. 2021 წლის 6 მაისი - საბერძნეთში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლებსა და ალექსანდროს ციცონისს შორის, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.	კომპანია განიხილავს საქართველოში ოფისის გახსნისა და ქართველი მეზღვაურების დასაქმების შესაძლებლობას.	საქართველოს საელჩო რჩება კონტაქტზე კომპანიის წარმომადგენელთან.

2021 წლის 10 მაისი.	ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	საქართველოს ელჩი დავით დონდუა შეხვდა ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტ კონსტანტინოს მიხალოსს. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ისაუბრეს პანდემიის შედეგად გამოწვეულ სირთულეებზე, განსაკუთრებით ტურიზმის სექტორში. საქართველოს ელჩმა ისაუბრა საქართველოში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ასევე წარმატებულ რეფორმებზე, მათ შორის იუსტიციის სახლზე. დავით დონდუამ ასევე აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებობს ნაყოფიერი და მყარი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები, თუმცა ეკონომიკური მიმართულებით ურთიერთობები არ არის აქტიური. კონსტანტინოს მიხალოსის განცხადებით, მნიშვნელოვანია ორ ქვეყანას შორის მოხდეს თანამშრომლობის პოტენციური სფეროების გამოვლენა, რომლის მიმართულებითაც შესაძლებელია კავშირების გაღრმავება. ასევე მისი განცხადებით საბერძნეთიდან სავაჭრო-მისიის ვიზიტები, მსოფლიოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მინიმუმ 2021 წლის სექტემბრამდე ვერ განხორციელდება. შესაძლებელია ონლაინ შეხვედრისა და პრეზენტაციის გამართვა, რომელსაც შესაძლოა 10-15 კომპანია დაესწროს. შეხვედრის დასასრულს საქართველოს ელჩმა კონსტანტინოს მიხალოსს განსახილველად საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ურთიერთგაგების მემორანდუმი გადასცა.	• 2021 წლის მაისში ხელი მოეწერა საქართველოსა და ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს. • 2021 წლის 27 ივლისს, საბერძნეთში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ათენის სტარტაპ ბიზნესის ინკუბატორის (The Athens Startup Business Incubator) წარმომადგენლებს შორის. ათენის სტარტაპ ბიზნესის ინკუბატორი წარმოადგენს ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით შექმნილ ორგანიზაციას, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში ინოვაციური ბიზნესის დაარსებასა და შემდგომ განვითარებას. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ერთმანეთს მუშაობის მეთოდიკა და მიზნები გააცნეს. მხარეებს შორის ასევე განხილული იქნა ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობა.	საქართველოს საელჩო აგრძელებს მუშაობას, ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართულობით, სხვადასხვა პროექტის განხორციელების შესაძლებლობაზე.

2021 წლის 28 მაისი.	საზღვაო კომპანია - Eastern Mediterranean Maritime Ltd. კომპანიის მფლობელობაში 77 გემია, რომლებზეც 4 000-მდე მეზღვაური მსახურობს.	საქართველოს საელჩოს მრჩეველმა გიორგი შოშიტაშვილმა შეხვედრა გამართა საზღვაო კომპანიის საზღვაო ფლოტის პერსონალის მენეჯერ სპიროს პიერატოსთან, საქართველოში წარმომადგენლობის გახსნისა და ქართველი მეზღვაურების დასაქმების საკითხის განხილვის მიზნით.	კომპანია განიხილავს საქართველოში ოფისის გახსნისა და ქართველი მეზღვაურების დასაქმების შესაძლებლობას.	საქართველოს საელჩო რჩება კონტაქტზე კომპანიის წარმომადგენელთან.
2021 წლის 28 ივნისი.	ლასითის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	საქართველოს ელჩი დავით დონდუა შეხვდა ლასითის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელ თომას ხარიტაკისს. შეხვედრის ფარგლებში საქართველოს ელჩმა პალატის პრეზიდენტს აცნობა საქართველოს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. განხილული იქნა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის უფრო მეტად გაზრდის, ასევე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, განახლებადი ენერგია) თანამშრომლობის შესაძლებლობები.	მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ პირველ ეტაპზე დაიგეგმება ონლაინ კონსულტაციები ჰერაკლიონისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კუთხით კავშირების მეტად გაღრმავების მიმართულებით თანამშრომლობის შესაძლებლობების განსახილველად.	საქართველოს საელჩო მართავს კონსულტაციებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან, ლასითის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართულობით, სხვადასხვა პროექტის განხორციელების შესაძლებლობაზე.
2021 წლის 29 ივნისი.	ჰერაკლიონის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	საქართველოს ელჩი დავით დონდუა შეხვდა ჰერაკლიონის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტ მანოლის ალიფიერაკისს. შეხვედრის ფარგლებში საქართველოს ელჩმა პალატის პრეზიდენტს აცნობა საქართველოს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. ასევე განხილული იქნა ის სექტორები (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, განახლებადი ენერგია), რომლის მიმართულებითაც შესაძლებელია ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება.	მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ პირველ ეტაპზე დაიგეგმება ონლაინ კონსულტაციები ჰერაკლიონისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კუთხით კავშირების მეტად გაღრმავების მიმართულებით თანამშრომლობის შესაძლებლობების განსახილველად.	საქართველოს საელჩო მართავს კონსულტაციებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან, ჰერაკლიონის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართულობით, სხვადასხვა პროექტის განხორციელების შესაძლებლობაზე.

2021 წლის 29 ივნისი; 2021 წლის 18 აგვისტო.	კომპანია "Karatzis S.A.". "Karatzis S.A." ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა მსოფლიოში ბადისებრი ქსოვილის (netting materials) წარმოების მიმართულებით. კომპანია საკუთარი პროდუქციის ექსპორტს 70-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს, ხოლო საწარმოები საბერძნეთსა და გერმანიაში აქვს განთავსებული. ამასთან, კომპანიას წარმომადგენლობები ესპანეთში, გაერთიანებულ სამეფოში, იტალიაში, რუსეთსა და პოლონეთში აქვს გახსნილი. მაგრამ ეს არ არის კომპანიის ერთადერთი პროფილი. ის, დამატებით, ტურიზმისა და ენერგეტიკის სექტორებშიც ოპერირებს. კომპანია კრეტაზე ორ უმაღლესი კატეგორიის სასტუმროს კომპლექსს ფლობს - Nana Golden Beach (https://www.nanagoldenbeach.gr/) და Nana Princess Suites Villas & Spa (https://www.nanaprincess.gr/). კომპანიის მფლობელობაშია ბიზნესჯეტების ავიაკომპანიაც - Panellenic Airlines (https://www.panellenic.com/en), რომელიც ჩარტერულ რეისებს ახორციელებს. კომპანიას აქვს ასევე მზის, ჯამში 20 მეგავატის სიმძლავრის ფოტოელექტრული სადგურები. ასევე ამჟამად მიმდინარეობს 10 მეგავატის სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა. კომპანია გეგმავს ალუმინის წარმოების ინდუსტრიაში ოპერირების დაწყებასაც.	2021 წლის 29 ივნისი - საქართველოს ელჩი დავით დონდუა და საელჩოს მრჩეველი გიორგი შოშიტაიშვილი შეხვდნენ კრეტული კომპანიის "Karatzis S.A." აღმასრულებელ დირექტორს ანტონიოს კარაძისს. საქართველოს ელჩმა აღმასრულებელ დირექტორს ქვეყნის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო გააცნო, ასევე ისაუბრა ქვეყანაში არსებული სააგენტოებისა და ფონდების შესახებ, რომლებიც ხელშემწყობ ფაქტორად ევლინება პოტენციურ ინვესტორებს. 2021 წლის 18 აგვისტო - საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა ონლაინ შეხვედრა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და ბერძნული კომპანიის „Karatzis S.A.“ წარმომადგენლებს შორის. "Karatzis S.A." ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა მსოფლიოში ბადისებრი ქსოვილის წარმოების მიმართულებით. კომპანია საკუთარი პროდუქციის ექსპორტს 70-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს. "Karatzis S.A." ასევე ენერგეტიკის, ტურიზმისა და ავიაციის სექტორებში ოპერირებს. ქართულმა მხარემ კომპანიის წარმომადგენლებს გააცნო საქართველოს ხელსაყრელი ბიზნეს და საინვესტიციო გარემო. ასევე განხილული იქნა ის ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებიც ევლინება პოტენციურ ინვესტორებს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაგრძელდება კომუნიკაცია საქართველოში ინვესტიციის განხორციელებისათვის შემდგომი ნაბიჯების განხილვის მიზნით.	კომპანია „Karatzis S.A.“ დაინტერესებულია საქართველოში წარმოებისა და ენერგეტიკის სფეროებში ინვესტირებით.	საქართველოს საელჩო რჩება კონტაქტზე კომპანიის წარმომადგენლებთან.

2021 წლის 30 ივნისი.	კომპანია "Plastika Kritis". კომპანია ერთ-ერთი წამყვანია ევროპაში, რომელიც პლასტმასის შემღებავ დანამატებსა (masterbatches) და სათბურებისთვის განკუთვნილ ფირებს აწარმოებს. კომპანიას საწარმოები საბერძნეთის გარდა, ასევე რუმინეთში, პოლონეთში, თურქეთში, რუსეთში, ჩინეთსა და საფრანგეთში აქვს გახსნილი. კომპანია საკუთარი პროდუქციის ექსპორტს 75-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს. 2020 წელს კომპანიის "Plastika Kritis" კონსოლიდირებულმა სავაჭრო-ბრუნვამ 305 მლნ. ევრომდე შეადგინა. საბერძნეთში კომპანია ასევე ამუშავებს 12 მეგავატის (MW) სიმძლავრის მქონე ქარის ელექტროსადგურს და 2.34 მეგავატის (MW) სიმძლავრის მქონე მზის ფოტოელექტრულ სადგურებს.	საქართველოს ელჩი დავით დონდუა და საელჩოს მრჩეველი გიორგი შოშიტაიშვილი შეხვდნენ კომპანიის "Plastika Kritis" თავმჯდომარეს იოანის ლებიდაკისს და მმართველ დირექტორს მიხაელ ლებიდაკისს. საქართველოს ელჩმა კომპანიის წარმომადგენლებს საქართველოს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო გააცნო, ასევე ისაუბრა ქვეყანაში არსებული სააგენტოებისა და ფონდების შესახებ, რომლებიც ხელშემწყობ ფაქტორად ევლინება პოტენციურ ინვესტორებს.	კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს საქართველოში ინვესტიციის განხორციელების შესაძლებლობას.	საქართველოს საელჩო რჩება კონტაქტზე კომპანიის წარმომადგენლებთან.

2021 წლის 1-ლი ივლისი.	ხანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	საქართველოს ელჩი დავით დონდუა შეხვდა ხანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნეს კონსალტინგის ხელმძღვანელ დიმიტრიოს მუნტაკისს. შეხვედრის ფარგლებში საქართველოს ელჩმა პალატის წარმომადგენელს აცნობა საქართველოს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. განხილული იქნა იმ სექტორების ჩამონათვალი (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, განახლებადი ენერგია), რომლის მიმართულებითაც შესაძლებელია ორმა ქვეყანამ გააღრმავოს ეკონომიკური კავშირები.	მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ პირველ ეტაპზე დაიგეგმება ონლაინ კონსულტაციები ჰერაკლიონისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კუთხით კავშირების მეტად გაღრმავების მიმართულებით თანამშრომლობის შესაძლებლობების განსახილველად.	საქართველოს საელჩო მართავს კონსულტაციებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან, ხანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ჩართულობით, სხვადასხვა პროექტის განხორციელების შესაძლებლობაზე.
2021 წლის 13 ოქტომბერი.	როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები.	ენერგეტიკის პოლიტიკისა და განვითარების ცენტრის (KEPA) მიერ ორგანიზებული ღონისძიება “Green Energy Investments Forum”. აღნიშნული ცენტრი ასევე შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის - მწვანე ენერგიის ქსელის (BSEC – Green Energy Network) კოორდინატორია. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ამჟამად საქართველო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანაა, ზემოხსენებული ღონისძიება საქართველოს მიეძღვნა. ღონისძიებაზე მომხსენებელთა შორის ქართული მხრიდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ბატონი დავით თვალაბეიშვილი იყო		

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა
და
დიპლომატიური გადაფარვის დამატებით 12 აფრიკული ქვეყანა

(ანგოლა, ბოცვანა, ესვატინი, ლესოტო, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ზამბია, ზიმბაბვე, მადაგასკარი, მალავი, მავრიკი, მოზამბიკი, ნამიბია)

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა/შ)	თემატიკა	შედეგი	განხორციელებული და/ან დაგეგმილი საქმიანობა
		2020		
2020-2021 წლები რეგულარული კომუნიკაცია **მაგალითად,** 30 იანვარი, 18 მარტი, 2021 წლის 18 თებერვალი, 26 და 27 მარტი, 14 აპრილი, 30 სექტემბერი.	აფრიკის სამხრეთის რეგიონის და საქართველოს სავაჭრო პალატა (SAGCC), პალატის ცალკეული წევრები, სამხრეთ აფრიკის და გადაფარვის ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატები, საქართველოს საპატიო კონსულები მავრიკზე, მადაგასკარზე, ზამბიაში, ანგოლაში, ბოცვანაში, მოზამბიკში, იოჰანესბურგში და დურბანში.	საქართველოს საინვესტიციო და სავაჭრო პოტენციალის და სიახლეების შესახებ ინფორმაციის რეგულარული მიწოდება.	სამხრეთ აფრიკული ბიზნეს სექტორის დაინტერესება საქართველოს ბიზნეს გარემოთი; ცალკეული სამხრეთ აფრიკელი ბიზნესმენების მიერ საკუთარი ბიზნეს ოპერაციების ბაზად საქართველოს შერჩევა (მაგალითად, კომპანია Hume International) და შემოსავლების მიღება საქართველოს ბანკებში მყარ ვალუტაში. საქართველოს ბანკებში საკუთარი დანაზოგების დაბანდება მყარ ვალუტაში და საქართველოს ეროვნულ ვალუტაში; საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში, ფერმერულ მეურნეობებში ინვესტირება (მაგალითად, ჰარცენბერგების ოჯახი,	პრეტორიაში საქართველოს საელჩო ახდენს სამხრეთ აფრიკაში და გადაფარვის 12 აფრიკულ ქვეყანაში ბიზნეს სექტორის და სახელმწიფო სტრუქტურების რეგულარულ ინფორმირებას საქართველოს საინვესტიციო და სავაჭრო პოტენციალის, ასევე, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების შესახებ.

			ლამბერტ ტერონის ოჯახი, სხვ.)	
2020-2021 წლები რეგულარული კომუნიკაცია	სამხრეთ აფრიკული მსხვილი კომპანია Discovery Health (**www.discovery.co.za**) და ამ კომპანიის მთავარი საინფორმაციო ოფიცერი (Chief Information Officer (CIO)) მაია სურმავა.	საქართველოში მაღალი ტექნოლოგიების სფეროში **(IT/Program Development outsourceing)** მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა Discovery Health-ის და პერსპექტივაში სხვა სამხრეთ აფრიკული თუ ტრანსნაციონალური კომპანიების ჩართულობით.	სამხრეთ აფრიკული კომპანიის Discovery Health-ის და ქართული კომპანიების „ომედიას“ (www.omedia.dev) და „აზრის“ (www.azry.com) თანამშრომლობა, რომლის ფარგლებში ქართველი პროგრამისტების ასრულებენ მაღალანაზღაურებად სამუშაოს (IT, program development) სამხრეთ აფრიკული კომპანიის დაკვეთით. იკვეთება მსგავსი სამუშაო ადგილების დამატებით ზრდის რეალური პოტენციალი.	მიმდინარეობდა რეგულარული დიალოგი. ამ პოტენციალის რეალიზაციის მიმართულებით დამატებითი ნაბიჯის სახით, საქართველოს ელჩის ბექა დვალის ხელშეწყობით, 2021 წლის ოქტომბრის თვეში გაიმართება მაია სურმავას ონლაინ შეხვედრა ორგანიზაციებთან „აწარმოე საქართველოში“ (www.enterprisegeorgia.gov.ge) და “საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო” (www.gita.gov.ge).
2020-2021 წლები - იანვარ თებერვლის და სექტემბრის პერიოდები (სამხრეთ აფრიკული და ქართული რთველი)	სამხრეთ აფრიკული და ქართული მეღვინეობები.	სამხრეთ აფრიკულ და ქართულ მეღვინეობებს შორის მეღვინეთა გაცვლითი პროგრამა (Georgia-South Africa Winemaker Exchange Programme).	ორ ქვეყანას შორის ღვინის წარმოების სფეროში ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გაცვლის, ხალხთა შორის კავშირების განვითარების და სამხრეთ აფრიკაში საქართველოს შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით პოტენციურ ინვესტორებს შორის, საქართველოში მაღალი კლასის ტურისტების ვიზიტების წახალისება. ამ პროგრამის (დაწყებული რამდენიმე წლის წინ)	მიმდინარეობს, როგორც გრძელვადიანი, ყოველწლიური პროექტი.

			მნიშვნელოვანი წვლილიცაა იმაში, რომ ორი სამხრეთ აფრიკული მეღვინეობის Avobdale Cellar-ის და Spice Route-ის მიერ სამხრეთ აფრიკაში მოხდა რამდენიმე ათეული ქვევრის შეკვეთა საქართველოში, ჩამოტანა სამხრეთ აფრიკაში და განხორციელდა სამხრეთ აფრიკული ღვინის დაყენება ქვევრებში. სამხრეთ აფრიკულ ქალაქ პარლში (Paarl) ხსენებულ მეღვინეობებში და მათთან დაკავშირებულ რესტორნებში სხვადასხვა დროს ეწყობა „ქართული სუფრები“ ქვევრის ღვინოს დეგუსტაციის თანხლებით.	
2020 წლის 22 იანვარი და 13 ოქტომბერი	კომპანია „Big Idea“-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ქალბატონი გერდა ჰეიმანი.	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, მაქსიმალურად წარმოჩენის და მარკეტინგის თავისებურებების განხილვა.		მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2020 წლის 27 აპრილი	სამხრეთ აფრიკელი ბიზნესმენი და აფრიკის სამხრეთის რეგიონის და საქართველოს სავაჭრო პალატის წევრი **პერსი მორაპედი კოჯი.**	დაკავშირება ქართველ მეღვინეობებთან „ხარება“, „შავნაბადას მონასტრის ღვინოები“ და „წინანდალი 1986“ ქართული ღვინის სამხრეთ აფრიკაში ექსპორტის და/ან ამ მეღვინეობებში შესაძლო ინვესტირების მიზნით. მიეწოდა ინფორმაცია საქართველოში ტურიზმის სფეროში არსებული		მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.

2020 წლის 17 დეკემბერი		საინვესტიციო პოტენციალის ისევე როგორც ტურისტული შესაძლებლობების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული ბიზნესმენი ფლობს ტურისტულ სააგენტოსაც.		
2020 წლის 6 მაისი	სამხრეთ აფრიკული საკონსულტაციო კომპანია Africa One Holdings-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ბატონი **ჯონ-ერნესტ ფოგველი(John-Ernest Fogwell).**	მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს ბიზნეს-რეპუტაციის და საინვესტიციო სფეროში პრიორიტეტების შესახებ, ასევე, მიეწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერობების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაცია საქართველოში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებით.		მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა
2020 წლის ივლისი	სამხრეთ აფრიკაში და აფრიკის სამხრეთის რეგიონში საქართველოდან სასუქის ექსპორტით პოტენციური ინტერესის მქონე ბიზნეს ორგანიზაციები.	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მომართა ორმა ქართულმა კომპანიამ თავიანთი პროდუქციის აფრიკაში სერთიფიცირება/ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, ესენია: **1)** კომპანია „შილდი“ (https://shield.ge/index.php?lang=eng), რომლის ინოვაციური პროდუქტია, ერთდროულად, „მავნებლის უნივერსალური გამანადგურებელი“ და სასუქი. კომპანია, ასევე, აწარმოებს სადეზინფექციო საშუალებებს; **2)** კომპანია „Elixir Global“ (elixir.global), რომელიც აწარმოებს სადეზინფექციო საშუალებებს.	ორივე პროდუქტის შესახებ ინფორმაცია საელჩომ მიაწოდა აფრიკის სამხრეთის რეგიონის და საქართველოს სავაჭრო პალატას, სამხრეთ აფრიკის სხვა სავაჭრო პალატებს, სხვადასხვა ფერმერულ მეურნეობებს, ასევე, ბოცვანაში, მადაგასკარზე, მავრიკზე, ზამბიაში და ანგოლაში საქართველოს საპატიო კონსულებს, შესაბამის ქვეყნებში ხსენებული პროდუქტებით ბიზნეს წრეების დაინტერესების მიზნით.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2020 წლის 7 აგვისტო	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ბიზნესის, სახელისუფლო და დიპლომატიურ წრეებს შორის ერთ-	საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ ინფორმაციის მიწოდება.	გამოცემა „Embassy Direct“-ში (ბეჭდურ და ელექტრონულ ფორმატებში) ქვეყნდება	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.

	ერთი პოპულარული ორგანიზაციის და გამოცემის „Embassy Direct“-ის (www.embassydirect.co.za) წარმომადგენელი როდრიგო ჩიარი (Rodrigo Chiari).		ინფორმაცია საქართველოს შესახებ.	
2020 წლის 24 დეკემბერი	სამხრეთ აფრიკის ბიზნეს სექტორი-სავაჭრო პალატები.	საელჩომ გაავრცელა ინფორმაცია ქართული კომპანიის შპს „უნივერს ბიზნეს გრუპ“-ის (Universe Business Group (www.ubg.ge)) შესახებ, რომელმაც საელჩოსთან დააფიქსირა ინტერესი საკუთარი პროდუქციის აფრიკის ქვეყნებში იმპორტთან დაკავშირებით.		მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
		2021		
2021 წლის 27 იანვარი	12,000-მდე სამხრეთ აფრიკული ბიზნეს ორგანიზაციის გაერთიანების "საქელიგას" დირექტორი პიტ ლე რუ.	მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო და სავაჭრო პოტენციალის შესახებ.	შეთანხმდა „საქელიგას“ მიერ საკუთარი წევრებს შორის საელჩოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის რეგულარული გავრცელება საქართველოში ბიზნეს-შესაძლებლობების შესახებ.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2021 წლის 10 მარტიდან რეგულარული კონტაქტები	სამხრეთ აფრიკული ბიზნეს სექტორი, სავაჭრო პალატები.	ქართული სავაჭრო კომპანია „G & G Holdings“-ის (www.ggholding.ge) (კომერციული დირექტორი **ზურაბ ნაროუშვილი)** დაკავშირება პოტენციურ იმპორტიორებთან სამხრეთ აფრიკაში და საელჩოს გადაფარვის სხვა ქვეყნებში.	მიმდინარეობს ძალისხმევა აფრიკის სამხრეთის რეგიონის და საქართველოს სავაჭრო პალატასთან კოორდინირებით.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2021 წლის 24 მარტი	სამხრეთ აფრიკის ვაჭრობის, ინვესტიციების და კონკურენციის დეპარტამენტი; სამხრეთ აფრიკის ბიზნეს სექტორი.	საქართველოს ელჩის ბექა დვალის და საქართველოში სამხრეთ აფრიკის ელჩის (რეზიდენციით ქ. პრეტორია) ანდრე ბრუნვალდის თანა-ორგანიზებით,	ორივე მხრიდან დაფიქსირდა ეკონომიკური დიპლომატიის პრიორიტეტული მიმართულებები. შეთანხმდა	მიმდინარე, რეგულარული ძალკისხმევა.

		საქართველოს და სამხრეთ აფრიკას შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობების განსახილველად (თემაზე „Reigniting Trade and Investment between South Africa and Georgia“), ონლაინ პლატფორმის MS Teams-ის მეშვეობით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა.	გამოთქმული პოზიციების ასახვა ერთ სამუშაო დოკუმენტში და მორიგი შეხვედრის ორგანიზება შემდგომი მსჯელობის მიზნით. სამხრეთ აფრიკის ვაჭრობის, ინვესტიციების და კონკურენციის დეპარტამენტის წარმომადგენლები აგრძელებენ რეგულარულ დიალოგს საქართველოს ელჩთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა პერსპექტიული მიმართულებით განვითარების ხელშეწყობის მიზნით.	
2021 წლის 31 მარტი 2021 წლის 14 აპრილი	სამხრეთ აფრიკული კომპანია Crowe DNA / www.crowedna.co.za (მუტინაციონალური კომპანია Crowe International-ის წარმომადგენლობა სამხრეთ აფრიკის ხაუტენგის პროვინციაში) დირექტორი მერვინ ბროდი (Mervyn Brody)	საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.	პანდემიის პირობებში შემსუბუქების შემდეგ, დაიგეგმება მ. ბროდის ვიზიტი საქართველოში.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2021 წლის 20 აპრილი და 12 ოქტომბერი	სამხრეთ აფრიკის ვაჭრობის, ინვესტიციების და კონკურენციის დეპარტამენტის მაღალი დონის ხელმძღვანელობა.	საქართველოს და სამხრეთ აფრიკას შორის ორმხრივი ვაჭრობისა და ინვესტიციების შესაძლებლობების განხილვა.	სამხრეთ აფრიკასთან კოორდინაციის დონის ამაღლება ორ ქვეყანას შორის ბიზნესის წარმოების, მათ შორის, პარტნიორი კომპანიების ვერიფიკაციის პროცესში.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა. იგეგმება 2021 წლის ბოლომდე სამხრეთ აფრიკის ვაჭრობის, ინვესტიციების და კონკურენციის დეპარტამენტის

				ინვესტირების სააგენტოს ონლაინ შეხვედრა ორგანიზაციასთან „აწარმოე საქართველოში“.
2021 წლის 10 მაისი	სამხრეთ აფრიკული სამხედრო-სამრეწველო კომპანიის OTT Technologies (PTY) LTD (OTT)-ის (www.ott.co.za) ბიზნესის განვითარების მენეჯერი, ბრიგადის გენერალი კრის გილდენჰუი (Brig. Gen. Chris Gildenhuys, Ret.). კონტაქტი შედგა საქართველოში სამხრეთ აფრიკის ელჩის ჩართულობით.	საქართველოს სახელმწიფო თუ კერძო სამხედრო პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებთან თანამშრომლობით, საქართველოსთვის, ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის, ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის პროდუქციის მისაწოდებლად ამ სამხრეთ აფრიკულ კომპანიასთან ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბების შესაძლებლობა.	*შესაბამისი რეკომენდაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიგზავნა 2021 წლის 10 მაისის N15260-53 წერილით.*	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2021 წლის 11 მაისი	სამხრეთ აფრიკის საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობის სამინისტრო.	სხვა საკითხებს შორის, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების სახელმწიფო, ინსტიტუციური მხარდაჭერის წახალისება.	პოლიტიკური კონსულტაციების მე-4 რაუნდი სამხრეთ აფრიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის დეპარტამენტის დირექტორების დონეზე (4th round of Georgia-South Africa Senior Officials Political Consultations (SOPC).	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2021 წლის 19 მაისი	პრეტორიის როტარი კლუბი.	საქართველოში ინვესტირების და საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობების შესაძლებლობები.	პრეტორიის როტარი კლუბის წევრ ბიზნესმენებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოში სავაჭრო-საინვესტიციო პოტენციალის შესახებ.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.

2021 წლის 24 მაისი	სამხრეთ აფრიკული სამხედრო-სამრეწველო კომპანიის MILKOR-ის ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ბატონი ტირონ ლაფფერტის (Mr. Tyron Lafferty).	ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბების შესაძლებლობა.	შეხვედრის შესახებ ინფორმაცია სამინისტროში გამოიგზავნა 2021 წლის 24 მაისის N16996-53 წერილით.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2021 წლის 30 მაისი	დურბანში საქართველოს საპატიო კონსული ტრივეშან ნაიდუ; ღვინის იმპორტიორები დურბანში; ქართული მეღვინეობა „ხარება“.	ქართული ღვინის შესაძლო იმპორტი სამხრეთ აფრიკაში დურბანის პორტის გზით, წამყვანი სასტუმროების და სხვადასხვა ექსკლუზიური ღვინის მაღაზიების ქსელებში.	დურბანში საქართველოს საპატიო კონსულის მეშვეობით მოხდა მეღვინეობა „ხარებას“ შესახებ ინფორმაციის გავრცელება სამხრეთ აფრიკაში ალკოჰოლის ცალკეულ იმპორტიორთა შორის.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2021 წლის 31 მაისი	აფრიკის სამხრეთის რეგიონის და საქართველოს სავაჭრო პალატა; სამხრეთ აფრიკელი იმპორტიორები.	ქართული კომპანია “Unique Water” LLC-ის პროდუქციის - ქართული წყლის აფრიკის კონტინენტის სამხრეთის ქვეყნებში იმპორტის შესაძლებლობები.	შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდა პოტენციურ იმპორტიორებს და რეგიონის ქვეყნების სავაჭრო პალატებს.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2021 წლის 2 ივნისი	სამხრეთ აფრიკელი ბიზნესმენი, აფრიკის სამხრეთის რეგიონის და საქართველოს სავაჭრო პალატის წევრი, კომპანია SoftyComp-ის დამფუძნებელი და მმართველი ბილი პიენარი.	ამ ბიზნესმენის მიერ საქართველოში საკუთარი ბიზნეს ოპერაციების და ანგარიშების მიმდინარე ტრანსფერი.	პროცესი გრძელდება.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.
2021 წლის 13 აგვისტო	ბოცვანის რესპუბლიკის დედაქალაქ ხაბორონეში 2020 წლიდან გახსნილი, უახლოესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კერძო საავადმყოფოს - **სიდილეგას კერძო ჰოსპიტალის** (https://www.sidilegaprivatehospital.co.bw/) მმართველი, **დოქტორი სურეშ მენონი** (Dr. Suresh Menon, Member of Canadian College of Health Leaders,	ბოცვანაში, ზამბიაში, ზიმბაბვეში და ნამიბიაში მოქმედი სუპერმარკეტების ქსელის Choppies-ის ქსელში ქართული პროდუქციის შესაძლო განთავსება. ხსენებული ქსელის მესაკუთრე ბიზნესმენის მიერ საქართველოში შესაძლო ინვესტირება	მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის და ინვესტირების შესაძლებლობების შესახებ.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.

	Chief Executive Officer, Sidilega Private Hospital).			
2021 წლის 25 აგვისტო	ზამბიის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	საქართველოს და ზამბიას შორის სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების განვითარება.	გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი აფრიკის სამხრეთის რეგიონის და საქართველოს სავაჭრო პალატას და ზამბიის სავაჭრო სამრეწველო პალატას შორის. მემორანდუმი მიზნად ისახავს საქართველოს და ზამბიას შორის ეკონომიკური ურთიერთობების, მათ შორის, ვაჭრობის, მრეწველობის და ტექნოლოგიების სფეროებში თანამშრომლობის ხელშეკრულება.	მიმდინარე, რეგულარული ძალისხმევა.

<u>ცნობისთვის:</u>

1) **2020-2021 წლებში მიმდინარე გლობალური პანდემიიდან გამომდინარე, შეზღუდული იყო პრეტორიაში საქართველოს საელჩოს შესაძლებლობები ბიზნეს სექტორთან ადგილსამყოფელ და გადაფარვის ქვეყნებში ინტენსიური და ფიზიკური შეხვედრების ორგანიზების თვალსაზრისით. მაგალითად, 2020 წლის განმავლობაში,** პანდემიის გამო, ვერ განხორციელდა მანამდე ყოველწლიური სამხრეთ აფრიკული ბიზნეს-დელეგაციების ვიზიტები, მათ შორის, ვერც საელჩოსთან თანამშრომლობით მოსალოდნელი აფრიკის სამხრეთის რეგიონის და საქართველოს სავაჭრო პალატის (Southern Africa Georgia Chamber of Commerce (SAGCC)) ეგიდით მოსალოდნელი ბიზნეს-დელეგაციის ვიზიტი სამხრეთ აფრიკიდან საქართველოში. **ამის მიუხედავად, ელექტრონული პლატფორმებით საუბრები და ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, ფიზიკური კონტაქტები სამხრეთ აფრიკის ბიზნეს სექტორთან რეგულარულ ხასიათს ატარებდა.**

2) **პრეტორიაში საქართველოს საელჩოს ადგილსამყოფელი და გადაფარვის ქვეყნები არიან <u>განვითარებადი</u> აფრიკული სახელმწიფოები, შესაბამისად, საქართველოში ამ ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვის თემა, მოცემულ ეტაპზე, ძირითადად, აქტუალურია სამხრეთ აფრიკის კონტექსტში, აქაც**

შეზღუდული სახით, ვინაიდან სამხრეთ აფრიკის ხელისუფლების ძირითად პრიორიტეტს (ურთულესი სამი გამოწვევის–უთანასწორობის, უმუშევრობის და სიღატაკის გადასალახად) თავად ამ ქვეყანაში ინვესტიციების მიზიდვა წარმოადგენს. ყველაზე ხელშესახებ მიმართულებად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან მიმართებით გამოკვეთილია ამ ქვეყნის ბიზნესმენების მოზიდვა, სამხრეთ აფრიკაში არსებული რისკებიდან გამომდინარე, მათი ინვესტიციების შესაძლო დივერსიფიცირების კონტექსტში საქართველოში. ამ კუთხით, ტენდენციად გამოიკვეთა სამხრეთ აფრიკელი ბიზნესმენების და კომპანიების მიერ საქართველოში საკუთარი ანგარიშების შექმნა და სამხრეთ აფრიკიდან თუ გლობალურ დონეზე წარმოებული სხვადასხვა ბიზნეს აქტივობებიდან მიღებული შემოსავლების სწორედ საქართველოს ბანკის ანგარიშებზე მიღება. საელჩო უზრუნველყოფს საქართველოს ბიზნეს გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის რეგულარულ მიწოდებას ყველა დაინტერესებული ბიზნესმენებისთვის. ამავე დროს, საქართველოში საკუთარი ოპერაციების თუ ანგარიშების ტრანსფერის შემდეგ ნაკლებად ხდება საქართველოს საელჩოს ინფორმირება ამ ოპერაციების მოცულობის თუ ტრანსფერების შესახებ, ბიზნესის თუ კერძო ანგარიშების კონფიდენციალობის მოტივით.

3) სამხრეთ აფრიკული კაპიტალის (მყარი ვალუტის) სამხრეთ აფრიკიდან რეპატრიაციასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, სამხრეთ აფრიკული ინვესტიციები, ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოში შემოდის მესამე ქვეყნების გავლით (ძირითადად, გაერთიანებული სამეფო, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, სხვა.). შესაბამისად, საქართველოს საელჩო არ ფლობს დაზუსტებულ სტატისტიკას სამხრეთ აფრიკული ფიზიკური თუ იურიდიული პირების საქართველოში დაბანდებული სახსრების/განხორციელებული ინვესტიციების შესახებ.

მზარდია სამხრეთ აფრიკაში და გადაფარვის სხვა აფრიკულ ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტის შესაძლებლობები, რომელთა წარმატებით რეალიზაციისთვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ქართული ნაწარმის სახეობების დივერსიფიცირება, ასევე, ქართული ნაწარმის რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა (economy of scale) (რეალური მოთხოვნებიდან, ასევე, ტრანსპორტირების ხარჯების რენტაბელურობის ზრდის საჭიროებიდან გამომდინარე). ცალკეულ შემთხვევებში აფრიკის სამხრეთის რეგიონის ქვეყნებში საკვების დეფიციტის მიუხედავად, მოთხოვნაა მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე და სოფლის მეურნეობის ტექნიკურ საშუალებებზე, რისი მიწოდებაც მოცემულ ეტაპზე საქართველოს არ შეუძლია. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან და გადაფარვის სხვა აფრიკულ ქვეყნებთან ორმხრივი კონტაქტების ინტენსიფიკაცია და ვაჭრობისთვის სათანადო ინსტიტუციური და სამართლებრივი გარანტიების შექმნა, კონტინენტის ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე.

საუდის არაბეთის სამეფო

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა

წლის განმავლობაში.	შეხვედრები/კომუნიკაცია ავიაკომპანია „Flynas“-ის ხელმძღვანელობასთან.	პირდაპირი ფრენები.	2021 წლის მარტში აღდგა პირდაპირი ფრენები, ზაფხულში ყოველკვირეულად ხორციელდებოდა 21 პირდაპირი ფრენა ორი ქვეყნის ქალაქებს შორის (მაქს: 36 ფრენა).	
წლის განმავლობაში.	მედიის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ბლოგერები.	საქართველოს ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენა.	ელჩის ინტერვიუები და სტატიები ჟურნალ/გაზეთებში ArabNews, Leaders, AL-Jazeerah, Sabq News.	მედიასთან მუშაობის გაგრძელება.
19.08.2021	შეხვედრა “Lulu”-ს ჰიპერმარკეტების ქსელის ხელმძღვანელებთან. https://www.luluhypermarket.com/en-sa	ქართული პროდუქციის შემოტანა ქსელში.	განხორციელდა პირველი შესყიდვა.	ახლო მომავალში იგეგმება ქართული პროდუქციის კვირეულის მოწყობა.
22.04.2021 29.08.2021	შეხვედრები საუდის არაბეთის სავაჭრო პალატათა საბჭოს გენერალურ მდივანთან.	ვაჭრობის და ინვესტიციების ხელშეწყობა.	მზად არიან უმასპინძლონ დელეგაციას, ჩაატარონ ერთობლივი ბიზნეს სემინარი.	

სექტემბერი 2021	ბიზნესმენთა ჯგუფი.	ინვესტიციები საქართველოში, აჭარის ტურისტულ სექტორში.	ეწვივნენ საქართველოს, გამართეს შეხვედრები „Invest in Georgia“-სთან. აჭარაში მოღვაწე მსხვილ კომპანიებთან.	იგეგმება შემდგომი ვიზიტ(ებ)ი, მიმდინარეობს “Feasibility Study”..
წლის განმავლობაში	„Al Hokair Group“. https://www.alhokair.com/	ინვესტიციები საქართველოს ტურისტულ სექტორში.		იგეგმება კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის მაჯედ ალ-ჰოკაირის ვიზიტი საქართველოში.
29.09.2021	ყურის თანამშრომლობის საბჭო (GCC).	საქართველოსა და ყურის თანამშრომლობის საბჭოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება.	სრულდება მუშაობა საქართველოსა და GCC-ს შორის ერთობლივი სამოქმედო გეგმის გაფორმებაზე.	გაგრძელდება შეხვედრები GCC-ს ხელმძღვანელობასთან და სამუშაო ჯგუფთან.
წლის განმავლობაში.	შეხვედრები საგარეო საქმეთა სამინისტროში, ინვესტიციების სამინისტროში, საგარეო ვაჭრობის გენერალურ ადმინისტრაციაში.	მუშაობა ერთობლივი სამთავრობო ეკონომიკური კომისიის შექმნაზე.	საუდის არაბეთი თანახმაა ერთობლივი ეკონომიკური კომისიის შექმნაზე.	უნდა მივმართოთ ოფიციალური თხოვნით.

15.12.2020	ფარმაცევტული კომპანია „Spimaco“. http://www.spimaco.com.sa/	საქართველოში ფარმაცევტული წარმოების გახსნა.	კომპანია განიხილავს საქართველოში ბიზნესის დაწყების შესაძლებლობას, მათ შორის ფარმაცევტული წარმოების გახსნას.	მიმდინარეობს „Feasibility study“.
03-11.02.2020	საუდის არაბეთის სურსათისა და მედიკამენტების უწყების ვიზიტი საქართველოში. https://www.sfda.gov.sa/en	ქართული კვების პროდუქტების ექსპორტის ხელშეწყობა.	გაიცა რეკომენდაციები და შენიშვნები.	საელჩო აგრძელებს მუშაობას შესაბამის უწყებებთან.

საფრანგეთი

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2019-2020	TRYBA Energies.	განახლებადი ენერგიები, მზის ენერგიის კოლექტორების დამზადებისა და ცენტრების მოწყობის ცენტრის შესაქმნელად ინვესტირება საქართველოში რეგიონზე გავლით.	რამდენიმე ვებინარი ეკონომიკის სამინისტროსთან, საქენერგო პროსთან, ენერგეტიკის სფეროში მომუშავე კვლევით ცენტრებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ასევე თბილისის მერიასთან.	დაგეგმილია ვიზიტი საქართველოში საელჩომ კომპანია დააკავშირა საქართველოში პოტენციურ პარტნიორებთან, რომელთანაც კონსულტაციები მიმდინარეობს.

2020-2021	MEDEF-ის საინვესტიციო ფორმატში პრეზიდენტის შეხვედრა საფრანგეთის ბიზნესმენებთან.	საქართველოს საინვესტიციო გარემოს პრეზენტაცია.		
2021 -	EDF -ის ვიზიტი საქართველოში.	ენერგეტიკის და სპორტის (საწყლოსნო ნაგებობების) სფეროში ინვესტიციების განხორციელება.	მომავალი პერიოდი.	ჰიდრო და ჰელიო ელექტრო სადგურების მშენებლობა.
15-26 ნოემბერი, 2021	MEDEF-ის საინვესტიციო ფორმატში მონაწილეობა ეკონომიკის, ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და სავაჭრო სამრეწველო პალატის, ასევე მთიანი კურორტების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლების მონაწილეობით.	საქართველოში გამოცხადებული ტენდერების, საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ საინფორმაციო პაკეტების მიწოდება.	მომავალი პერიოდი.	
მთელი 2021/2022 წწ განმავლობაში.	საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სავაჭრო სამრეწველო პალატა, MEDEF.		მომავალი პერიოდი.	
რეგულარული.	მონაწილეობა და აქციები დარგობრივი ფორმებზე.	მეცხოველეობის, მევენახეობის , მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის და სხვ.	მომავალი პერიოდი.	
8-10 ოქტომბერი 2021 კლერმონ ფერანში.	დაგეგმილია ქართული პრეზენტაცია მეცხენეობის პანელზე და სხვა პანელებზე პრეზენტაცია საქართველოში	მეცხოველეობა.	მომავალი პერიოდი.	

	განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით.			
16-18 სექტემბერი 2021.	OECD -ის მიერ ორგანიზებული ტრანსპორტის ფორუმში მონაწილეობა.	ევროპის ტრანსპორტის ქარტიის მიმართულებები და საქართველოს ადგილი და როლი.	ახალი პერსპექტივები ქალაქ მობილობის კუთხით.	
10-11 სექტემბერი 2021წ.	IOV-ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის სხდომა და ახალი ოფისის პრეზენტაცია ქ. დიჟონში ბურგუნდია.	საქართველოს აქტიური მონაწილეობა ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.	მომავალი პერიოდი.	
10 სექტემბერი 2021წ.	2024 წლის ოლიმპიადისთვის ძიუდოს ოლიმპიური კომპონენტის მშენებლობასთან დაკავშირებული ადგილების მონახულება და საბჭოში მონაწილეობა.	ინვესტირება სპორტის მხარდასაჭერად.	მომავალი პერიოდი.	
მუდმივი მონაწილეობა.	საქმიანობა OCDE ევროპის ეკონომიკური ორგანიზაციის ფარგლებში.			

მუდმივი ხასიათის.	თანამშრომლობა რეგიონალურ და ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან.			
მუდმივი ხასიათის.	მონაკოს, ბორდოს პარიზის და სხვა საინვესტიციო ფორუმებში მონაწილეობა.			

სლოვაკეთის რესპუბლიკა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2021 წლის ოქტომბერი.	სლოვაკეთის ექსპორტიორთა საბჭო, სლოვაკური კომპანიები.	სლოვაკეთისა და საქართველოს შორის ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება; ქართული პროდუქციის სლოვაკეთში და სლოვაკური პროდუქციის საქართველოში წარმოჩენის შესაძლებლობების განხილვა.	დაინტერესება ქართული პროდუქციის სლოვაკეთში წარმოდგენით.	იგეგმება ელჩის შეხვედრა სლოვაკეთის ექსპორტიორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან.

2021 წლის ოქტომბერი-დეკემბერი.	სლოვაკეთის ეროვნული და რეგიონული სავაჭრო სამრეწველო პალატები, ბიზნეს წრეები.	საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარებისა და ბიზნეს გარემოს შესახებ ინფორმაციის გავრცელება.	საქართველოში ინვესტირებით სლოვაკური კომპანიების დაინტერესება; პოტენციური ინვესტორების მოზიდვა, ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება.	საელჩოს მიერ შეხვედრებისა და პრეზენტაციების გამართვა.
2021 წლის ოქტომბერი-დეკემბერი	სლოვაკეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, სატრანსპორტო და ლოგისტიკური კომპანიები.	საქართველო, როგორც სატრანზიტო ჰაბი - სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო შესაძლებლობები და არსებული და დაგეგმილი პროექტები.	საქართველოში ინვესტირებით შესაბამისი პროფილის სლოვაკური კომპანიების დაინტერესება.	შეხვედრების /პრეზენტაციების გამართვა და საქართველოს სატრანზიტო ჰაბის პოტენციალზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება.
30.09.2021	სლოვაკეთის საქართველოს საელჩოს წარმომადგენლის შეხვედრა სლოვაკეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტის დირექტორთან.	საქართველოსა და სლოვაკეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატების ჩართულობით და ორი ქვეყნის კომპანიების მონაწილეობით, საქართველოში და/ან სლოვაკეთში ბიზნეს ფორუმის გამართვის შესაძლებლობა.	სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს და/ან საქართველოში სლოვაკეთის უმაღლესი რანგის თანამდებობის პირების ვიზიტის ფარგლებში, ქართული სლოვაკური ბიზნეს ფორუმის მოწყობა.	მიმდინარეობს მუშაობა როგორც სლოვაკურ, ისე ქართულ მხარესთან.
2020 წლის განმავლობაში.	სლოვაკეთის რესპუბლიკის ოფიციალური სტრუქტურები, ბიზნეს წრეებისა და სავაჭრო სამრეწველო პალატების.	ინფორმაცია საქართველოში არსებული საინვესტიციო და ეკონომიკური გარემოს შესახებ.	კოვიდ პანდემიიდან გამოწვეული შეზღუდვების გამო გაუქმდა ღონისძიებები სადაც იგეგმებოდა საქართველოს ეკონომიკურ	

			პოტენციალზე საელჩოს წარმომადგენლების მიერ პრეზენტაციების გამართვა.	
23-26.01.2020	სლოვაკური ტურ-ოპერატორი კომპანიები.	სლოვაკეთში გამართულ უმსხვილეს ტურისტულ გამოფენაში "ITF Slovakiatour", სლოვაკეთში საქართველოს საელჩოს დახმარებითა და ხელშეწყობით მონაწილეობა მიიღო ქართულმა ტურისტულმა კომპანია „Cool Travel Georgia"-მ	საკმაოდ დიდი დაინტერესება სლოვაკური ტურ-ოპერატორი კომპანიების მხრიდან.	

ცნობისთვის:

- 2020 წლის მონაცემებით, სლოვაკეთიდან საქართველოში 16,24 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. ამ მაჩვენებლით, სლოვაკეთი მე-11 ადგილზე საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ათეულში, წილი 3% საქართველოში შემოსული ინვესტიციების მთლიან მოცულობაში. 2021 წლის პირველი 6 თვის წინასწარი მონაცემებით, სლოვაკეთიდან საქართველოში ინვესტიციები არ განხორციელებულა.

- სლოვაკეთიდან ინვესტიციები საქართველოში ხორციელდება ძირითადად საშუალო და მცირე ბიზნესის სფეროებში. ბოლო წლებში, მათ შორის 2020 წელს, სლოვაკეთიდან ყველაზე მსხვილი ინვესტიცია საქართველოში განხორციელდა კომპანია „GinoWellness Group"-ის მიერ, რომლის დამფუძნებელი გახლავთ სლოვაკეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი ნოდარ გიორგაძე, რომელიც ამავდროულად არის საქართველოს საპატიო კონსული სლოვაკეთში. აღნიშნული კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები საქართველოში მოიცავს ტურიზმისა და სასტუმროების სფეროს (სასტუმროები მცხეთაში - „Hotel Gino Wellness Mtskheta" და ახალციხეში -„Hotel Gino Wellness Rabath"), დასასვენებელ-გასართობ კომპლექსს თბილისში (აკვაპარკი „ჯინო პერედაისი") და საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას („ჯინო გრინ სითი").

- სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო - Slovak Aid ახორციელებს პროექტებს საქართველოში ისეთ სფეროებში, როგორიცაა მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, განვითარება და კარგი მმართველობა, ინფრასტრუქტურა და ნარჩენების მართვა, გარემოს დაცვა. აქცენტი ასევე კეთდება ვირტუალური სემინარების ორგანიზებაზე საქართველოს ევროინტეგრაციის ხელშესაწყობად.

- რაჭაში, ონის რაიონში განხორციელდა პროექტი ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით, რომლის ფარგლებშიც, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს გადაეცა შესაბამისი ტექნიკა და აღჭურვილობა. ასევე გრძელდება მცირე ბიზნესების მხარდაჭერა. ამ კუთხით, დახმარება უკვე აღმოეჩინა 26 მცირე საწარმოს, რაც გამოიხატება 5000 ლარამდე ღირებულების საწარმოო ტექნიკის შეძენის მხარდაჭერაში.
- სლოვაკეთი გამოყოფს დაფინანსებას საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტების მცირე პროექტების განხორციელებისათვის. საერთო ჯამში, 2020 წელს სლოვაკეთის მხარდაჭერით საქართველოში განხორციელებული პროექტების ჯამურმა ღირებულებამ 800 ათასი ევრო შეადგინა.

სლოვენიის რესპუბლიკა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
15 ოქტომბერი, 2021	სლოვენიის სავაჭრო-სამრეწველო პალატა (GZS), სლოვენიის მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის ხელმძღვანელები (B2B ფორმატი).	საქართველოს ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის სლოვენიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ორმხრივი ბიზნეს-ფორუმის ჩატარება.	განისაზღვრა ბიზნეს-კომპონენტის ალტერნატივები (B2B ფორმატი, პრეზენტაცია; ვიზიტი კომპანიაში).	ბიზნეს-ფორუმის ფორმატი განისაზღვრება ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

20-25 სექტემბერი, 2021	სლოვენიის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სატყეო და ნადირობის დირექტორატის მოწვევით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს დელეგაციის ვიზიტი და study-tour მთელი სლოვენიის მასშტაბით.	სლოვენიური გამოცდილებისა და ექსპერტიზის გაზიარება ადგილებზე.	სატყეო და ნადირობის სფეროში ადიგენის რ-ნში სლოვენიური მხარის მონაწილეობით ამჟამად მოქმედი პროექტის გაგრძელება და გაფართოება.	სლოვენიის სატყეო და ნადირობის დირექტორატის ხელმძღვანელობის საპასუხო ვიზიტი საქართველოში.
17 სექტემბერი, 2021	ელჩის შეხვედრები: 1. სლოვენიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დიპლომატიის გენერალური დირექტორატის გენ. დირექტორი, ს. შეშუმი; 2. ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის დეპარტამენტის დირექტორი, რ. ტომშიჩი.	სლოვენიის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ერთად ბიზნეს-ფორუმის ჩატარების ფორმატი.	კომუნიკაციები სლოვენიის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან.	ბიზნეს-ფორუმის ფორმატი განისაზღვრება ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

15 სექტემბერი, 2021	- სლოვენიის ეკონომიკური დიპლომატიის დღე (B2D ფორმატი) - ელჩის შეხვედრა სლოვენიის უდიდესი კომპანიის, ავია-მწარმოებლის „პიპისტრელი“ გენერალურ დირექტორთან.	ორმხრივი თანამშრომლობის ინტერესი.	გამოიხატა კომპანიის თავდაპირველი ინტერესი რეგიონში თანამშრომლობასთან დაკავშირებით.	კომპანიის ხელმძღვანელობის მოწვევით დაიგეგმა შეხვედრა ავია-კომპანიის ქარხანაში.
3 სექტემბერი 2021	- საქართველოს და სლოვენიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის გამართული პოლიტკონსულტაციები მინისტრის მოადგილეების დონეზე - სლოვენიის დარგობრივი სამინისტროები და უწყებები.	- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი საქართველოს უწყებრივი ინტერესების თაობაზე წინადადებების მიწოდება.	- თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე საპასუხო ინტერესი უკვე გამოთქვეს სლოვენიის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა .	- ზემოხსენებული უწყებების მხრიდან კონკრეტული წინადადებები წარმოდგენილი იქნება 2022 წლის დასაწყისში (სლოვენიის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის დასრულების შემდგომ).

1 სექტემბერი 2021 5 სექტემბერი 2021	- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გაცნობითი შეხვედრა სლოვენიაში ახლად დანიშნულ საქართველოს საპატიო კონსულთან, ა. მალგაისთან; - ელჩის მიერ საპატიო კონსულისადმი საკონსულო პატენტისა და ეგზეკვატურის ოფიციალური გადაცემა.	- საქართველო-სლოვენიის ბიზნეს საზოგადოების დაარსების პერსპექტივები; - ბიზნეს-ტურის ორგანიზება საქართველოში.	ორმხრივი ბიზნეს-ინტერესების გათვალისწინებით პრიორიტეტული თანამშრომლობის მიმართულებებისა და კომპანიების მონაცემთა ბაზის შექმნა.	- 2022 წლისთვის დაიგეგმა საპატიო კონსულობის ხელმძღვანელობით სლოვენიელ ბიზნესმენთა ბიზნეს-ტური საქართველოში - ორმხრივი ბიზნესისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით 2022 წლის პროგრამის შემუშავება.
3 მარტი, 2021	- საელჩოს და სლოვენიის სავაჭრო-სამრეწველო პალატა (GZS); - მცირე და საშუალო ბიზნესი (B2D ფორმატი).	ელჩისა და GZS-ის მიერ ორგანიზებული Zoom-ფორმატის ბიზნეს- ფორუმი - “Doing Business in Georgia” - მცირე და საშუალო ბიზნესისათვის.	საქართველოს ბაზარზე შემო-სვლით დაინტერესება გამო-თქვეს საშუალო ბიზნესის შემდეგმა წარმომადგენლებმა: **Alpina, SloMetal, Ino Brežice d.o.o., Ceta d.o.o., Limos d.o.o., Intra** Lighting d.o.o.	საელჩოს მეშვეობით მოხდა საქართველოში საქმიანობით დაინტერესებული კომპანიების დაკავშირება - „აწარმოე საქართველოსთან“.

9-12 მარტი, 2021	ელჩის შეხვედრები სლოვენიის მცირე და საშუალო ბიზნესს-კომპანიების წარმომადგენლებთან.	ბიზნეს-ფორუმში მონაწილე დაინტერესებულ კომპანიებთან ელჩის ინდივიდუალური შეხვედრები.	ფირმების მხრიდან გამოხატული ინტერესების მონაცემთა ბაზის შექმნა.	მათი შემდგომი დაკავშირება „აწარმოე საქართველოსთან“.
18 აგვისტო, 2020	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სლოვენიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის და სურსათის სამინისტრო.	მემორანდუმი თანამშრომლობის თაობაზე - „ტყის მდგრადი განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.	მემორანდუმს ქართული მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს ელჩმა, ხოლო სლოვენიის მხრიდან - სოფლის მეურნეობის მინისტრმა.	ადიგენის რ-ნში ტყის მდგრადი განვითარების სფეროში გაგრძელდება პროექტი სლოვენიური მხარის მონაწილეობით.
			2021 წლის სექტემბერში განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი სლოვენიაში.	2022 წელს დაიგეგმა სლოვენიის სატყეო და ნადირობის დირექტორატის ხელმძღვანელობის ვიზიტი საქართველოში.

7 თებერვალი 2020	სლოვენიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სლოვენიის ერთ-ერთი უდიდესი, სათხილამურო კომპანია „ელან“ (Elan).	B2D შეხვედრა. პრეზენტაცია.	კომპანიის განახლებული ასორტიმენტის გაცნობა დიპლომატიური კორპუსისადმი.	ელანის პრეზიდენტის ლეონ კოროშეცის ინფორმაცია, რომ კომპანიას ჰყავს წარმომადგენელი საქართველოში.
2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში	სლოვენიის უმსხვილესი მეღვინეები და ღვინის მწარმოებლების დელეგაცია.	საქართველოში გამართულ ღვინის ფესტივალებზე მონაწილეობა.	ბიზნეს პროექტების განხორციელება ქართველ მეღვინეებთან (განსაკუთრებით, ქვევრის ღვინის წარმოების მიმართულებით).	ქართველი მეღვინეების ვიზიტი სლოვენიაში 2022 წელს (2021 წელს გადაიდო პანდემიის გამო).
ოქტომბერი, 2020	მეღვინეების და ღვინის ბიზნესის წარმომადგენლები.	ქართველი მეღვინეები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას ქ. იზოლას ყოველწლიურ Orannge Wine Festival-ზე.	2020-2021 წლებში გადაიდო ეპიდ-ვითარების გამო.	დაიგეგმა 2022 წლის შემოდგომისთვის.

2021-2022	სლოვენიის მოსახლეობის ფართო ფენები.	დასრულდა საელჩოს, საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ტურისტული ადმინისტრაციის ხელშეწყობით სლოვენიური დოკუმენტური ფილმის გადაღება ქვევრის ღვინის შესახებ..	პრემიერა დაგეგმილი იყო 2021 წელს Orannge Wine Festival-ზე.	პრემიერა გადაიდო 2022 წლისთვის.
წლის განმავლობაში.	სლოვენიური ტურისტული სააგენტოები; პოტენციური ტურისტები.	საელჩოს ორმხრივი კონსულტაციები სლოვენიურ ტურისტულ სააგენტოებთან და საქართველოში გამგზავრების მსურველებთან.	2021 წლიდან კვლავ განახლდა ტურისტების ზრდის დინამიკა.	ზრდის დინამიკის ტენდენცია იკვეთება 2022 წლისთვისაც.

ცნობისთვის:

საქართველოს ექსპორტი სლოვენიაში: 2021 წლის ივნისში - 75.0 (1000 აშშ დოლარი)

საქართველოს იმპორტი სლოვენიიდან: 2021 წლის ივნისში - 2518.6 (1000 აშშ დოლარი)

2020 წლის მონაცემებით, საქართველოსა და სლოვენიას შორის **სავაჭრო ბრუნვა,** წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, შემცირდა 4%-ით და განისაზღვრა 29,91 მლნ. აშშ დოლარით

2020 წლის 9 თვის მონაცემებით, საერთოდ არ ფიქსირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიცია

2019 წლის მონაცემებით, სლოვენიიდან შემოსულია 1.18 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 33%-ით მეტია

საქართველოში წარმოდგენილია შემდეგი **მსხვილი სლოვენიური კომპანიები:** Krka, Gorenje, Riko, Elan Inventa, Lek, Duol.

სლოვენიაში ქართული ღვინის **ექსპორტს** ეწევიან ცნობილი ქართველი კალათბურთელები და ამჟამად სლოვენიაში მცხოვრები ვლადიმერ ბოისა და დავით უგრეხელიძე

პანდემიამდელ პერიოდში, 2018-20 წლებში, ყოველწლიურად საშუალოდ 30%-ით იზრდებოდა სლოვენიელი **ტურისტების** რაოდენობა საქართველოში

2020 წლის მონაცემებით, სლოვენიიდან შემოსულია 360 **ვიზიტორი,** რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 89%-ით ნაკლებია
2021 წლიდან კვლავ განახლდა **ტურისტების ზრდის დინამიკა.**

უკრაინა

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
30/07/2020	მედიის წარმომადგენლები (ტურიზმის მიმართულება).	საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის შესაძლებლობები - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში უკრაინული ბიზნესის მონაწილეობა.	შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გაშუქდა სხვადასხვა ბეჭდურ მედიაში; ყურადღება გამახვილდა საელჩოს მიერ რეკომენდირებულ თემებზე.	მედიის წარმომადგენლებთან სისტემატური შეხვედრების ორგანიზება და აქტუალური თემების შესახებ მედიის ჩართულობის ორგანიზება.
10-11.09.2020	ინვესტორები, ბიზნეს სექტორის სხვა წარმომადგენლები.	ქ. ოდესაში გამართულ საინვესტიციო ფორუმის Odessa 5T ფარგლებში ოფიციალურ და არა ოფიციალურ ფორმატში სხვადასხვა ბიზნეს სფეროს წარმომადგენლებს ინფორმაცია მიეწოდათ საქართველოში საინვესტიციო გარემოს შესახებ, მათ შორის საგადასახადო სისტემებსა და მთავრობის მიერ		ჩართულობა ყველა მსგავსი ტიპის ღონისძიებებში და როგორც ფორმალურ ნაწილში მონაწილეობის მიღება, ასევე პლატფორმის გამოყენება არაფორმალური ურთიერთობებით საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებზე ინფორმაციის გასავრცელებლად.

		დაწესებულ სხვადასხვა წამახალისებელ ინოვაციებზე.		
03.03.2021	უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები მათ შორის საკითხები - საქართველოსა და უკრაინის ბიზნეს წრეების უფრო დაახლოებასთან დაკავშირებით.		გამოითქვა მზადყოფნა პალატის ორგანიზებით, ბიზნეს წრეების დაინტერესების შემთხვევაში, ერთობლივი ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებით.
09.03.2021	ინვესტორები, ბიზნეს სექტორის სხვა წარმომადგენლები.	ევროპის ბიზნეს ასოციაციის (EBA Ukraine) მიერ ორგანიზებულ ღონისძიების (EBA Networking Evening) ფარგლებში გაკეთდა მოხსნება საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ. გარდა მოხსნებისა, ბიზნესის წარმომადგენლებთან, მათ შორის საინვესტიციო კომპანიებთან და ბანკებთან შედგა ერთი-ერთზე შეხვედრები სადაც მოხდა დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, მოხსენებაში გაჟღერებული კონკრეტული ინიციატივების შესახებ.		ევროპის ბიზნეს ასოციაციის (EBA Ukraine) პლატფორმის გამოყენება და მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება.

30.06.2021	ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები - კერძო და სახელმწიფო სტრუქტურები.	საელჩოს ორგანიზებით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენელმა პრეზენტაცია გამართა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ. მათ შორის, ყურადღება გამახვილდა ახალ კურორტებზე და მათთან დაკავშირებულ საინვესტიციო შესაძლებლობებზე.		საელჩო სისტემატურად, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ახორციელებს ღონისძიებებს, რომლის მიზანია საქართველოს ტურისტული მიმართულების პოპულარიზაცია.

უნგრეთი

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
2020 წლის მარტი.	იოზიფ ვარადი (ვიზეარის აღმასრულებელი დირექტორი).	,,ვიზეარის'' აღმასრულებელი დირექტორი იოზეფ ვარადი, რომელიც აგრეთვე აქტიურადაა ჩართული მეღვინეობის ბიზნესში , კერძოდ უნგრეთის ,,ტოკაის'' რეგიონში, მზადყოფნა გამოთქვა კახეთისა და	ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე შეჩერებულია რეგიონების დამეგობრობის პროცესი.	

		ტოკაის დამეგობრობის ხელშეწყობისა და საერთო აქტივობების განხორციელებაში.		
2021 მარტი.	ხორვატიის რესპუბლიკის საგარეო და ევროპული სამინისტრო.	ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა.	ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ხორვატიასა და საქართველოს შორის მზადაა.	განიხილება ხელშეკრულების ხელმოწერა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.
2021 წლის მაისი.	,,EDP Renewables'' უნგრეთის ოფისი.	საქართველოს ენერგო პოტენციალის მოკვლევა.	მიმდინარე წლის მაისში ,,EDP Renewables''-ის ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა იშტვან პოცმა შეხვედრები გამართა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.	განიხილება საქართველოს ენერგობაზარი სამომავლო ინვესტიციების პერსპექტივის მიმართულებით.

<u>ფინეთი</u>

თარიღი	სამიზნე ჯგუფი (კომპანია/უწყება/ბიზნეს გაერთიანება და ა.შ.)	თემატიკა	შედეგი	დაგეგმილი საქმიანობა
01/2020	ტურისტული კომპანიები, მედია, ფართო საზოგადოება.	ტურიზმი.	საელჩოს ძალისხმევით, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში გამართულ ნორდიკულ ქვეყნებში უმსხვილეს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე "MATKA 2020" საქართველო "წლის ტურისტული დანიშნულების ქვეყნად" დასახელდა. საქართველოს "წლის ტურისტული დანიშნულების ქვეყნად" დასახელებას წინ უძღოდა საელჩოს მხრიდან აქტიური	საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობის "MATKA" ორგანიზატორებთან აქტიური თანამშრომლობა. საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციასთან ერთობლივად ფინელი ჟურნალისტებისთვის ტურების დაგეგმვა საქართველოში.

			თანამშრომლობა როგორც MATKA-ას ორგანიზატორებთან, ისე Finish Guide to Travel Journalists-ის წარმომადგენლებთან. ნოზაძემ საერთაშორისო ტურისტული გამოფენა “MATKA 2020” ფარგლებში, საქართველო-ფინეთის ბიზნეს ასოციაციის თავმჯდომარის იაკკო ლაქსოს შუამდგომლობით შეხვედრა გამართა ფინელ ბიზნესმენებთან. შეხვედრაზე გაკეთდა პრეზენტაცია საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის, გატარებული და მიმდინარე რეფორმებისა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესახებ.	
